ISSN 1512 - 4649

ეკონომისტი

საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№4 2018 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

ბაღალალტერები, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი, მეანაბრე)

საპენსიოდადებლო სიახლენი (საგეწარმეო სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა კითხვები და პროფესიონალთა პასუხები

ჟურნალი "ახალი ეკონომისტი" რეფერირებულია:

სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში "ქართულ რეფერატულ ჟურნალში".

რეფერირებულად აღიარებულია:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ასტანა).

მისამართი: საქართველო,
0105, თბილისი, ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 2 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ-ფოსტა: loidk@yahoo.com
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

The Magazine "Akhali Ekonomisti" (New Economist) HAS BEEN REVIEWED:

In "Georgian Reviewed Magazine" – P.L.L.E. Institute of Techinform

ACKNOWLEDGED TO BE REVIEWED BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robakidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Samtskhe-Javakheti State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;
- East European University;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Belarus (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Astana).

ADDRESS: 5 Jorjadze str., 0105, Tbilisi, Georgia
Tel.: +995 (32) 2 990 576;
Mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
E-mail: loidk@yahoo.com
web-site: www.economisti.ge; www.loi.ge

ახალი ეკონომისტი

ყოველკვარტალური საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №4(51), 2018

ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი; საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი.

სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბესაძე (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი); ნინო აბესაძე; ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; როზეტა ასათიანი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ევგენი ბარათაშვილი; ელბერდ ბატიაშვილი; გივი ბედიანაშვილი (ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტის დირექტორი); როსტომ ბერიძე (ბათუმის უნივერსიტეტი); ხათუნა ბერიშვილი; თამარ გამსახურდია; თინა გელაშვილი; სიმონ გელაშვილი; რამაზ გერლიანი; რევაზ გველესიანი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); რევაზ გოგოხია; ვლადიმერ გრიგოლია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე (ევროპის უნივერსიტეტის პრორექტორი); სერგეი იაკუბოვსკი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ელდარ ისმაილოვი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი); მერაბ კაკულია; ალექსანდრე კვაშილავა; ბია კვაშილავა; მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე (საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე); კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); პაატა კოღუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ენვერ ლაგვილავა; ლორდი სტივენ ლორდ ლოიდ-ბაბრატიონი (ოქსფორდის უნივერსიტეტი,ინგლისი); რევაზ ლორთქიფანიძე; ეკატერინე ლომია (საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი); შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ელგუჯა მექვაბიშვილი; ნუგზარ ნადარაია (ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი); დავით ნარმანია; თედო ნინიძე; სოლომონ პავლიაშვილი (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი); ვახტანგ სართანია; ემერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაგაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჯინავა; გელა სვირავა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); დამეტკენ ტურეკულოვა (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა ფეტელავა; ლევან ძისტაური (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); რუსუდან ძუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); ეკატერინე შაკიაშვილი; თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ომარ შუდრა; ფაია შულენბაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი; დავით ჩერქეზიშვილი (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი); მიხეილ ჩიკვილაძე; ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი; ნოდარ ხადური (საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე); ელენე ხარაბაძე; ემერ ხარაიშვილი; რევაზ ხარებავა; ვასილ ხიზანიშვილი; ლალი ხიხაძე; დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ივანე ჯაბოდნიშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი) ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ემზარ ჯგერენაია; მიხეილ ჯიბუტი (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი). ნანა ჯღარკავა.

შესაძლებელია, რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2018წ.
© გამომცემლობა „ლოი“

ფასი 10 ლარი

The New ECONOMIST

QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE,

PRECISED AND REVIEWED № 4(51), 2018

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial Board;
Doctor of Business Administration, Professor;
Head of the Council of Scientists of Georgia;
Academician of the Georgian Academy of Business Sciences;
Academician of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

RAMAZ ABESADZE (Director of Paata Gugushvili Economic institute); NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; GIVI BEDIANASHVILI (Director of the European Univercity's Institute of Research of economic and social problems of Globalization); ROSTOM BERIDZE (Batumi state university); KHATUNA BERISHVILI; TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI; SIMON GELASHVILI; RAMAZ GERLIANI; REVAZ GVELESIANI (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); REVAZ GOGOKHIA (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business"); VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Deputy of Rector of BelarusiaState University); WOLFGANG WENG (Berlin, Garmany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE (Prorector of European University); SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); ELDAR ISMAILOV (Director of Institute of Strategic Studies of the Caucassus); MERAB KAKULIA; ALEKSANDRE KVASHILAVA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Scool of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE (Head of Budget and Finance Committee of Parliament of Georgia); KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Garmany); ENVER LAGVILAVA; The Rt Hon STEVEN LORD LLOYD-BAGRATIONI (University of Oxford, England); REVAZ LORDKIPANIDZE; EKATERINE LOMIA (Head of Department of International Relations); SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasidenrt of Caucasus University in sciens field); ELGUJA MEQVABISHVILI; MARIAM MGEBRISHVILI; NUGZAR NADARAIA (Prezident of the Academy of Fazisi Sciences); DAVID NARMANIA; TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI (Rectot of Tbilisi University); VAKHTANG SARTANIA; ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering"); GELA SVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); SLAVA FETELAVA; LEVAN KISTAURI (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; OMAR SHUDRA; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI (Rector of East European University)MICHAEL CHIKVILADZE; NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; NODAR KHADURI (Head of the Georgian Competition Agency); ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; VASIL KHIZANISHVILI; LALI KHIKHADZE; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Buziness Faculty of Suxumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); EMZAR JGERENAIA; MICHAEL JIBUTI (Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NANA JGHARKAVA.

მთავარი გვერდი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე 7

მეცნიერება

როზეტა ასათიანი - სიღარიბის მიზეზები საქართველოში და მისი დაძლევის გზები (პოლიტეკონომიური ასპექტი) 11
ედუარდი კავთიძე - პერსონალის მენეჯერების საქმიანობის თავისებურებები 24
ლალი ხიხაძე - კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრობლემები და მათი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები გლობალურ ბიზნესში 28
ემზარ ჯულაყიძე - ორგანიზაციათა მწარმოებლურობა - რესურსთა ყაირათიანობა და მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილება 36
ელიზბარ ბარბაქაძე - მართებული გადაწყვეტილების სამი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი 39
Revaz Lordkipanidze - About Theoretical School of Competitive Management – New MBA: Management By Abilities 42
ზურაბ ჟღენტი - ფინანსური ბაზრის სრულფასოვანი განვითარების აუცილებლობა 45
ვასილ ხიზანიშვილი - ფასეულობათა ორიენტაციები მენეჯმენტში 48
კობა სოხაძე - საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ზოგიერთი საკითხის შესახებ 54
Лаша Табатадзе - Перспектива развития макроэкономической теории 66
ლოიდ ქარჩავა - ბიზნესკომუნიკაციების თეორიული საფუძვლები და მისი კავშირი სხვა მეცნიერებებთან 69
ეკატერინე ლომია - საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები: რეალიზმისა და ლიბერალიზმის შედარებითი ანალიზი 72

MANE PAGE

Christmas Epistle 7

SCIENCE

Rozeta Asatiani – The reasons of poverty in Georgia and ways of overcoming it (Political Economy Aspect) 11
Eduard Kavtidze - Personal managers activity peculiarities 24
Lali Khikhadze - Intercultural communication problems and the main directions of improvement in international business 28
Emzar Julakidze - Organizations' Productivity – Providence of Resources and Satisfaction of Customers' Requests 36
Elizbar Barbakadze - Three Main Characteristics of Right Decision 39
Revaz Lordkipanidze - About Theoretical School of Competitive Management – New MBA: Management By Abilities 42
Vasil Khizanishvili - The values orientations in management 48
Koba Sokhadze - Some of the issues of forming the market economy 54
Lasha Tabatadze - Development Prospectives of Macroeconomic Theory 66
Loid Karchava - Theoretical basics of business communication and Its connection with other sciences 69
Ekaterine Lomia - Theories of International relations: Comparative analysis of Realism and Liberalism 72

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო:

საუკუნეებიდან საუკუნეებს გადაეცემოდა მოლოდინი იმისა, რომ ,,მუცლად იღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს," რაც ნიშნავს ,,ჩვენთან არს ღმერთი" (ესაია 7,14) და რომ იქნება ,,სახელი მისი დიდისა განზრახვისა ანგელოზი, ღმერთი ძლიერი, ხელმწიფე, მთავარი მშვიდობისა, მამა მერმეთა საუკუნეთა" (ესაია 9, 5-6).

2019 წლის წინ აღსრულდა ქვეყნიერების მხსნელის შესახებ წმინდა ესაიას ეს წინასწარმეტყველება.

ჭეშმარიტად ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, სულიერად თანაზიარნი გავხდეთ ენით გამოუთქმელი ამ სასწაულისა, თუმცა ღვთის დიდებას სრულად ვერასდროს შეიცნობს ადამიანური გონება და ვერც იესო ქრისტეს ღვაწლს გააცნობიერებს სრულად ოდესმე. ვიცით, რომ იგი ,,გარდამოხდა ზეცით და ხორცნი შეისხა სულისაგან წმინდისა," რომ იცხოვრა კაცთა შორის, აღასრულა მრავალი სასწაული, მოგვცა ახალი მცნება და ჯვარს ეცვა, რათა ჩვენთვის ცხონება მოენიჭებინა…

ერთი შეხედვით, მარტივად ითქმის ეს, მაგრამ თუ დავუკვირდებით მომხდარს, გამაოგნებელი რეალობის წინაშე აღმოვჩნდებით: უფალი, შემოქმედი, მეორე ჰიპოსტასი წმინდა სამებისა, რომელიც, მამის და სულიწმინდის მსგავსად, მხოლოდ საღვთო ბუნებისა იყო, ჩვენს გადასარჩენად იღებს ადამიანურ ბუნებასაც.

ყოვლისშემქმნელმა, ყოვლისშემძლემ, მარადიულმა, დაუსაბამომ, ცხოველსმყოფელმა … კაცობრივი სხეული და თვისებები (გარდა ცოდვისა) მიიღო, რათა გამხდარიყო თანაარსი ყველა ჩვენგანისა და ჩვენთვის მოენიჭებინა ცოდვათაგან განთავისუფლება და განღმრთობა.

ამიტომაც იგი, განკაცების შემდგომ თავის თავში უკვე მარადიულად ატარებს ორ სრულიად განსხვავებულ, შეურევნელ ბუნებას: შეუქმნელობასა და შექმნილობას, დაუსაბამობასა და დასაბამიერობას, გარეშეუწერელობასა და გარეშეწერილობას; მკვდრეთით აღდგომამდე კი უკვდავებასთან ერთად ჰქონდა მოკვდავობაც, უვნებობასთან ერთად – ვნებულობაც, უხრწნადობასათან ერთად – ხრწნადობაც.

მან, ჭეშმარიტმა სიცოცხლემ, მოკვდავობა იწილხვედრა, რათა თვისი უკვდავებით სიკვდილი მოეკვდინებინა; ბუნებით უხრწნელმა ხრწნადი სხეული შეიმოსა, რათა ჩვენი ხრწნილება განექარვებინა, ჩვენი უგუნურება საღვთო ცოდნით განებრწყინვებინა და ცოდვისადმი მონობა ცოდვაზე მეფობით შეეცვალა.

ამის ძალმოსილება მხოლოდ მას ჰქონდა!

მხოლოდ მას შეეძლო თავის საღვთო ჰიპოსტასში დაეტია ერთობა ადამიანური თვისებებისაც და უდიდესი მსხვერპლის ფასად შეემუსრა ათასწლეულების მანძილზე გამრავლებული და გამოვლენილი მთელი კაცობრიობის ცოდვის სისავსე.

ეს სასწაული ორ ეტაპად ხორციელდება:

წმინდა იოანე დამასკელის სწავლებით, პირველ ეტაპზე განკაცებული ღმერთის კაცობრივ ბუნებაში მოხდა ამ ბუნებისთვის დამახასიათებელი უმეცრების, უძლურების, არაცხოველსმყოფელობისა და მონურობის საღვთო ღირსეულობებით (საღვთო ცოდნით, შემძლეობით, ცხოველსმყოფელობით, მეუფებით) გამდიდრება, არსობრივი თვისებების შეუცვლელად, და ჩვენ, ქრისტესთან თანაზიარებით, მიწიერ ყოფაში მოგვეცა შესაძლებლობა ამ მადლით განმსჭვალვისა.

სულიერი ცხოვრებით, მაგალითად, მოიპოვება

სიბრძნით მეტყველება, წინასწარმეტყველების ნიჭი, კურნების ძალა, სხვა სასწაულთქმედებათა უნარი. . . რომელიც პიროვნებაში არსებით ცვლილებებს არ იწვევს. ამიტომაც ღვთის ამ საბოძვარს ადვილად დაკარგავს ყველა, ვინც კვლავ ცოდვაში ჩაეფლობა.

მეორე ეტაპზე, ანუ მაცხოვრის ჯვარცმის, დაფვლისა და აღდგომის შემდეგ, იესო ქრისტემ თავისი განმღრთობილი კაცობრივი ბუნება თვისობრივად გარდაქმნა, ადამისეულ თავდაპირველ უცოდველ მდგომარეობას დაუბრუნა და, უფრო მეტიც, – თითოეულ ჩვენგანს ღვთის საუფლოს მარადიულად დამკვიდრების შესაძლებლობა მიანიჭა.

ასე რომ, ცათა შინა დაუსრულებელი სიხარული და ნეტარება ელოდება ყველას, ვინც კი ქრისტეს გზით სვლას მოინდომებს და შესაბამის ღვაწლს აღასრულებს.

ქმნილებისადმი შემოქმედის ენითუთქმელი სიყვარულის ამ საოცარმა გამოვლინებამ მთელი ხილული და უხილავი სამყარო შეძრა: ,,ანგელოზნი ღაღადებენ, მთავარანგელოზნი გალობენ, აქებენ ქერუბიმნი და ადიდებენ სერაფიმნი,- ყოველი დაბადებული დღესასწაულობს დღეს, რამეთუ ღმერთსა ხედვენ ქვეყანასა ზედა და კაცსა, – ცათა შინა; ქვესკნელსა, – ზესკნელად განგებულებით და ზესკნელსა, – ქვესკნელად კაცთმოყვარეობით" (ათანასე ალექსანდრიელი).

– პირველი ვინ მიეახლება ბეთლემელ ყრმას? პირველი ვინ იგრძნობს და ვინ შეეგებება მომხდარ სასწაულს?

– ძველი აღთქმის მართალი იოსები, უბრალო მწყემსნი და წარმართული სამყაროს ბრძენნი, – შორეული სპარსეთიდან (ასურეთიდან) უჩვეულო ვარსკვლავის მსვლელობას გამოყოლილი მოგვნი, რომელთაც საოცარი სიმბოლური შესაწირი, – ოქრო, გუნდრუკი და მური, – მიართვეს მას.

ოქრო – ვითარცა მეფეს,

გუნდრუკი – ვითარცა ღმერთს,

და მური – ვითარცა ღმერთკაცს, რომელიც კაცობრივი ბუნებით უნდა მომკვდარიყო და შეემურვათ.

წმინდა იოანე ოქროპირი ამ სამ ძღვენში ხედავს ადამიანისთვის უმთავრეს სიკეთეთაც: ჭეშმარიტ რწმენას, სასოებასა და სიყვარულს, რომელთა აუცილებელი ერთობაც განაპირობებს ნებისმიერი პიროვნების უფლისკენ სწორად სვლას.

ინებოს ღმერთმა, ჩვენც, მოგვთა მსგავსად, ნელ-ნელა ავმაღლდეთ გულისხმისყოფისა და სრულყოფის კიბეზე, შევიმოსოთ რწმენით, სასოებითა და სიყვარულით, რომ ვპოვოთ ბეთლემის ბაგასა შინა მწოლი იესო და განვეშოროთ უკეთურ ბრძანებებსა და მზაკვრობას ჰეროდე მეფისას, რომელმაც 14 000 ყრმა მოაკვლევინა იმ იმედით, რომ მათ შორის მოაკვდინებდა ახლადშობილ ძეს ღვთისას (მასში მომავალ მეფეს და მეტოქეს ხედავდა) და ამით თავის ამქვეყნიურ მეფობას გაიხანგრძლივებდა.

საუკუნეთა მანძილზე უფლამდე მისასვლელი გზა მუდამ ნარ-ეკლიანი იყო, ვიწრო და ძნელად სავალი, რადგან ყოველ ეპოქას თავისი ჰეროდე ჰყავს, რომელიც ძალაუფლების შესანარჩუნებლად არ ერიდება ბოროტ, ბილწ საქმეთ, არ ერიდება არც უდანაშაულო ყრმათა მოწყვეტას, ოღონდ ადამიანები თავის მონობაში ამყოფოს და შემოქმედი დაავიწყოს.

ჩვენს დროშიც მისი მოქმედებანი სხვა და სხვა სახით ვლინდება: აბორტით მოწყვეტილ ჩვილთა სისხლი ცას შეჰღაღადებს, ნარკომანია, აზარტული თამაშები თუ უზნეო ცხოვრების წესი ათასობით ახალგაზრდას იწირავს და ეს დანაშაულებანი ჩვენგან პასუხს ითხოვს.

ჰეროდესეული სული იმასაც ცდილობს, ისეთი გარემო დაამკვიდროს, სადაც მისაბაძი აღარ იქნება სხვისთვის არა თუ თავის გაწირვა, ნაცვალგების გარეშე სიკეთის ქმნაც კი; მისაბაძი აღარ იქნება ზნეობრიობა და სიწმინდე და ადამიანებს დახშული ექნებათ სინდისის ხმა.

ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ სიმართლე და სიკეთე განქარდება, ურთიერთპატივისცემა და პატიოსნება დაიკარგება, რაღა იქნება ჩვენი ყოფა?! თუ მეგობრობა, სიყვარული და თანადგომა ადამიანთა ბუნებიდან წარიხოცება, ვინ შეძლებს ამგვარ სივრცეში ცხოვრებას?! ასეთი საზოგადოება ხომ თავისთავად გახდება სიცოცხლის უუნარო და გადაგვარებისათვის განწირული, რადგან მას აღარ ექნება ძალა ბოროტების შეჩერებისა და ცოდვისთვის წინააღმდეგობის გაწევისა? ამასთან, გაქრება ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი ზღვარიც, – ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის.

სამწუხაროდ, ეს მდგომარეობა თანდათან ჩვენთანაც ფეხს იკიდებს და ხალხს შიში და უიმედობა იპყრობს, მაგრამ არ უნდა გავტყდეთ, არ უნდა დაგვაბრკოლოს არც გამრავლებულმა ღალატმა და გაუტანლობამ, არც შურმა და მზაკვრობამ. დროა ასეთი! არსებული რეალობა უნდა მივიღოთ, როგორც ჩვენი რწმენის დიდი გამოცდა და შევძლოთ, განვეშოროთ ბოროტებას, ჩვენდამი ჩადენილ ავ საქმეთა გამო, – სამაგიეროს გადახდას; ვეცადოთ, არ დავკარგოთ მომავლის იმედი, არ დავკარგოთ მოყვასის სიყვარული და მისდამი თანადგომის სურვილი, არ დავკარგოთ ღირსება და ძალისამებრ ჩვენისა, სიკეთით ვუპასუხოთ გამოწვევებს.

შევნიშნავთ იმასაც, რომ არის დიდი მცდელობა სიტყვის თავისუფლების დამახინჯებული აღქმის გაბატონებისაც.

თავისთავად სიტყვის თავისუფლება საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი უფლებათაგანია, რომელიც ნებისმიერ მოქალაქეს საშუალებას აძლევს, საკუთარი შეხედულებისამებრ, საჯაროდ გამოთქვას აზრი და ამისთვის გამოიყენოს მასმედიაც და სოციალური ქსელიც, რაც პიროვნული თავისუფლების განცდას ბადებს და ნანახისა თუ ნაზრევის სხვისთვის გაზიარების შესაძლებლობას

ქმნის, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ხდება რეალობის შეცვლა და სიტყვის თავისუფლებით ბოროტად სარგებლობა.

დღეს ადამიანები აღარ ერიდებიან სხვისი დამცირების მიზნით მათ უსაფუძვლოდ შეურაცხყოფას; სიცრუე და ბილწსიტყვაობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. გახშირდა ტყუილის ყველაზე მძიმე ფორმაც, – გაცნობიერებული, შეგნებული სიცრუე, – ცილისწამება, რომელიც ზოგჯერ სიმართლის სახელით ვირტუოზულად ისე არის შებურვილი, რომ მსმენელს, თავდაპირველად მაინც, შეცდომაში შეიყვანს.

ამის მოქმედთ, ალბათ, ჰგონიათ, რომ რაკი სხვასზე ფიზიკურად არ ძალადობენ და სხეულის დაზიანებას არ აყენებენ, ეს დანაშაული უმნიშვნელოა, რაც ძალიან დიდი შეცდომაა.

სიტყვას უჩვეულო ძალა აქვს, – როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, რადგან მას ქმნადობის უნარი გააჩნია. არის სიტყვა სიცოცხლის მომნიჭებელი და სიტყვა – სიკვდილის ტოლფასი.

ამასთან, არცერთი ჩვენი ნათქვამი არ ქრება და იგი ჩვენი მამხილებელი იქნება ღვთის წინაშე. მაცხოვარი ბრძანებს: ,,ვინც უმიზეზოდ ურისხდება თავის ძმას, სასამართლოში უნდა მიეცეს; ხოლო ვინც ეტყვის თავის ძმას, რაკა, სინედრიონს უნდა წარუდგეს; და ვინც ეტყვის ძმას: შლეგო, ცეცხლის გეენაში უნდა ჩავარდეს" (მათე 5,22).

იაკობ მოციქულიც მეტად მკვეთრ შეფასებას აძლევს ავის- მთქმელთ: ,, ...ენა ცეცხლია, უსამართლობის სამყაროა იგი .....ის ბილწავს მთელს სხეულს ... დაუკავებელი ბოროტებაა და მომაკვდინებელი გესლითაა სავსე. მით ვაკურთხებთ ღმერთსა და მამას და მით ვწყევლით ღვთის ხატად შექმნილ ადამიანებს. . . ასე არ უნდა იყოს" (იაკობი 3, 6-10).

თითოეული დღე, საათი და წუთი აღბეჭდილია ჩვენი კარგი ან ცუდი ქმედებით, კარგად ან ცუდად მეტყველებით. დროს ვერ დავაბრუნებთ და მასში ვერც ჩვენს ნაკვალევს წავშლით, თუ სინანული არ გვექნა. გულწრფელი, ღრმა სინანული, აღსარება და ზიარება ღვთისგან ნაწყალობევი ის საიდუმლოებებია, რომელთაც ძალუძთ მთელი ჩვენი განვლილი არასწორი ცხოვრების და მისი შედეგების აღმოფხვრა, ცოდვის წარხოცვა და ახალ ადამიანად ჩვენი გარდაქმნა, განწმენდა და სულიერი ამაღლება.

წმინდა იოანე ოქროპირი წერს: როგორი ცხოვრებითაც არ უნდა ვიცხოვროთ, სინანულს ვერ ავცდებით; ის, ვინც ამქვეყნად ცდილობს სინანულით უწამლოს თავისი სულის ცოდვით გამოვლინებებს, მარადიულად იხარებს, ხოლო ვინც ამ ქვეყანად შეჰხარის დროებით წარმავალ სიკეთეთ და ყველა საშუალებით მათ მოპოვებას ესწრაფვის მხოლოდ, აუცილებლად ინანებს საუკუნოდ.

პავლე მოციქული კი ბრძანებს: ,,ხორციელნი ხორცისას იზრახავენ, ხოლო სულიერნი,- სულისას..... ხორცის ზრახვა სიკვდილია, ხოლო სულის ზრახვა, – სიცოცხლე და მშვიდობა˜ (რომ. 8, 5-6).

,,მეორე რჯულშიც" ვკითხულობთ: ,,თქვენს წინაშე ვიმოწმებ ცას და მიწას: სიცოცხლე და სიკვდილი დაგიდევი წინ, კურთხევა და წყევლა. აირჩიე სიცოცხლე, რომ იცოცხლოთ შენ და შენმა შთამომავლობამ" (II სჯ. 30,19).

მთელი კაცობრიობის და თითოეული ჩვენგანის არსებობის არსი ამ ორი გზიდან ერთ-ერთის არჩევაში მდგომარეობს.

განსაკუთრებული ზრუნვა გვმართებს მომავალ თაობაზე, რათა შემდეგ მათ საყვედური არ გვითხრან, რომ არ დავეხმარეთ, გაცნობიერებული ნაბიჯები გადაედგათ თავისი ცხოვრების გზაზე.

მე ურთიერთობა მაქვს პედაგოგებთან და ნაწილობრივ ვიცი ის პრობლემები, რის წინაშეც დღეს საჯარო სკოლა დგას.

სასიხარულოა, რომ ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მასწავლებელთა ხელფასს გაზრდის და იზრუნებს მათი ავტორიტეტის ამაღლებისთვის; ასევე სასიხარულოა დაწყებით კლასებში ,,დედა ენის" დაბრუნება, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია; ჩვენ მხოლოდ აუცილებელ თემებზე შევჩერდებით და ვიმედოვნებთ, ახალი ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს მას.

პირველ რიგში სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნული სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდას; სასწავლო პროგრამებიდან, სამწუხაროდ, თითქმის ამოღებულია ჩვენი კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებები, ყურადღება არ მახვილდება ჩვენი ერის გმირულ წარსულზე, არ აღინიშნება გამოჩენილ პიროვნებათა და მოვლენათა ღირსსახსოვარი თარიღები; ხშირად არ ეწყობა ექსკურსიები ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხის გასაცნობად... უნდა გატარდეს სხვა ღონისძიებებიც, რომ ყმაწვილებში სამშობლოს სიყვარული გაღვივდეს და ისინი ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ.

ლუკმა-პურის შოვნისთვის სახლიდან გასულ მშობლებს ძალიან ცოტა დრო რჩებათ შვილებისათვის; ამიტომაც სახელმწიფომ და, აქედან გამომდინარე, სკოლამ უნდა იტვირთოს როგორც სწავლების, ისე აღზრდის ფუნქცია.

სკოლაში საათები უნდა დაეთმოს პირად ჰიგიენას, ხელსაქმეს, სახელობო მიმართულებებს, ბუნებასთან ურთიერთობას, სოფლის მეურნეობის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნას, უნდა ფუნქციონირებდეს მუსიკალური, სამხატვრო, ლიტერატურული წრეები...

უმნიშვნელოვანესია სპორტული დარბაზებითა და მოედნებით სასწავლებლების უზრუნველყოფა და სპორტულ წრეებში ბავშვების გაერთიანება, რომ მათ ენერგია აქ დახარჯონ და ჯანმრთელ და ძლიერ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ.

სკოლამ უნდა ჩაუნერგოს მოსწავლეებს შრომის სიყვარული, უნარი პატიებისა და სხვისი სიხარულით გახარებისა, სიმართლის დაცვისა და მეგობრის ერთგულებისა, დაჩაგრულის

თანადგომისა და, საერთოდ, სიკეთის ქმნისა.

ამის განხორციელების შემთხვევაში შეგვეძლება ვთქვათ, რომ მოზარდებს მივეცით საშუალება ჯანსაღ თაობად აღზრდისა; შევთავაზეთ სიკეთე და სიცოცხლე, დანარჩენი კი მათ გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული.

როგორც აღვნიშნეთ, დღეს ხშირ შემთხვევაში დედ-მამა შვილს ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას; სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მშობელი ნაკლებად მონაწილეობს სკოლის ცხოვრებაში, რაც დაუშვებელია; სავალდებულო უნდა გახდეს პედაგოგებთან ხშირი შეხვედრა; მათ უნდა იგრძნონ თავისი პასუხისმგებლობა და მასწავლებლებთან ერთად ყველაფერი გააკეთონ შვილთან მიმართებაში სწორი მიდგომების განსაზღვრისათვის.

რაც შეეხება ოჯახს, ანუ მცირე ეკლესიას: ზოგადად, ყველამ ვიცით, რომ იგი ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულს უნდა ეფუძნებოდეს. ყველამ ვიცით ისიც, რომ ოჯახში უსიამოვნებებიც ხდება, მაგრამ როგორც ცოლი, ისე ქმარი უნდა ეცადოს, რთული სიტუაცია მალევე განმუხტოს და, როგორც წმინდა მამები გვასწავლიან, დღე ისე არ უნდა დასრულდეს, რომ განაწყენებულებმა ერთმანეთს შენდობა არ სთხოვონ. გახსოვდეთ ისიც, რომ ჩხუბსა და დაძაბულობას შვილები უნდა განარიდოთ, მათი მგრძნობიარე სული მთელი სიმწვავით რეაგირებს ასეთ ქმედებებზე; განსაკუთრებით მძიმე კვალს კი მშობლების განშორება ტოვებს.

სამწუხაროდ, დღეს ხშირად ირღვევა ოჯახები, უმთავრესად ახლადშექმნილი. ვფიქრობთ, ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ ახალგაზრდები ცხოვრებისთვის არ არიან მომზადებულნი და პატარა გაუგებრობაც საკმარისი ხდება განშორებისთვის.

მათ უნდა იცოდნენ, რომ თავდაპირველად უსიამოვნებები შეიძლება ჰქონდეთ, რადგან ეს არის ერთმანეთთან რეალური ურთიერთობების დაწყების პერიოდი; ეს არის ოჯახურ სივრცეში დათმობის და, ამავე დროს, შენი ღირსების დაცვის, სიყვარულის გაცემისა და მიღების, სხვისი და საკუთარი თავის პატივისცემის დამკვიდრების პერიოდი.

ცოლ-ქმრისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოძღვრის ყოლას. ამასთან, კარგი იქნება თუ ისინი აღსარებას ერთ სასულიერო პირს ჩააბარებენ (რა თქმა უნდა, შეიძლება სხვა და სხვა მოძღვარიც ჰყავდეთ), რომ მისი საშუალებით თითოეულმა შედარებით უმტკივნეულოდ გააცნობიეროს თავისი შეცდომა და მდგომარეობა გამოასწოროს.

დაეყრდენით ღმერთს, ისწავლეთ მასთან საუბარი, გადაუშალეთ გული და იგი გიჩვენებთ საოცარ მაგალითს მეგობრობისა და შეწევნისა.

ცალკეული ადამიანი და მთელი მსოფლიოც დაუცველობის განცდამ სწორედ იმიტომ მოიცვა, რომ პიროვნება თავისი თავის იმედად დარჩა და შემოქმედი დაივიწყა.

ბედნიერია ის, ვის გულშიც ღმერთმა თვისი ძის სული გამოავლინა (გალატ.4,6) და აღავსო იგი ჭეშმარიტი რწმენით, სასოებითა და სიყვარულით. ასეთი პიროვნებისთვის აღარ არსებობს შიში ხვალინდელი დღისა, აღარ არსებობს შიში განსაცდელისა და თვით სიკვდილისაც, რადგან იცის და სწამს, რომ „ღვთის მოყვარულთ ყოველივე სასიკეთოდ წარემართებათ...~ ხოლო „თუ ღმერთი ჩვენსკენ იქნება, ვინ გამოვა ჩვენს წინააღმდეგ" (რომ. 8, 28,31)!

ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, სომეხნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, უდინნო, იეზიდნო, ქურთნო, ინგუშნო, ჩერქეზნო, ჩეჩენნო, ლეკნო, ყოველნო მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენნო, ყოველნო ერნო, – ჩვენთვის `იშვა ყრმა ახალი, პირველსაუკუნეთა ღმერთი,~ ჩვენს ყველა სენთა და ტკივილთა დიდი მკურნალი.

ბეთლემის ბაგას ვარსკვლავი დასდგომია; ვიჩქაროთ, რომ თაყვანი ვსცეთ ჩვილ იესოს, – აბრაამის აღთქმის განცხადებას, მოსეს რჯულის დასრულებას, ახალ პასექსა და ახალ ადამს, პურს ცხოვრებისას და ნათელს სოფლისას, ძეს ღვთისას და ძეს კაცისას, გზას, ჭეშმარიტებასა და სიცოხლეს.

შორებელთა და ახლობელთ გვიხმობს ღმერთი ჭეშმარიტი, გვიხმობს ხანდაზმულთ და ყრმებს, ახალგაზრდებს, გვიხმობს დამცირებულთ და შეურაცხყოფილთ, ქვრივ-ობლებს, განსაცდელში მყოფთ, მდიდართ და გლახაკთ, ჩინებულთ და უჩინოთ, ერსა და ბერს.

არა აქვს მნიშვნელობა, მისკენ ჩვენი გზის სავალი ბეთლემელი მწყემსებივით ხანმოკლე იქნება, თუ მოგვებივით ხანგრძლივი, მთავარია ვპოვოთ იესო, ვპოვოთ ყოვლადწმინდა მარიამი, ჩვენი გამორჩეული მფარველი, და აღარც განვეშოროთ მათ სიცოცხლის ბოლომდე.

იესო ქრისტეს მოწყალებით, ღვთისმშობლის მეოხებით, ღმერთმა ბედნიერი შობა-ახალი წელი მომადლოს თითოეულ თქვენგანს, სრულიად საქართველოს და მთელ მსოფლიოს.

ყველას გისურვებთ უფლის მადლით აღვსებას!

ღმერთს ებარებოდეთ, იხარეთ ორსავ სოფელსა შინა!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,

ილია II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

შობა ქრისტესი.
თბილისი.

სიღარიბის მიზეზები საქართველოში და მისი დაძლევის გზები (პოლიტეკონომიური ასპექტი)

როზეტა ასათიანი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი, თსუ რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკის ექსპერტი

საქართველომ, დასაბამიდან დღემდე, უამრავი წინააღმდეგობა დაძლია, ამასთან, უახლოეს წარსულში აღიდგინა 70 წლის წინ დაკარგული დამოუკიდებლობა. მიუხედავად ამისა, დღეს, XXI საუკუნეში, როდესაც მსოფლიო ალაპარაკდა ინოვაციური ეკონომიკის პრიორიტეტზე, ქვეყანაში უმძიმესია სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (არაფერს ვამბობთ რთულ პოლიტიკურ ვითარებასა და საზოგადოებისთვის მიუღებელ პოლიტიკურ კულტურაზე).

მსოფლიოში საკმაოდ აპრობირებული გამოცდილება – კეთილდღეობა კონკურენციის გზით, უცხოა ჩვენი ქვეყნისთვის. იგი ჩანასახოვან მდგომარეობაშიც კი არ არსებობს, რასაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა (იგი საქართველოში 2006 წელს გაუქმდა) და, აქედან გამომდინარე, ანტიმონოპოლიური რეგულირების არარსებობა. ოლიგოპოლიური ბაზარი განაპირობებს კონკურენციის ჰორიზონტალურ შეზღუდვას. საქართველოს რეალური სექტორის ადგილი საბანკო და სხვა საფინანსო ინსტიტუტებმა დაიკავეს. საბანკო სისტემა ვერ აწვდის სისხლს ეკონომიკას, არ არის კონკურენტუნარიანი. ამიტომ საქართველოში, მოჭარბებული მწვავე პრობლემების გავლენით, სუსტია ეკონომიკა და მასშტაბურია სიღარიბე. ეს სამწუხარო რეალობა მოითხოვს კომპლექსურ შესწავლას, მეცნიერულ დონეზე გაანალიზებასა და ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლისათვის სათანადო ღონისძიებების დასახვა-განხორციელებას.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური თეორიის მეინსტრიმი; ახალი მსოფლიო წესრიგი; კონკურენციული წესრიგი; ინსტიტუციური წესრიგი; სოციალური წესრიგი; კლასიკურ-ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა; ნეოკლასიკური ეკონომიკური მიმდინარეობა; „კეინზიანური რევოლუცია“; „ნეოკლასიკური სინთეზი“; მონეტარისტული ეკონომიკური პოლიტიკა; „ახალი ნეოკლასიკური სინთეზი“.

საქართველო ეკონომიკური ექსპერიმენტების კლასიკურ ქვეყანად იქცა. 70-წლიანი სოციალისტური ექსპერიმენტი შეცვალა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ექსპერიმენტმა. თუმცა, დავადექით კი იმ გზას, რომელიც დასახულ მიზნამდე მიგვიყვანდა? ამ გზით შევძლებთ სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის – საბაზრო ეკონომიკის შექმნას? არადა, დღეს, გლობალურ სამყაროში, შეუძლებელია ასეთი სისტემის გარეშე წინსვლა და განვითარება. საქართველოს აქვს საკუთარი, ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციები, ეკონომიკური, კულტურული და ა.შ. თავისებურებები, რაც აისახება მისი განვითარების სტრატეგიაში და ეყრდნობა იმ ეკონომიკურ და არაეკონომიკურ ფასეულობებს, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის განვითარებისა და საზოგადოების კეთილდღეობის დონეს. ეს ფასეულობები საყოველთაოა მსოფლიოში და დიდ როლს ასრულებენ XXI საუკუნის პრიორიტეტის რეალიზაციაში – ინტელექტუალური კაპიტალისა და ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების საფუძველზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, რომლის საბოლოო მიზანი „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ მოთხოვნათა ცხოვრებაში განხორციელებაა.

პოსტინდუსტრიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუძემდებელი, ცნობილი ამერიკელი მეცნიერი დენიელ ბელი წერდა: „ჩვენ მოწმენი ვართ დასავლეთში მიმდინარე მასშტაბური, ისტორიული პროცესების, როდესაც ძველი საზოგადოებრივი

ურთიერთობები, სახელისუფლებო სტრუქტურები და ბურჟუაზიული კულტურა სწრაფ ეროზიას განიცდის. ახალ საზოგადოებაში, სადაც სოციალური პრობლემები უკეთესად წყდება, მთავარია, არა ძლიერი კუნთები, არამედ ცოდნა და ინფორმაცია."[1]

ეკონომიკის კონვერსიის რანგში გატარებული რეფორმების მიუხედავად, დღეს საქართველოში არ არსებობს ეკონომიკური წესრიგის (კონკურენციული წესრიგის, ინსტიტუციური წესრიგის, სოციალური წესრიგის) პოლიტიკა. XX საუკუნის გადმონაშთი – ექსტრემისტული, ველური კაპიტალიზმი XXI საუკუნეში ანგრევს მის ეკონომიკას.

უკიდურესი სიღარიბე (საკმარისია აღინიშნოს, რომ ოფიციალური მონაცემებით, დღეს საქართველოში ყოველი მეხუთე ბავშვი შიმშილობს), უპირველეს ყოვლისა, სუსტი ეკონომიკის შედეგია. ეს აქსიომატური ჭეშმარიტებაა. ეროვნული ვალუტის გაუფასურების მთავარი მიზეზიც სუსტი ეკონომიკაა, ვინაიდან ლარის დასაქონლიანება, გამყარება სამამულო პროდუქციით, დაბალი წარმოებისა და მოსახლეობის დაბალი გადახდისუნარიანობის გამო, ვერ ხერხდება. საქართველოში იმდენად ნელა ვითარდება ეკონომიკა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ჯერ კიდევ, ვერ გასცდა 1990 წლის დონეს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2017 წლის მონაცემებით, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან თითქმის სამი ათეული წლის თავზე(!) საქართველოს მშპ-მა 1990 წლის დონის 96,7%-ს მიაღწია (იხილეთ №1 ცხრილი).

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა (ამჟამადაც იგივე მდგომარეობაა) საქართველოს სოფლის მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში მთიანი რაიონების მოსახლეობის ხვედრითი წონის დაცემისა და ცალკეულ რაიონებში აბსოლუტური შემცირების ტენდენცია, რომელმაც კანონზომიერი ხასიათი მიიღო. ასევე, ეცემა სოფლის მთლიანი მოსახლეობის რიცხოვნობაც, რაც განაპირობებს იმას, რომ მიწათმოქმედების ქვეყანაში, საუკეთესო ბუნებრივი პირობების მიუხედავად, კატასტროფულად დაბალია აგრარულ სექტორში მშპ-ის ზრდის ტემპი. როგორც №1 ცხრილიდან ჩანს, 2017 წელს იგი 1990 წლის დონის მხოლოდ 42,2%-ს შეადგენდა, რაც განსაკუთრებულ ყურადღებასა და ძალისხმევას მოითხოვს როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოების მხრიდან. 2013 წლამდე საქართველოში არ არსებობდა აგრობიზნესის განვითარების სტიმულები. ამჟამად ხელისუფლება ცდილობს ამ მიმართულებით პოზიტიური ნაბიჯების გადადგმას.

მოჩვენებითი დემოკრატია საქართველოში აფერხებს მეწარმეობის განვითარებასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. არადა, მეწარმეობის სტიმულირებით უნდა მოხდეს საბაზრო უწონასწორობის მინიმიზაცია. ქვეყანაში, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან წლების განმავლობაში დაშვებული უხეში შეცდომების შედეგად, ჩამოყალიბდა ქონებრივად მკვეთრად დიფერენცირებული საზოგადოება, უკიდურესად დაბალი ერთობლივი მოთხოვნის პირობებში მწვავეა სოციალური სტრატიფიკაცია, ღრმაა სოციალური პოლარიზაცია.

საქართველოში მკვეთრი ქონებრივი უთანაბრობა აძნელებს სოციალურ მობილურობასა და ზრდის ეკონომიკის კრიმინალიზაციას.

სოციალური მობილურობა სწრაფად დაეცა მრავალ ქვეყანაში, ამასთან, გაიზარდა ქონებრივი უთანაბრობა. მდიდარი ელიტა თავის ფულს იყენებს ძირითადად ინფრასტრუქტურის ობიექტების, კერძო სკოლების თუ კერძო სამედიცინო დაწესებულებების საყიდლად, ნაკლებადაა დაინტერესებული საზოგადოების მწვავე სოციალური პრობლემებით. მრავალი ქვეყნის გამოცდილება მიუთითებს ურთიერთკავშირზე შესაძლებლობების უთანაბრობასა და შედეგების უთანაბრობას შორის.

საინტერესოა ცნობილი ამერიკელი მეცნიერის, ნობელის პრემიის ლაურეატის, ჟოზეფ სტიგლიცის შეხედულება ქონებრივი უთანაბრობის შესახებ. მისი აზრით, „აშშ-ში ნეოლიბერალური პოლიტიკის შედეგად მკვეთრად გაიზარდა ქონებრივი უთანაბრობა. ახალგაზრდა ამერიკელების წარმატება უფრო მეტადაა დამოკიდებული მათი მშობლების და არა საკუთარ შემოსავლებზე. ჩვენ ამით ვკარგავთ ყველაზე ძვირფას რესურსებს – ადამიანისეულ რესურსებს. მათ დაკარგული აქვთ სტიმული იცხოვრონ თავიანთი პოტენციალის შესაბამისად. ის ადამიანები, რომლებიც დაიბადნენ სიღარიბეში, დიდი ალბათობით, ასევე, დაასრულებენ ცხოვრებას სიღარიბეში. მდიდარ უმცირესობას გაცილებით მეტი შანსი აქვს აღმოჩნდეს პოლიტიკურ სტრუქტურებში ან სხვა სახელისუფლებო პოსტებზე, რაც აღრმავებს უთანაბრობას საზოგადოებაში. უკიდურესი უთანაბრობა ზრდის ძალადობას ქვეყანაში, ამიტომ, საყოველთაოდ ცნობილია, რომ მდიდრები უფრო ბედნიერები არიან ისეთ საზოგადოებაში, სადაც

1. Белл Д. Грядущее постиндустриальное общество. Опыт социального прогнозирования. Перевод с английского. М., «Academia», 1999, с. 113.

№1 ცხრილი

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ჯაჭვური ინდექსი (1990 - 100)[2]

	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003
აგრარული სექტორი	100,0	77,9	52,3	41,1	42,2	40,0	41,7	43,3	40,5	43,3	38,1	41,2	40,6	44,8
მრეწველობა	100,0	77,1	34,3	28,0	19,3	17,2	18,6	19,4	19,0	19,7	20,8	19,8	22,1	24,1
მშენებლობა	100,0	67,4	39,1	12,6	12,6	13,8	17,3	26,1	35,4	27,8	28,9	31,9	45,6	66,8
ვაჭრობა	100,0	83,9	42,2	46,8	56,6	121,2	157,5	161,0	163,6	169,8	188,0	204,6	212,6	238,2
სასტუმროები და რესტორნები	100,0	86,9	50,1	59,2	65,0	81,0	98,0	127,2	136,0	149,7	161,9	216,5	232,9	265,9
ტრანსპორტი და სასაწყობო მეურნეობა	100,0	86,1	54,0	37,2	30,3	30,5	30,5	43,4	65,8	69,3	79,0	80,3	88,1	91,9
კავშირგაბმულობა და ფოსტა	100,0	139,3	65,2	56,8	30,0	31,6	31,9	33,1	45,2	48,4	52,4	52,5	53,8	73,4
საფინანსო შუამავლობა	100,0	56,4	125,9	61,5	61,5	27,5	33,2	57,3	102,1	162,0	166,1	189,1	232,4	274,5
ოპერაციები უძრავი ქონებით, არენდა და კომერციული საქმიანობა	100,0	89,3	56,1	57,4	49,1	25,9	26,6	28,1	28,5	27,8	28,6	30,5	30,0	33,2
სახელმწიფო მმართველობა	100,0	64,0	45,8	37,4	28,7	40,8	45,0	44,3	48,4	45,3	45,5	43,8	44,4	43,3
განათლება	100,0	96,2	76,6	73,5	81,5	74,0	70,2	70,3	68,3	61,7	66,8	69,2	70,2	71,3
ჯანდაცვა	100,0	96,4	84,6	52,7	68,5	54,9	49,6	47,7	47,2	48,9	50,4	50,6	53,9	54,8
სხვა საქონლისა და მომსახურების წარმოება	100,0	120,1	114,1	73,8	88,2	92,7	110,2	112,2	115,0	113,3	111,6	110,1	112,2	123,1
მშპ საბაზრო ფასებში	**100,0**	**79,4**	**43,7**	**30,9**	**28,2**	**28,9**	**32,2**	**35,6**	**36,7**	**37,7**	**38,4**	**40,2**	**42,4**	**47,1**
	2004	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**	**2017**
აგრარული სექტორი	41,4	46,2	40,8	42,1	40,2	37,6	36,0	39,1	37,6	41,9	42,6	43,2	43,4	42,2
მრეწველობა	25,5	28,3	34,0	37,8	38,0	36,0	41,3	45,9	50,8	54,7	55,9	55,5	58,0	60,6
მშენებლობა	86,1	92,6	101,0	115,6	101,2	96,8	101,0	108,2	124,1	111,6	126,2	143,2	157,6	175,2
ვაჭრობა	258,1	282,1	336,8	369,4	410,4	345,6	390,9	411,1	440,4	463,6	490,6	491,7	503,7	536,7
სასტუმროები და რესტორნები	272,9	316,9	350,4	389,9	411,7	391,9	442,0	483,5	537,6	562,9	603,9	649,3	733,0	815,4
ტრანსპორტი და სასაწყობო მეურნეობა	95,8	99,4	116,1	129,9	116,9	117,3	135,3	144,3	153,9	159,8	169,0	174,8	169,5	181,7
კავშირგაბმულობა და ფოსტა	85,7	110,4	124,8	135,5	156,5	151,5	167,7	181,0	199,0	201,0	213,6	222,8	216,0	225,2
საფინანსო შუამავლობა	313,1	467,1	634,4	741,9	766,1	774,5	869,7	1085,1	1248,1	1337,3	1470,0	1620,7	1778,6	1941,7
ოპერაციები უძრავი ქონებით, არენდა და კომერციული საქმიანობა	35,9	37,3	39,7	44,5	46,2	46,1	48,7	52,1	54,4	57,6	60,6	62,5	65,0	68,1
სახელმწიფო მმართველობა	46,1	43,4	42,7	49,6	54,6	55,2	55,7	57,6	59,5	60,8	62,3	63,6	64,7	66,9
განათლება	73,5	81,4	90,2	99,0	111,6	117,2	120,8	124,0	127,6	131,6	135,6	138,5	142,7	147,9
ჯანდაცვა	57,2	61,3	70,4	78,1	83,3	90,2	93,0	94,2	96,9	96,7	98,1	100,5	101,9	104,7
სხვა საქონლისა და მომსახურების წარმოება	125,6	144,6	149,8	186,2	183,4	171,4	174,8	188,8	192,4	200,2	202,1	213,3	218,8	218,5
მშპ საბაზრო ფასებში	**49,9**	**54,7**	**59,8**	**67,3**	**69,0**	**66,4**	**70,6**	**75,7**	**80,5**	**83,2**	**87,1**	**89,6**	**92,1**	**96,7**

2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.

უფრო დაცულია თანასწორუფლებიანობა."[3] ამ მოსაზრებას ამტკიცებს დიდი შოტლანდიელი მოაზროვნის ადამ სმითის გამონათქვამი: „საზოგადოება არ შეიძლება ჰყვაოდეს და ბედნიერი იყოს, თუ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ღარიბი და უბედურია."[4]

მკვეთრი ქონებრივი უთანაბრობა არაეთიკურიცაა. უკიდურეს სიღარიბეს ისევე შეუძლია მორალურად გახრწნას ადამიანი და უბიძგოს უღირს საქციელზე, როგორც უკიდურეს სიმდიდრეს, რომელიც ასუსტებს თვითნებობის მოთოკვის უნარს და მრავალი მანკიერების, სოციალური ბოროტების წყაროა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, ნორმატიულ-სტატისტიკურ მეთოდზე დაყრდნობით, საქართველოში 2017 წლის დეკემბერის მდგომარეობით სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა შეადგენდა 21,9%-ს, შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმ 173,5 ლარია, საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმ 153,7 ლარია,საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმ 191 ლარია. ექსპერტული შეფასებით,ეს არის მოსახლეობის უღატაკესი ფენა (პაუპერები). სოციალურად ღარიბები (ანუ მოსახლეობის ის ნაწილი, რომლის შემოსავალიც ფარავს საარსებო მინიმუმს, მაგრამ არ არის საკმარისი ნორმალური კვლავწარ მოებისათვის) 50%-ია.

საქართველოში ვერ ჩამოყალი ბდა საშუალო ფენა, რომელიც, როგორც წესი, მოსახ ლეობის უმეტეს ნაწილს უნდა შეადგენდეს. არსებული პენსია საარსებო მინიმუმის ნახევარსაც ვერ ფარავს.

საქართველოში დიდი ხანია ფეხი მოიკიდა კორუფციამ, რომელიც დამანგ-რე ველ გავლენას ახდენს არა მხოლოდ ეკონომიკის განვითარებაზე, არამედ მორალსა და სოციალურ სოლიდარობაზე. ამის გამო ქვეყანაში ნაკლებია ინვესტიციები,განსაკუთრებით საზოგადოებრივ დოვლათში, თუმცა ეს სიტუაცია მხოლოდ საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი.

ფული ის ინსტრუმენტია, რომლითაც გაცილებით ადვილია ღარიბი უმრავლესობის, ვიდრე საშუალო ფენის, მართვა. ამიტომ ძალაუფლების შენარჩუნება უფრო ადვილია პოლარიზებულ საზოგადოებაში, სადაც უმრავლესობას წარმოადგენს ღარიბი ფენა. როდესაც უმრავლესობაშია საშუალო ფენა, მაშინ ის დემოკრატიული გზით თვით ირჩევს ხელისუფლებას. თუ ქვეყანაში უმრავლესობაა ღარიბი ფენა, მაშინ ხელისუფლებას, ფაქტობრივად, მდიდარი უმცირესობა ირჩევს, ხოლო ხელისუფლება იცავს იმათ ინტერესებს, რომლებიც ირჩევენ მას.

სოციალური უსამართლობა და სოციალური კატასტროფები, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება საბაზრო კონკურენციის შეზღუდვით, ხელისუფლებასთან ბიზნესის შერწყმით. მთავარი ძალა, რომელიც წინ ეღობება საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, არის ხელისუფლების როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ძალაუფლება. იგი წარმოშობს უსამართლობას ეკონომიკაში და, საერთოდ, საზოგადოებაში.

ქვეყანა მაშინ ვითარდება, როდესაც ატარებს კონკურენციულ პოლიტიკას. ამიტომაცაა ადიარებული, რომ კონკურენციული პოლიტიკა საუკეთესო სოციალური პოლიტიკაა. ყველაზე ცუდი ის არის, რომ მსხვილი ბიზნესმენები ადგილს იკავებენ ხელისუფლებაში და ამით კიდევ უფრო აძლიერებენ თავიანთ მონოპოლიურ პოზიციას ბაზარზე.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები დარწმუნდნენ იმაში, რომ ეკონომიკისათვის სოციალური ორიენტაციის მიცემა ქვეყნის ჰარმონიული განვითარების საწინდარია. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე პირობებში განვითარებულ ქვეყნებში ცენტრალური ადგილი სოციალური სტაბილიზაციის პრობლემებს უჭირავთ. ეკონომიკის სოციალიზაცია თანამედროვე ცივილიზაციის გამოწვევაა. ამ გზით მიმავალი ქვეყნები უპირატესობას ანიჭებენ ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სისტემის ორგანიზებას, თვითდასაქმების სისტემის განვითარებასა და არა სოციალური დახმარების ჩვეულებრივ, შეიძლება ითქვას,დრომოჭმულ სისტემას.

საქართველოში სათანადოდ არ არის დაცული კერძო საკუთრება, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა საბაზრო ურთიერთობების ფორმირებასა და განვითარებას. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დიდი ხანია იზოლირებულია საქმიანი აქტიურობისაგან, მითუმეტეს პრივატიზაციის პროცესებისაგან, რაც თავიდანვე ფორსირებული ტემპით მიმდინარეობდა და არ ითვალისწინებდა ქვეყნის თავისებურებებსა და საზოგადოების მოთხოვნებს. არადა, საქართველოში მეწარმეობის დიდი ტრადიციები პრივატიზაციისადმი საკუთარ მიდგომას მოითხოვს, რაც არ იქნა გათვალისწინებული. ქვეყანაში არ-

3. Stiglitz J. The Price Inequality. "W.W. Nortonn & Company", New York-London, 2012, p. 71.
4. სმითი ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თარგმანი ინგლისური-დან. თბილისი, 1938, გვ. 47.

სებული კრიმინოგენური სიტუაცია, მწვავე ენერგოკრიზისი, ტრანსპორტის პარალიზება, საომარი სიტუაცია, ჰიპერინფლაცია და ა.შ. უარყოფითად მოქმედებდა პრივატიზაციის ისედაც რთულ პროცესზე, რომელიც გარკვეული ხარვეზებით წარიმართა. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების პრივატიზაცია, რომლებიც ძირითადად საბალანსო ღირებულებით, პირდაპირი მიყიდვის წესით, გადაეცათ ე.წ. შრომით კოლექტივებს.

სახელმწიფო ქონების ერთი და იმავე მესაკუთრეთა ფორმირების პირობებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტმა დაკარგა უზარმაზარი თანხა, რომელიც ჰაერივით სჭირდებოდა ქვეყნის ეკონომიკას. რატომ აღმოჩნდნენ ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკები პრიორიტეტულ მდგომარეობაში? მათ გროშებად ჩაუვარდათ ხელში სახელმწიფო ქონება, თანაც მიეცათ უფლება ამ ქონების ღირებულების 50-დან 65%-მდე გადახდის, ხოლო შემდეგ, საზოგადოებისაგან ჩალის ფასად ნაყიდი ვაუჩერებით, მისი დაფარვის შესაძლებლობა. მოკლედ, საქართველოს ხელისუფლებამ გადადგა ასეთი „ჰუმანური“ ნაბიჯი და დროებით ამხანაგობებს პირდაპირი მიყიდვის წესით, მიზერულ ფასში, გადასცა აღნიშნული ქონება. ამის პარალელურად ხელისუფლებამ უყურადღებოდ დატოვა ინტელიგენცია – მეცნიერები, პედაგოგები, ექიმები, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკები, რომლებიც შემდეგ, ცხოვრების დონის უკიდურესად დაცემის შედეგად, აღმოჩნდნენ უმძიმეს მდგომარეობაში. ჩალის ფასად მოხდა აგრეთვე იმ საწარმოების გაყიდვაც, რომელთა გამოსასყიდი თანხა ჰიპერინფლაციის პერიოდში სიმბოლურად იქცა. საქართველოში ასეთი იყო, დაახლოებით, 300-მდე უმნიშვნელოვანესი საწარმო.

აღსანიშნავია, აგრეთვე, მასობრივი პრივატიზაცია საქართველოში, რომელიც ითვალისწინებდა მოსახლეობაში 30 აშშ დოლარის ეკვივალენტის ნომინალური ღირებულების ვაუჩერების გავრცელებას. ვაუჩერიზაციამ გარკვეულწილად დააჩქარა პრივატიზაციის პროცესი, ვინაიდან დაბალი ერთობლივი მოთხოვნის პირობებში შეიქმნა მოსახლეობისათვის სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შესაძლებლობა, თუმცა, იმდენად მიზერული იყო ეს თანხა, რომ მან თავისი როლი ვერ შეასრულა. ამ გზით მოსახლეობა მესაკუთრე ვერ გახდა. ამასთან, ვაუჩერებით დაკმაყოფილდა მოსახლეობის მხოლოდ 83,6%, ხოლო 16,4%-მა[5], სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ მიიღო კუთვნილი ვაუჩერი. გარდა ამისა, სწრაფი ინფლაციური პროცესების გავლენით, ვაუჩერების ფაქტობრივი ღირებულება 8-ჯერ და მეტად შემცირდა, ხოლო მათი საბაზრო ფასი 5 ლარამდე დაეცა.

აღსანიშნავია, რომ უცხოელი ინვესტორები პრივატიზაციის პროცესში თანაბარი უფლებით სარგებლობდნენ. მათ შეიძინეს საქართველოს ქონების 20%.[6] ამასთან, მოქალაქეთა მიერ კუთვნილი ვაუჩერების გაყიდვის გზით სახელმწიფო საკუთრების მნიშვნელოვანი ნაწილის კონცენტრაცია მოხდა ნომენკლატურის ხელში. ვაუჩერების დაახლოებით 70%-ის საშუალებით სახელმწიფო ქონება ხელში ჩაიგდო მოსახლეობის მხოლოდ 1-მა პროცენტმა.[7]

სხვა მიზეზებიდან, რომლებიც განაპირობებენ საქართველოს ეკონომიკაში შექმნილ რთულ მდგომარეობას, შემდეგია:

დამოუკიდებლობის აღდგენიდან დაწყებული, შეიძლება ითქვას, „მოდიავებული“ ქვეყანა მოუმზადებლად და გაუცნობიერებლად ჩაეშვა გლობალიზაციის მორევში. აქტიური მოსახლეობის მესამედზე მეტი უცხოეთში წავიდა საშოვარზე გონისა და სულის გლობალურ ბაზარზე სავაჭროდ. ვინც რას შოულობდა, მნიშვნელოვან ნაწილს აგზავნიდა საქართველოში (ეს პროცესი დღესაც გრძელდება). ემიგრანტების ფულადი გზავნილები საქართველოში, რომელიც 2017 წლის ოფიციალური მონაცემებით, 1 873 მლნ დოლარია (2008 წელს კი 800 მლნ დოლარს შეადგენდა),[8] არსებული სუსტი ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის და მათ, რა თქმა უნდა, პოზიტიური დატვირთვა აქვთ. ამით ემიგრანტები, არაპირდაპირი გზით, დადებით გავლენას ახდენენ შრომის ბაზარზე. მართალია, მათი ქვეყნიდან გადინებით მცირდება უმუშევრობა, გარკვეულწილად სიღარიბის დონეც ეცემა, მაგრამ ამ პროცესს გაცილებით დიდი ნეგატიური ეფექტები ახლავს, რაც გამოიხატება შემდეგში: ემიგრანტების გზავნილები ხელს უწყობს საქართველოს ეკონომიკის წარმოებაზე ორიენტირებულობის ნაცვლად, შემოსავლებზე ორიენტირებულობას, ხოლო საზოგადოების – არა მწარმოებელ, არა-

5. საქართველოს ეროვნული ბანკი. ძირითადი მიმართულებები და ფუნქციები. I გამოცემა. თბილისი, 2008, გვ. 20.
6. არჩვაძე ი. რა ფერისაა მილიარდი? თბილისი, „მერკური“, 2002, გვ. 32.
7. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია. საქართველოს ეკო ნომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001, გვ. 257.
8. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

ემედ უპირატესად მომხმარებელ საზოგადოებად ჩამოყალიბებას. ამიტომ საქართველოსთვის ეს კურსი არ არის ხელსაყრელი. ამასთან, რა შედეგებს მოუტანს მცირერიცხოვან ქვეყანას შრომითი რესურსების ქვეყნიდან გადინება (რომლის რიცხოვნებამაც 1 მლნ 200 ათასს გადააჭარბა)? ემიგრანტები, რომლებიც ძირითადად ახალგაზრდები და შუა ხნისანი არიან, დანაკარგებად ითვლებიან მშობლიური ქვეყნისთვის. კვალიფიციური კადრების ემიგრაცია ინტელექტის გადინებას ნიშნავს. მშობლიურმა ქვეყანამ მათი აღზრდისა და განათლებისათვის გარკვეული სოლიდური ხარჯი გასწია, სხვა ქვეყანამ კი, მათი გამოყენებით, ყოველგვარი ხარჯის გაწევის გარეშე, მოგება მიიღო. ამრიგად, ამ თვალსაზრისით, ემიგრაცია დანაკარგად ითვლება ემიგრანტის მშობლიური ქვეყნისთვის და უდიდესი უარყოფითი გარეეფექტის მატარებელია.

სუსტი ეკონომიკისა და ღრმა სიღარიბის ერთ-ერთი მიზეზი, ზოგადად, კერძოდ კი, საქართველოში არის ფინანსებისადმი საყოველთაო წვდომის დაბალი დონე. ამ პრობლემისადმი ინტერესი დიდია არა მხოლოდ პრაქტიკული, არამედ თეორიული თვალსაზრისითაც. მასზე მსჯელობა საგრძნობლად გააქტიურდა უკანასკნელ პერიოდში საზღვარგარეთ.[9]

კარგად ფუნქციონირებადი საფინანსო სისტემა ეყრდნობა ფინანსებისადმი წვდომის ფართო სპექტრს. ფინანსებისადმი საყოველთაო წვდომის დონესა და სიღარიბის დონეს შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი. ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობა ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. იგი ხელს უწყობს ახალი საწარმოებისა და, აქედან გამომდინარე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას, ამასთან, სიღარიბის შემცირების მნიშვნელოვანი გზაა.

ფინანსებისადმი თავისუფალი წვდომა ამცირებს ქონებრივ უთანაბრობას. განვითარებული ქვეყნების საფინანსო სისტემები მომსახურებას უწევენ ღარიბ ფენებსა და მცირე ბიზნესის საწარმოებს. ფინანსებისადმი საყოველთაო წვდომის გაუმჯობესებისათვის უპირველესი ნაბიჯია მისი გაზომვა, თუმცა მონაცემების სიმცირის გამო არსებობს მეთოდოლოგიური სიძნელეები.

მიუხედავად ამისა, შესაბამისი ინდიკატორები მიუთითებენ იმაზე, რომ მთელ მსოფლიოში შინამეურნეობები განიცდიან ფინანსური მომსახურების ნაკლებობას. განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის მხოლოდ ნახევარს აქვს წვდომა ფინანსურ მომსახურებაზე ანუ მხოლოდ მათ აქვთ საბანკო ანგარიშები. ბევრ ქვეყანაში კი ასეთი სახის მომსახურება აქვთ მხოლოდ შინამეურნეობათა 1/5-ს (თუ უფრო ნაკლებს არა).[10] ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, არის ქვეყანათა გეოგრაფიული მდებარეობა და ეკონომიკური განვითარების დონე, რასაც ადასტურებს №1 ნახაზი (იხ. №1 ნახაზი).

№1 ნახაზი

საფინანსო ორგანიზაციებში ანგარიშის მძღონე შინამეურნეობების წილი რეგიონების მიხედვით[11]



9. Ашли Демиргюч-Кунт, Торстен Бек, Патрик Хонован. Финансовые услуги для всех? Стратегии и проблемы расширения доступа. Перевод с английского. М., «Альпина Паблишерс», 2011.
10. იქვე, გვ. 39.
11. იქვე, გვ. 17.

როგორც საზღვარგარეთის პრაქტიკიდან ჩანს, ამჟამად სპეციალიზებული საფინანსო სტრუქტურები, ფინანსებისადმი წვდომის გაუმჯობესების მიზნით, ბანკის წარმომადგენელთა მიერ ღარიბთა საცხოვრებელ უბნებში მისვლით, იყენებენ ჯგუფური დაკრედიტების ფორმას. ჯგუფური დაკრედიტება ზრდის კლიენტთა რაოდენობასა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტიურობას.[12] ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა, გარკვეულწილად, ხელს უწყობს საზოგადოებაში უთანაბრობის შემცირებას.*

ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი მაჩვენებელია საფინანსო ორგანიზაციების განყოფილებების სიმჭიდროვე კვადრატულ კილომეტრზე, ასევე, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. მაგალითად, ესპანეთში 100 ათას კაცზე მოდის ბანკების 96 განყოფილება, 10 ათას კვადრატულ კილომეტრზე კი – 790, ხოლო ევროპიაში 100 ათას კაცზე მოდის 1 განყოფილება.[13]

ამ დარგის სპეციალისტები აღნიშნული პრობლემის ერთ-ერთ მიზეზად კლიენტის პიროვნების იდენტიფიკაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის არარსებობას მიიჩნევენ.[14] ბევრ ქვეყანაში დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანთა უმრავლესობას ასეთი დოკუმენტები არა აქვთ. განვითარებული ქვეყნების ბანკები ხელს უწყობენ და ამაღლებენ მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებისადმი წვდომას. ამ ბანკების მფლობელებს მოცემულ ქვეყანაში უცხოეთიდან შემოაქვთ კაპიტალი, ტექნოლოგიები, ნოუ-ჰაუ და ნაკლებად არიან დამოკიდებულნი ადგილობრივ ბაზარსა და პოლიტიკურ ელიტაზე. მათ ინტერესში, ასევე, ნაკლებად შედის მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური პრობლემები, მაგრამ კონკურენცია ამ სფეროში აიძულებს ინვესტორებს მოემსახურონ მათ. ამიტომ თანამედროვე პირობებში იზრდება საბანკო დაფინანსების როლი. დაფინანსებისადმი წვდომის გაუმჯობესება ხელს უწყობს შინამეურნეობათა შემოსავლებში უთანაბრობის შემცირებას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სიღარიბის დონის შემცირებას, თუმცა, მომსახურების ამ ფორმით მხოლოდ მოსახლეობის 20-დან 50%-მდე სარგებლობს. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ნაკლებად არის ინფორმირებული მისი არსებობის შესახებ.

ძლიერი საფინანსო სისტემა ხელს უწყობს ახალი ფირმების წარმოქმნას, ინოვაციური და უფრო ოპტიმალური სიდიდის საწარმოების შექმნას, ამასთან, ამცირებს რისკებს. ფინანსებისადმი წვდომის დონეზე, კანონების დაცვით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინსტიტუციური გარემოც. ასევე, ფინანსების საყოველთაობაზე გავლენას ახდენს შუამავალი ფირმების საქმიანობის ეფექტიანობაც. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხელმისაწვდომობაც. ეს მოწინავე გამოცდილებები გასათვალისწინებელია საქართველოს საბანკო სისტემისთვისაც, რაც ხელს შეუწყობს სიღარიბის შემსუბუქებასა და ეკონომიკის აღმავლობას.

საქართველოში, უმეტეს შემთხვევაში, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, განსაკუთრებით კი დაბალ ფენებს, ამის გამო არა აქვთ მუდმივი სამუშაო, არა აქვთ სესხის დაფარვის შესაძლებლობა (ასევე, სესხის დაფარვის გარანტიის დოკუმენტაცია). ხშირ შემთხვევაში, საფინანსო ორგანიზაციების მხრიდან, სიძვირის გამო, წვრილი ტრანსაქციების მომსახურება შეზღუდულია.

საქართველოში 600 ათასზე მეტ ადამიანს, აქედან, 150 ათასს, სოციალურად დაუცველ ფენას აქვს საბანკო დავალიანება. 2 ათასი ლარის ფარგლებში სესხის (რომელიც 1 მლრდ 500 მლნ დოლარს შეადგენს) დაფარვის ვალდებულება აიღო ბენკებთან ერთად საქველმოქმედო ორგანიზაცია „ფონდმა ქართუმ“ და მისი განულება დაგეგმილია 2018 წლის ბოლოსათვის, რაც უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა.

საქართველოში სუსტი ეკონომიკისა და ძლიერი სიღარიბის პირობებში სწრაფი ტემპით იზრდება საგარეო ვალი, რომელიც გარკვეული წლების მიხედვით დინამიკაში, 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგია: 1999 წელს საქართველოს საგარეო ვალი შეადგენდა 2 მლრდ 203 მლნ დოლარს, 2003 წელს – 2 მლრდ 861 მლნ დოლარს, 2006 წელს – 3 მლრდ 800 მლნ დოლარს, 2012 წელს – 13 მლრდ 415 მლნ დოლარს, ხოლო 2017 წელს – 17 მლრდ 260 მლნ დოლარს.[15]

იმის გამო, რომ საქართველომ ვერ შეძლო ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყანა გამხდარიყო, დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე თავი

12. Ашли Демиргюч-Кунт, Торстен Бек, Патрик Хонован. Финансовые услуги для всех? Стратегии и проблемы расширения доступа. Перевод с английского. М., «Альпина Паблишерс», 2011, с. 40.
* პრაქტიკა აჩვენებს, რომ ფინანსებისადმი საყოველთაო წვდომის შესახებ მონაცემები შეზღუდულია.
13. Ашли Демиргюч-Кунт, Торстен Бек, Патрик Хонован. Финансовые услуги для всех? Стратегии и проблемы расширения доступа. Перевод с английского. М., «Альпина Паблишерс», 2011, с. 17.
14. იქვე, გვ. 24.
15. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

ვერ დააღწია უარყოფით საგადამხდელო ბალანსს. 2017 წლის მონაცემებით, იმპორტის მკვეთრად გამოხატული წინგამსწრები ტემპი ექსპორტთან შედარებით, არის 74,4:25,6-თან (2016 წელს კი იყო 80:20-თან). ძალზე დამაფიქრებელია ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაც, რომელშიც ჭარბობს ბუნებრივი რესურსები, სამაგიეროდ, დისბალანსი მოხ მარებასა და წარმოებას შორის სამომხმარებლო იმპორტით კომპენსირდება.

საქართველოში აღნიშნული და სხვა პრობლემების არსებობის უმთავრესი მიზეზი, რომელიც განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას, შემდეგია:

დღეს, როდესაც ეკონომიკის სოციალიზაციის გაძლიერების მსოფლიოს განვითარების კანონზომიერმა პროცესმა ახალი იმპულსი შეიძინა და ბიძგი მისცა ეკონომიკურ პროგრესს, აუცილებელი გახდა ეკონომიკური თეორიის მეინს ტრიმის (ძირითადი მიმართულების) და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური პოლი ტიკის შეცვლა.

კონტრასტულ სამყაროში ასეთია დღეს მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის ლოგიკა. ეპოქალურმა მოვლენებმა და პროცესებმა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ეკონომიკური თეორია, რომელიც ეკონომიკური მეცნიერების წარმოშობიდან ანუ XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან, მსოფლიო ეკონომიკური განვითარების კატალიზატორია. ამ მოსაზრებას ისტორიული წიაღსვლებიც ადასტურებს.

ეკონომიკური მეცნიერების მამამთავრად აღიარებულმა ადამ სმითმა შექმნა კლასიკურ-ლიბერალური ეკონომიკური მიმდინარეობა, კაცობრიობის კულტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლად ცნობილ ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (1776), მან ისტორიაში პირველად განიხილა ეკონომიკის საკვანძო საკითხები პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან კავშირში.

ა. სმითის მთავარი კრედოა ეკონომიკის ლიბერალიზაციის, ეკონომიკაში სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის, თავისუფალი ფასების საფუძველზე საბაზრო თვითრეგულირების – „უხილავი ხელი“ იდეა. ა. სმითი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა Laisse-Faire-ის პრინციპს ანუ ეკონომიკის ბუნებრივი თავისუფლების პოლიტიკას.

სმითისეული ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან პირველად მსოფლიო ისტორიაში საფუძვლად დაედო კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას, არსებობდა XX საუკუნის 30-იან წლებამდე, თითქმის 160 წლის მანძილზე, და უკავშირდება 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წარმოქმნას, რომელიც ცნობილია „დიდი დეპრესიის“ სახელწოდებით.

ამის პარალელურად წარმოიშვა მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია, რომელმაც ფეხი მოიკიდა სხვა გზით მიმავალი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში და არსებობდა საბჭოთა კავშირში 70 წლის განმავლობაში, ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მსოფლიო სოციალისტური სისტემის დაშლამდე.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ჩამოყალიბდა ნეოკლასიკური ეკონომიკური მიმართულება, რომელმაც დასრულებული სახე მიიღო ა. მარშალის ნაშრომებში. მისი მთავარი პრინციპია ეკონომიკაში სახელმწიფოს აბსოლუტური ჩაურევლობა. ამის პარალელურად ჯ. კლარკმა და უ. ჯევონსმა დასაბამი მისცეს ზღვრული სარგებლიანობის თეორიას – დღეს მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ თეორიას.

ნეოკლასიკურ ეკონომიკურ მიმართულებაში ფართოდ აისახა მარჟინალიზმი. იგი ითვალისწინებს ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების კვლევაში ზღვრული სათავეების გამოყენებას. მარჟინალიზმი ფართოდ განვითარდა XIX საუკუნის II ნახევრიდან, თვალსაჩინო როლი შეასრულა ეკონომიკური აზრის განვითარებაში და „მარჟინალისტური რევოლუციის“ სახელითაა ცნობილი.

XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა ეკონომიკური თეორიის მიმართულების სახელწოდებით ცნობილი ინსტიტუციონალიზმი. ეს მიმართულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ინსტიტუტების როლს ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მიღებაში და აკრიტიკებს ეკონომიკის ავტომატურად რეგულირების კონცეფციას. ინსტიტუციონალიზმი ფართოდ გავრცელდა II მსოფლიო ომის შემდეგ, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების გაძლიერებამ შეასრულა. ამ თეორიის ცნობილი წარმომადგენელია ჯონ კენეტ გელბრეიტი.

XIX საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო მიმართულებაა ისტორიული სკოლის თეორია, რომელიც აქცენტს ისტორიულ ასპექტებზე აკეთებს და აკრიტიკებს კლასიკურ სკოლას, რომელმაც ეკონომიკური საქმიანობის სფერო შემოსაზღვრა მხოლოდ კერძო ინტერესებით. მისი წარმომადგენლები – ვ. როშერი, ბ. ჰილდე რ-ბრანდი, კ. კნისი და სხვები საზოგადოების განვითარების ეკონომიკურ ისტორიას ეკონომიკური მოვლენების მრავალმხრივი ასპექტების კვლევის საფუძვ-

ლად მიიჩნევენ.

XIX საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა „ინგლისურ-ამერიკული სკოლა“, რომლის ფუძემდებელია ა. მარშალი. ამ სკოლამ ღირებულების თეორიების შეერთებით შექმნა ღირებულე ბის ახალი თეორია – ინგლისურ-ამერიკული სკოლის თეორია. ეს უკანასკნელი ღირებულების თეორიებს შორის ოპტიმალურად მიიჩნევს თვით ამ სკოლის თეორიას. იგი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების შეერთებით ღირებულების განსაზღვრის თავისებური სინთეზია.

მთლიანობაში ასეთია მსოფლიო ეკონომიკური პორტრეტი XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან XX საუკუნის 30-იან წლებამდე.

1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური პროცესების თავისებური გამოძახილი იყო XX საუკუნის 40-იანი წლებიდან განხორციელებული „კეინზიანური რევოლუცია“. მან სათავე დაუდო და ბიძგი მისცა არსებითი ცვლილებების დაწყებას განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში. ამ მოვლენას საფუძვლად დაედო ჯონ მეინარდ კეინზის ნაშრომის – „დასაქმების სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“ (1936). მიუხედავად II მსოფლიო ომის დამანგრეველი შედეგებისა, სიღრმისეულმა ცვლილებებმა უდიდესი პოზიტივი შეიტანა მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებაში. 1950-იანი წლებიდან წამოვიდა „სიურპრიზების კასკადი“, რომელიც უპირველეს ყოვლისა, ძირითადად გამოიხატა სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკაზე – საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონტურებით, კერძოდ, 1948 წელს გაეროს მიერ პროექტის სახით მიღებულ საერთაშორისო სტანდარტულ, დარგობრივ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით, 1953 წელს პირველად მსოფლიო ისტორიაში შეიქმნა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ანუ იმ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც საფუძვლად დაედო ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის დანარჩენ მსოფლიოსთან ეკონომიკური კავშირების შესწავლას; 1950-იანი წლების II ნახევრიდან დაწყებულმა მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალი ტექნიკის, შემდგომში კი – ახალი ტექნოლოგიების, მათ შორის, ინტელექტუალური ტექნოლოგიების განვითარებას; ამ პერიოდში მოხდა კოლონიური უღლისგან რიგი ქვეყნების განთავისუფლება, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი, მსოფლიო ეკონომიკური ვექტორის შეცვლასთან ერთად, საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის ამაღლებასაც მიუძღვის.

XX საუკუნის II ნახევრიდან, განსაკუთრებით კი 60-იანი წლებიდან ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ფართო დანერგვა საზოგადოებრივ წარმოებაში და მოიცვა ისეთი პროცესები, როგორიცაა, მაგალითად ინფორმატიზაცია. გამოიკვეთა ეკონომიკაში არამატერიალური რესურსების როლის ზრდა, რაც აღიარებული იქნა საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად.

წინა პლანზე სოციალურ ორიენტაციაზე მორგებული მაკროეკონომიკური რეგულირების ფენომენი წარმოჩნდა. რეალურად დაიწყო ველური კაპიტალიზმის ჩანაცვლება საკუთრების პლურალიზმზე დაფუძნებული სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკით.

თუ XX საუკუნის 60-იან წლებამდე წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში დომინირებული მდგომარეობა ეკავა ჯერ სოფლის მეურნეობას, ხოლო შემდეგ – მრე წველობას, 60-იანი წლებიდან წინა პლანზე მომსახურების სფერომ წამოიწია. მაგალითად, 1920 წელს აშშ-ის სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო მომუშავეთა 70%, ხოლო XX საუკუნის ბოლოს – მხოლოდ 3%, შესაბამისად, მრეწველობაში 33%, მომსახურების სფეროში კი 64%.[16]

მოკლედ, წინაინდუსტრიული (აგრარული) საზოგადოება შეცვალა, ჯერ ინდუსტრიულმა, ხოლო შემდეგ, პოსტინდუსტრიულმა საზოგადოებამ. ჯ. მ. კეინზის თეორია და შესაბამისად, კეინზიანური მიმართულება კაპიტალისტურ ქვეყნებში წამოჭრილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების თავისებური გამოძახილი და შემობრუნების ეტაპი იყო ამ ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში. ჯ. კეინზი აღიარებულია მაკროეკონომიკური ანალიზის ფუძემდებლად. მისი თეორია ეწინააღმდეგება ეკონომიკაში გაბატონებულ მიკროეკონომიკურ მიდგომას და უპირატესობას მაკროეკონომიკურ თეორიას, აქედან გამომდინარე კი, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას ანიჭებს. ეს მოდელი საფუძვლად დაედო კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას და გამოიყენებოდა 70-იანი წლების შუა პერიოდამდე.

XX საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებიდან, კერძოდ, 1975 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე, არსებითი ძვრები მოხდა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში. კეინზიანურ ეკონომი-

16. Зубов В.М. Как измеряется производительность труда в США. М., «финансы и статистика», 2006.

ეკურ პოლიტიკას დაუპირიპისრდა ნეოკლასიკური ეკონომიკური მიმართულება. კეინზიანელების კრიტიკისა და ეკონომიკაში წარმოქმნილი ახალი მოთხოვნების გავლენით ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია შეეცადა წარმოქმნილი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაძლევას, მაგრამ კრიზისის პერიოდში ეს შეუძლებელი შეიქმნა, ამიტომ კეინზიანური მოდელის მოწინააღმდეგეთა შეხედულებების რენესანსი ვერ მოხერხდა და სერიოზული პრობლემები წარმოქმნა სოციალური დაცვის სფეროში. გამოიკვეთა საბაზრო ეკონომიკის განვითარების ახალი მიმართულების შექმნის აუცილებლობა.

80-იანი წლებიდან განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში, ნეოკლასიკურ თეორიასთან ერთად, სათანადო ადგილი დაიკავა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზიანურმა მოდელმა, რაც „ნეოკლასიკურ სინთეზში“ აისახა.

„ნეოკლასიკური სინთეზი“ საფუძვლად ედო და წარმატებით გამოიყენებოდა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში. მაგრამ 90-იანი წლების დასაწყისში მისი ადგილი დაიკავა მილთონ ფრიდმენის ხელმძღვანელობით „ჩიკაგოს სკოლის“ მონეტარისტულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ. იგი ითვალისწინებდა საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების უკანა პლანზე გადაწევას და მის ადგილზე ფულად-საკრედიტო რეგულირების წამოწევას. მონეტარისტული პოლიტიკა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ფულის ფენომენს და ითვალისწინებდა სპეკულაციური ოპერაციებით, ფულით ფულის კეთების (რასაც თავის დროზე არისტოტელემ ქრემატისტიკა უწოდა) გზით ეკონომიკის მართვას. ქვეყნის ეკონომიკისადმი ასეთმა არასწორმა მიდგომამ ხელი შეუწყო 2006 წლიდან მსოფლიო ფინანსური კრიზისის მომზადებას, რომელიც 2008 წლიდან გადაიზარდა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისში. განვითარებული ქვეყნების და, პირველ რიგში, აშშ-ის ეკონომიკურ პოლიტიკაში უარყოფილი იქნა „ჩიკაგოს სკოლის“ თეორია და ახალმა კეინზიანელებმა სცადეს „ახალი ნეოკლასიკური სინთეზის“, როგორც XXI საუკუნის ეკონომიკური მეცნიერების პარადიგმის, ჩამოყალიბება, მაგრამ ჯერ-ჯერობით მათ ვერ შეძლეს ამის გაკეთება. ამიტომაცაა, რომ დღეს ბევრს წერენ ეკონომიკური მეცნიერების კრიზისის შესახებ, რაც არ არის სწორი. დღეს არა ეკონომიკური მეცნიერების კრიზისია, არამედ ეკონომიკური თეორიის, და უფრო ზუსტად, ეკონომიკური პოლიტიკის კრიზისია.

ჩვენ, ამ პრობლემის ღრმად შესწავლის საფუძველზე, შევიმუშავეთ „ახალი ნეოკლასიკური სინთეზი“ როგორც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ძირითადი მიმართულებებისა და „ნეოკლასიკური სინთეზის“ (ახალი შინაარსით, სადაც მაკროეკონომიკურ პრობლემებთან ერთად გათვალისწინებული იქნება მიკროეკონომიკური პრობლემებიც) ერთიანობა. ეს არის სიახლე მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში, რაშიც, როგორც ავტორს, დამეხმარა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის არსის, მიზნებისა და ამოცანების, ძირითადი მიმართულებების სიღრმისეული შესწავლა-ანალიზი.

რაც შეეხება საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკას, მისი ფუნქციონირების ძირითადი მიმართულებები შემდეგია:

სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაატაროს აქტიური სოციალური პოლიტიკა, არ უნდა დაუშვას თავისი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გაღატაკება და საზოგადოებრივი დოვლათი თითოეული მოქალაქისათვის გახადოს ხელმისაწვდომი (უფასო ან დოტაციური ფორმით), უნდა განსაზღვროს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გენერალური სტრატეგია, ხელი შეუწყოს დასაქმების ზრდასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას; სახელმწიფოს ლაიტმოტივი უნდა იყოს მკვეთრი ქონებრივი უთანასწორობისა და ღრმა პოლარიზაციის არდაშვება; სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, შეიმუშაოს და დაიცვას ეკონომიკური საქმიანობის კანონმდებლობა, ასევე, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა; უარყოფითი გარე ეფექტების – ექსტერნალიების წინააღმდეგ სახელმწიფომ უნდა გაატაროს ქმედითი ღონისძიებები, შეძლოს მათი დაძლევა; სახელმწიფომ აუცილებელია შეინარჩუნოს ბუნებრივი ანუ სახელმწიფო მონოპოლიები და არ მოახდინოს მათი პრივატიზაცია (რაც არ იქნა გათვალისწინებული საქართველოში); სახელმწიფომ უნდა დაიცვას კერძო საკუთრება და ხელი შეუწყოს მის განვითარებას; სახელმწიფოს პრეროგატივაა ახალი მსოფლიო წესრიგის მოთხოვნათა განხორციელება, პირველ რიგში, კონკურენციის სფეროში წესრიგის დაცვა, ასევე, ინსტიტუციური წესრიგისა (რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრებას) და სოციალური წესრიგის დაცვას; სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებას, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოლიტიკის გატარებას, მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ინოვაციური პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაში, ასევე, განათ ლებისა

და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაში; მაკროეკონომიკური რეგულირება, პირველ რიგში, უნდა დაეყრდნოს საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირებასა და ახალ საბიუჯეტო ფედერალიზმს; სახელმწიფომ გადასახადების მანევრირებით, პროგრესული დაბეგვრის გატარებით ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკის სოციალიზაციის გაძლიერებას, ფულად-საკრედიტო რეგულირება კი, არ უნდა გასცდეს თავისი ფუნქციონირების საზღვრებს, რათა სპეკულაციური ოპერაციებითა და ფულით ფულის კეთების მანევრირებით არ განმეორდეს 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი; სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, საშუალო ფენის რეალურად ჩამოყალიბებას; შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, ასევე, ინფრასტრუქტურის შექმნა-განვითარება; მაკროეკონომიკური რეგულირების შემადგენელი ნაწილია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის რეგულირებაც; სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური უსაფრთხოება, აქტიური როლი უნდა შეასრულოს ბუნებათსარგებლობის სწორად წარმართვაში, ეკოლოგიური და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში; სახელმწიფოს პრეროგატივაა ნარჩენების რეგულირების პოლიტიკის შემუშავება და გატარება; სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა საგარეო ვალის მართვა და რეგულირება.

სახელმწიფომ უნდა შეძლოს გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესის დადებითი, პოზიტიური ეფექტების გამოყენება და წინ აღუდგეს უარყოფით, ნეგატიურ ეფექტებს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია თანამედროვე დია ეკონომიკაში.

„ახალი ნეოკლასიკური სინთეზი“ XXI საუკუნის ეკონომიკური მეცნიერების ახალი გამოწვევაა. იგი ითვალისწინებს ეკონომიკის სოციალიზაციის გაძლიერებას და ეკონომიკურ პროგრესს.

ამიტომაცაა აუცილებელი ეკონომიკური თეორიის მეინსტრიმისა და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლა.

ლიტერატურა

1. აბესაძე რ. მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში. „შრომები“. XI ტ. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკა-დემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2018;

2. აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბილისი, „ინო ვაცია“, 2005;

3. არჩვაძე ი. რა ფერისაა მილიარდი? თბილისი, „მერკური“, 2002, გვ. 32.

4. ასათიანი რ. ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულების შეცვლის აუცი ლებლობა საქართველოში. „ეკონომისტი“, 2016, №1;

5. ასათიანი რ. მსოფლიო ეკო ნო მიკური კრიზისი და ეკონომიკური თეორიის მეინსტრიმი. საერთაშორისო სამეც ნი ერო კონფერენციის მასალები. „სოციალური ეკონომიკა“, 2011, №1;

6. ასათიანი რ. გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბი ლისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2010;

7. ასათიანი რ. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა. სახელმძღვანელო. თბი ლისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2017;

8. ასათიანი რ. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის როგორც მეცნიერების წარმოშობის წანამძღვრები, მიზნები და ამოცანები. „ახალი ეკონომისტი“, 2017, №2;

9. ასათიანი რ. გარე ეფექტები და „გადასხმის ხარჯები“. „ეკონომისტი“, 2009, №2;

10. ასათიანი რ. მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბილისი. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1993;

11. ასათიანი რ. კეთილდღეობა ყველასთვის, კეთილ დღეობა კონკურენციის გზით. „ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები“. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი, 2017;

12. ასათიანი რ. ახალი მსოფლიო წესრიგი და მისი პრინციპების რეალიზაციის არსებული მდგო მარეობა საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკა“, 2013, №12;

13. ასათიანი რ. ახალი მსო ფლიო წესრიგი და სამო ქა ლაქო საზოგადოების მშენებლობა. „მაკრო

მიკრო ეკონომიკა“, 2003, №4;

14. ასათიანი რ. ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირება – პირველი რიგის ამოცანა. „ახალი ეკონომისტი“, 2012, №4;

15. ასათიანი რ. ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია – ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ინდიკატორი. „სოციალური ეკონომიკა“, 2012, №3;

16. ასათიანი რ. გლობალიზაცია, რელიგიურ ეთიკაზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკა და საქართველო. „საქართველოს ეკონომიკა“. მთავარი რედაქტორი რ. ასათიანი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012;

17. ასათიანი რ. გლობალიზაციის ეპოქალური პროცესი და საქართველოს ეკონომიკა ახალი გამოწვევების წინაშე. „გლობალიზაცია და ბიზნესი თანამედროვე გამოწვევების წინაშე“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. 19-20 მაისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2017;

18. ასათიანი რ. სოციალური საბაზრო ეკონომიკა საბაზრო სისტემის უმაღ ლესი ფორმა. „ახალი ეკონომისტი“, №1, 2017;

19. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფო რმაცია. საქართველოს ეკო ნომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001, გვ. 257.

20. კრუგმანი პ. როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება. თარგმანი ინგლისუ რიდან. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009, №10, გვ. 80 (Krugman P. How did economists get it so wrong? “New York Times”, 2009, September 2);

21. სმითი ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თარგმანი ინგლისუ რი დან. თბილისი, 1938;

22. ჭითანავა ნ. საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები. თბილისი, „ივერიონი“, 2012;

23. http://ictsd.org/i/news/bridgesrussiandigest/69878;

24. Asatiani R. Study of Public Sector Economics as Necessary Condition of Social Orientation. “Bulletin of the Georgian Academy of Sciences.” Volume 169, number 2, March-April, 2004;

25. Asatiani R. The Phenomenon of Globalization on an its Inflience on National Economics. “The Caucasus & Globalization”. Vol 1(3), Sweden, Ca&CC Press, 2007;

26. Asatiani R. Public Sector Economics. Textbook. Tbilisi, “Siakhle”, 2017;

27. Goodfriend M., King R. The New Neoclasical synthesis and the Role of Monetary Policy. Macroeconomic Manual. New York, 1997;

28. Stiglitz J. The Price Inequality. New York-London, “W.W. Nortonn & Company”, 2012;

29. Асатиани Р. Теории конкуренции и новые перспективы стран ориентированных на конкурентно¬способность. «Кавказ и глобализация», Швеция, Ca&CC Press, 2015;

30. Ашли Демиргюч-Кунт, Торстен Бек, Патрик Хонован. Финансовые услуги для всех? Стратегии и проблемы расширения доступа. Перевод с английского. М., «Альпина Паблишерс», 2011;

31. Белл Д. Грядущее постиндустриальное общество. Опыт социального прогно-зирования. Перевод с английского. М., «Academia», 1999;

32. Кеинс Дж. М. Общая теория занятости, процента и денег, Перевод с английского, М., «Прогресс», 1978;

33. Эрхард Л. Благосостояние для всех. Перевод с английского, М., 1991;

34. Зубов В.М. Как измеряется производительность труда в США. М., «финансы и статистика», 2006;

34. Экономи¬ческая теория на пороге XXI века. Под ред. Осипова Ю.М., Зотовой Е.О. М., «Юрист», 2000.

THE REASONS OF POVERTY IN GEORGIA AND WAYS OF OVERCOMING IT
(Political Economy Aspect)

Rozeta Asatiani
Doctor of Economic Sciences, Professor,
TSU Paata Gugushvili Institute of Economics Senior
researcher, Professor-Emeritus at the Georgian Technical University,
Member of TSU Rector's Advisory Board, Economic Expert
at the Georgian National Academy of Sciences.

Abstract

This work deals with the objective prerequisites for the origin of the "new neoclassical synthesis" which is in the process of formation, goals, tasks; the need to use this new trend in the country's economic policy is justified.

An explanation is given to the organic linkage of the public sector economics with the "new neoclassical synthesis" and its role in the formation of viable economic policy. The reflection of the main directions of the functioning public sector economics the country's economic policy is a new challenge to modern civilization. This must be reflected in the "new neoclassical synthesis" which adds novelty to the "neoclassical synthesis" that was successfully used in economic policy of the US and other developed countries in the 1980s. A great contribution in its creation belongs to the author of the first textbook in economics Paul Samuelson.

Economic trends and therefore, corresponding theories, played a great role at any stage of the development of the world economy. Economic policy of the leading countries of the world was based on the Smithsonian liberal economic theory according to which the state played only the role of a "night watchman". Uncontrollable economy caused the global economic crisis, which went down in history as "Great Depression" of the 1929-1933. The famous Keynes's economic theory known as "Keynesian revolution" pulled the global economy out of the depression. This theory based on socialization of economy played a great role in the world economy which from the 50-ies was followed by scientific-technical revolution, creation of the system of national accounts, transfer of industrial society into postindustrial society, formation of the public sector economics, division of countries into the developed and developing countries, etc. Currently, new Keynesians try to develop "new neoclassical synthesis" that is why economic policy has not yet been based on any economic theory. We (R. Asatiani) have developed a new neoclassical synthesis as a unity of the public sector economics and neoclassical synthesis.

პერსონალის მენეჯერების საქმიანობის თავისებურებები

ედუარდ კავთიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ელ.ფოსტა: eduardi4@mail.ru

ადამიანური რესურსების მართვა ყალიბდებოდა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის კონტრაქტაციის ფარგლებში, ეს ტექნოლოგია თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა კოლექტივისტურ (პლურალისტურ, ანუ რომელიც ითვალისწინებდა დამსაქმებელთა, მენეჯერთა, რიგითი მუშაკების ინტერესების განსხვავებას პერსონალის მართვის ბრიტანული სკოლის ტერმინოლოგიის მიხედვით) მიდგომებს. თუმცა, ადამიანური რესურსების მართვა არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად მიეკუთვნოს უნიტარისტული მიდგომების რიცხვსაც, რომელიც ქადაგებს კორპორაციის ყველა მუშაკის ინტერესების ერთიანობას.

საკადრო მენეჯმენტის ამ მიმართულებით, მისი ორმოცწლიანი ისტორიიდან შეგვიძლია გამოვყოთ ორი მიდგომა: პირველი - რაციონალისტური, როდესაც ფირმის კონკურენტულ გარემოსთან ადაპტირების მაღალი დონის უზრუნველყოფა ხდება პერსონალის კონტრაქტაციის ფორმების მოქნილობით, მაღალკვალიფიციური მუშაკების შრომის ინტენსიფიკაციით და მუშაკების მონაწილეობით მოგების განაწილებაში; მეორე - ჰუმანისტური, როდესაც პასუხიმგებლობას ფირმის კონკურენტულ უპირატესობებზე იღებენ თავად მუშაკები, ხოლო მათი ჩართულობა კორპორაციის საქმეებში მიიღწევა ისეთი ფაქტორების ხარჯზე, როგორიცაა: ეფექტური საორგანიზაციო კომუნიკაცია, მაღალი მოტივაცია და მოქნილი ხელმძღვანელობა. და ამ ორ მიდგომაში ადვილი გამოსავლენია მათი ფესვგადგმულობა წინა პარადიგმებში - შრომისა და ადამიანური ურთიერთობების სამეცნიერო ორგანიზებაში.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსები, პერსონალის მენეჯერი, საკადრო მენეჯმენტი, კორპორაციული მართვა.

ახალი ფორმაციის პერსონალის მენეჯერების საქმიანობის თავისებურებების გარკვევამდე, უნდა დავადგინოთ არსებითი განსხვავება საკადრო მენეჯმენტის ორ მიმართულებას შორის, ესენია: პერსონალის მართვა და ადამიანური რესურსების მართვა.

რით განსხვავდება ადამიანური რესურსების მართვა პერსონალის მართვისგან?

1. პერსონალის მართვისგან განსხვავებით, ადამიანური რესურსების მართვა გადაერთო მუშაკთა საჭიროებებიდან თვით ორგანიზაციის სამუშაო ძალის საჭიროებაზე, და საკადრო მენეჯმენტის პრიორიტეტები განისაზღვრება, პირველ რიგში, უკვე არსებული და შესაქმნელი სამუშაო ადგილების ფუნქციური ანალიზის შედეგებით და არა ორგანიზაციის არსებული საკადრო პოტენციალით.

2. სტრატეგიული განზომილების ადამიანური რესურსების მართვის შემენა საკადრო პოლიტიკას უფრო აქტიურს ხდის, პასიური და რეაქტიული პოლიტიკისგან განსხვავებით, რომელიც დამახასიათებელია პერსონალის მართვის ტრადიციული მოდელებისთვის.

3. პასუხისმგებლობა უფრო აქტიური საკადრო პოლიტიკის რეალიზაციაზე ასევე ეკისრება სახაზო მენეჯერებსაც (სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს). ეს კი ნიშნავს, რომ ყველა რგოლის ხელმძღვანელთა საკადრო მუშაობა ინტეგრირდება საკადრო მენეჯმენტის სისტემაში, რომელსაც აქვს მხოლოდ ასეთი პოლიტიკის ეფექტური რეალიზების უნარი.

4. სრულდება საკადრო მენეჯმენტის სისტემის ორიენტაციის შეცვლა პერსონალთან ინდივიდუალური მუშაობის მიმართულებით.

შედეგად, ხდება გადასვლა პერსონალის დომინირებული მართვის კოლექტივისტური ღირებულებებიდან ინდივიდუალისტურზე.

5. თუ ტრადიციულად, პერსონალის მენეჯერი მიისწრაფოდა გაეწია მუშახელის აღდგენასთან დაკავშირებული ხარჯების ეკონომია (ამიტომაც ის არ იყო დაინტერესებული ადამიანური კაპიტალში გრძელვადიანი ინვესტირებით), ადამიანური რესურსების მართვის ტექნოლოგია გამიზნულია მსგავსი ტიპის ინვესტიციების ეფექტურობის გაზრდაზე, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს მუშაკთა მუდმივ პროფესიულ ზრდას და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

6. თუ პერსონალის მართვაში მთელი ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ რიგით მუშაკებზე, ადამიანური რესურსების მართვაში აქცენტი გადადის მმართველობით შტატზე: სწორედ მენეჯერების კომპეტენტურობა წარმოადგენს თანამედროვე კორპორაციის საკადრო პოტენციალის ძირითად ელემენტს.

7. საკადრო მენეჯმენტის ახალი სისტემა ვარაუდობს ძლიერ და ადაპტურ კორპორაციულ კულტურას, რომელიც სტიმულს აძლევს დამსაქმებლისა და დაქირავებული მუშაკის ურთიერთპასუხისმგებლობის ატმოსფეროს შექმნას, კორპორაციის ყველა მუშაკის მისწრაფებას გახადონ ის „საუკეთესო კომპანია“ ინიციატივის ორგანიზაციის მუდმივი ტექნიკური და საორგანიზაციო სიახლეების, პრობლემების ღია განხილვის მხარდაჭერის ყველა დონეზე.

ადამიანური რესურსების მართვის ტექნოლოგია იძლევა სინერგიულ ეფექტს, თუ კორპორაციაში დაცულია მინიმუმ შემდეგი პირობები:

- შედარებით კარგად არის განვითარებული შიდა და საგარეო შრომის ბაზართან ადაპტაციის სისტემა (კარიერის ინდივიდუალური დაგეგმვა, პერსონალის მომზადება და გადამზადება, კადრების პროფესიული ზრდისა და როტაციის სტიმულირება);
- არსებობს მუშაობის ორგანიზების მოქნილი სისტემები (ხარისხის რგოლები, ავტონომიური სამუშაო ჯგუფები);
- გამოიყენება გადახდის სისტემები, რომელიც აგებულია პერსონალური შენატანის ყოველმხრივი აღრიცხვის პრინციპებზე (მათ შორის, თვით მუშაკების მიერაც) და (ან) პროფესიული კომპეტენტურობის (ცოდნის, უნარ-თვისებების, რომლებიც რეალურად აითვისეს მუშაკებმა) დონეზე;
- ხორციელდება ცალკეული მუშაკებისა და სამუშაო ჯგუფების მხარდაჭერა მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებასა და მიღებაში მათ ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებით;
- გამოიყენება დაქვემდებარებულთათვის უფლებამოსილებების დელეგირების უფლება;
- ფუნქციონირებს საორგანიზაციო კომუნიკაციის განშტოებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ორ და მრავალმხრივ ვერტიკალურ, ჰორიზონტალურ და დიაგონალურ კავშირებს ორგანიზაციის შიგნით.

ვინაიდან ადამიანური რესურსების მართვა ყალიბდებოდა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის კონტრაქტაციის ფარგლებში, ეს ტექნოლოგია თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა კოლექტივისტურ (პლურალისტურ, ანუ რომელიც ითვალისწინედა დამსაქმებელთა, მენეჯერთა, რიგითი მუშაკების ინტერესების განსხვავებას პერსონალის მართვის ბრიტანული სკოლის ტერმინოლოგიის მიხედვით) მიდგომებს. თუმცა, ადამიანური რესურსების მართვა არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად მიეკუთვნოს უნიტარისტული მიდგომების რიცხვსაც, რომელიც ქადაგებს კორპორაციის ყველა მუშაკის ინტერესების ერთიანობას.

საკადრო მენეჯმენტის ამ მიმართულებით, მისი ორმოცწლიანი ისტორიიდან შეგვიძლია გამოვყოთ ორი მიდგომა: პირველი - რაციონალისტური, როდესაც ფირმის კონკურენტულ გარემოსთან ადაპტირების მაღალი დონის უზრუნველყოფა ხდება პერსონალის კონტრაქტაციის ფორმების მოქნილობით, მაღალკვალიფიციური მუშაკების შრომის ინტენსიფიკაციით და მუშაკების მონაწილეობით მოგების განაწილებაში; მეორე - ჰუმანისტური, როდესაც პასუხიმგებლობას ფირმის კონკურენტულ უპირატესობებზე იღებენ თავად მუშაკები, ხოლო მათი ჩართულობა კორპორაციის საქმეებში მიიღწევა ისეთი ფაქტორების ხარჯზე, როგორიცაა: ეფექტური საორგანიზაციო კომუნიკაცია, მაღალი მოტივაცია და მოქნილი ხელმძღვანელობა. და ამ ორ მიდგომაში ადვილი გამოსავლენია მათი ფესვგადგმულობა წინა პარადიგმებში— შრომისა და ადამიანური ურთიერთობების სამეცნიერო ორგანიზებაში.

ტრადიციული (რაციონალისტური) მიდგომა ადამიანური რესურსების მართვისადმი გამომდინარეობს იქიდან, რომ თუ კომპანია ახორციელებს ინვესტიციას კადრებში (აუმჯობესებს პერსონალის შერჩევის ტექნოლოგიას, სისტემატურად უწევს ორგანიზებას მის სწავლებას და ახორციელებს კარიერული ზრდის პროგრამების რეალიზაციას, კარგად უხდის და ზრუნავს მასზე), მაშინ ის უფლებამოსილია მოთხოვოს მუშაკებს მოეკიდონ სამუშაოს მეტი ლოიალობითა და პასუხისმგებლობით. უკიდურეს შემთხვევაში, ჰქონდეს იმის იმედი, რომ ისინი არ გაწევრიანდებიან პროფკავშირებში.

აქტიური საკადრო პოლიტიკის უზრუნველყოფა ხდება საკადრო სამსახურის ხელმძღვანელის წარმომადგენლობით კომპანიის მმართველობაში და მისი მიზანია კომპანიის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ლოიალურ, კარგად ფუნქციონირებად და თავისი მდგომარეობით კმაყოფილ მუშახელთან დაკავშირებით. ასეთი საკადრო პოლიტიკა წარმოადგენს წარმატებული კონკურენტუნარიანი სტრატეგიის რეალიზაციის სფუძველს, პერსონალის მართვის ტრადიციული მეთოდებისგან განსხვავებით და მისი აგება ხდება არა მუშაკების დამსაქმებლის (მენეჯერის) ნების დაქვემდებარებაზე, არამედ მხარეთა ინტერესების ურთიერთ გათვალისწინებაზე და ურთიერთ პასუხისმგებლობაზე.

აშშ-ში 70-იან წლებში გაჩენილი ნეოპლურალისტური (ჰუმანისტური) მიდგომა ადამიანური რესურსების მართვისადმი წარმოადგენს ცნობილ კომპრომისს საკადრო მენეჯმენტის ორ მიმართულებას შორის - პერსონალის მართვასა (ადამიანურ ურთიერთობათა პარადიგმა) და ადამიანური რესურსების მართვას შორის. მუშაკთა საწარმოს მესაკუთრეებად გადაქცევას ურთიერთობები გადააქვს „დამსაქმებელი-დაქირავებული მუშაკის“ ურთიერთოებების ახალ დონეზე. ურთიერთ პასუხიმგებლობის ურთიერთობებში ამ დონეზე ერთვებიან ასევე სხვა აქციონერებიც, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, მომხმარებლები. ამის წყალობით, მუშაკთა მრავალი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდება საკადრო პოლიტიკის მიზანი და არა სხვა მიზნების მისაღწევი საშუალება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საკადრო მენეჯმენტში სხვა მიდგომების მიმართ. თავის მხრივ მხარეთა ურთიერთ პასუხისმგებლობა უზრუნველყოფს ფირმის საქმიანობის მზარდ ეფექტურობას. სამუშაო ადგილების დაპროექტებასა და შრომის პირობების, გამოსაშვები პროდუქციის და (ან) გასაწევი მომსახურებების ხარისხის მართვაში მუშაკთა მონაწილეობის მაღალი დონე - ყველაფერი ეს ერთად ქმნის სრულიად ახალ ატმოსფეროს საწარმოში. თანამშრომლობის და არა მტრობის ატმოსფეროს, რომლითაც ჯერ კიდევ უახლოეს წარსულში გაჟღენთილი იყო ურთიერთობები დამსაქმებლებსა და პროფკავშირებს შორის. ასევე, მათ შორის, მოლაპარაკებებიც სულ უფრო პრაგმატულ ხასიათს იღებს. თანამშრომელთა სხვადასხვა ინტერესების კანონიერების აღიარება ხსნის რეალურ პერსპექტივებს მათი ჩართულობისთვის მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების, ურთიერთ კონსულტირების, ასევე საწარმოს, სადაც ისინი მუშაობენ, საქმეების მდგომარობის შესახებ ინფორმაციის წვდომის პროცესში.

ამგვარად, შეიძლება საუბარი, ტრადიციული (უთუოდ, მოდერნიზებული) და თანამედროვე მიდგომების გარკვეულ სინთეზზე ადამიანური რესურსების მართვის ტექნოლოგიის ბაზაზე. თუმცა, სხვადასხვა მიდგომების საკადრო მენეჯმენტში დამკვიდრებული ღირსებების გაერთიანებით, ადამიანური რესურსების მართვის ტექნოლოგიას არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია ყველა პრობლემის თავისებური პანაცეის როლზე, რომელსაც აწყდება ამჟამად პერსონალის მენეჯერი და ამ მოწინავე ტექნოლოგიაში კრიტიკოსები პოულობენ ნაკლოვანებებს.

ადამიანური რესურსების მართვა: ზრდის დაავადებები თუ ორგანული მანკები?

ადამიანური რესურსების მართვის ტექნოლოგიების გამოყენების კრიტიკული ანალიზი, მიუხედავად მისი მიმდევრების დიდი იმედის მომცემი განცხადებებისა, აჩვენებს გარღვევას იდეოლოგიურ მითითებებსა და მათ პრაქტიკულ რეალიზაციას შორის.

1. ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა სხვადსხვა ქვეყანაში ასახავს არამხოლოდ საკადრო მენეჯმენტის ეროვნული სკოლებისა და ტრადიციების მრავალგვარობას, არამედ, უფრო მოწმობს ერთგვარი ერთიანი კონცეფციის არარსებობას, ვინაიდან გამოყენებადი კონცეპტუალური სქემების მრავალფეროვნება კიდევ უფრო ღრმავდება მათი ურთიერთ წინააღმდეგობით. მაგალითად, ადამიანური რესუსების პრაქტიკაში არათავსებადია ისეთი ელემენტები, როგორიცაა: გუნდური მუშაობა და შრომის ინდივიდუალური ანაზღაურება მისი ეფექტურობის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით. ზოგიერთი სკეპტიკოსი ადამიანური რესურსების მართვის ტექნოლოგიაში ხედავს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანურ ურთიერთობათა მოდერნიზებული დოქტრინის ვარიაციას, ხოლო გარდაუვალ წინააღმდეგობებში - სტრუქტურული ანტაგონიზმის გამოხატულებას მენეჯერებსა და რიგით მუშაკებს შორის.

2. მიუხედავად იმისა, რომ სულ უფრო მეტი კომპანია აცხადებს თავის საწარმოში ადამიანური რესურსების მართვის „მოდური“ ტექნოლოგიების დანერგვის შესახებ, საკადრო მენეჯმენტის ახალი სტრატეგიის პრაქტიკული რეალიზაცია აწყდება მნიშვნელოვან სირთულეებს, კერძოდ: არ ჩანს ხარჯების ზრდა პერსონალის მომზადებასა და გადამზადებაზე, განსაკუთრებით საკადრო მუშაობის მოწინავე ფორმების საყოველთაო გავრცელება (ხარისხის რგოლები, სამუშაო გუნდები და სხვა). ხოლო საკადრო ფუნქციების ნაწილის საკადრო სამსახურებიდან სახაზო ხელმძღვანელებზე გადასვლა, როგორც წესი,

ხორციელდება უკანასკნელთა დამატებითი მომზადების გარეშე და არც სარგებლობს დიდი ყურადღებით კორპორაციების ხელმძღვანელობის მხრიდან.

3. პერსონალის ჩართულობის მეთოდები (მონაწილეობა კომპანიის მოგებებში, აქციების გადაცემა მუშაკებისთვის და ა.შ.), აღებული ადამიანური რესურსების მართვის არსენალიდან, არცთუ იშვიათად გამოიყენება მენეჯერების მიერ შრომის ინტენსიფიკაციის უფრო „რბილი" ფორმების სახით. მუშაკთა მიერ საწარმოო ფუნქციებისა და ამოცანების შეგნებულ და პასუხისმგებლიან შესრულებაზე ფსონის დადება მალავს ზეექსპლუატაციის დახვეწილ ხერხებს და გრძელვადიან პერსპექტივაში წარმოადგენს პროფკავშირების გავლენის განეიტრალების ქმედით ინსტრუმენტს. საკადრო მუშაობის უახლესი მეთოდების ამბივალენტობის თვასაჩინო ნიმუშს წარმოადგენს მუშაკის ინდივიდუალური შენატანის შეფასების გამოყენება და ორგანიზაციის ფუნქციონირება: ვის შეუძლია იმის განსჯა, უწყობს ეს ხელს მომატებულ პასუხისმგებლობის გრძნობის აღზრდას მუშაკებში თუ წარმოადგენს მათი ზეექსპლუატაციის საშუალებას?

4. არ არსებობს ობიექტური მონაცემები, რომელიც დაამტკიცებდა ადამიანური რესურსების დასანერგი ტექნოლოგიის პოზიტიურ გავლენას მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატზე ორგანიზაციებში. ამის გარდა, როგორც წესი, ყოველთვის, როდესაც ხდება მსხვილი სოციალურ-ორგანიზაციული სიახლეების შემოღება, იშვიათადაა შესაძლებელი ნეგატიური შედეგების თავიდან აცილება. თუმცა, მოწინავე საკადრო ტექნოლოგიის გამოყენების შედეგების ასეთი ურთიერთ საწინააღმდეგო შეფასებები მეტწილად განპირობებულია ადამიანური რესურსების მართვის დანერგვის საკუთარი შედეგების სხვა ფაქტორებისგან იზოლირების შეუძლებლობით.

და მაინც, რამდენად საეჭვოდაც, კონცეპტუალური თვალსაზრისით, და ამბივალენტურად, მორალურ-ფსიქოლოგიური კუთხით, არ უნდა გამოიყურებოდეს ადამიანური რესურსების მართვის ტექნოლოგიების პრაქტიკული გამოყენების შედეგები, უკანასკნელ წლებში მიკრორევოლუცია საკადრო მენეჯმენტში იკრებს ძალას ყველა განვითარებულ ქვეყანაში და ეს მიკრორევოლუცია სრულიად ახალ მოთხოვნებს უყენებს პერსონალის მენეჯერს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალანი ჯ. როგორ წავახალისოთ ადამიანი, თბილისი, 2001.
2. Вебер Макс – Избранные прооизведения, Москва, Прогресс, 1990.
3. Друкер П. Практика менеджмента, издательство Манн, Иванов и Вебер, 2015.
4. Треиси Б. Менеджмент, издательство Манн, Иванов и Вебер, 2015.

Personal managers activity peculiarities

Eduard Kavtidze
Associate-professor of the Business Administration Departament
of the Georgian Technical University
Doctor of Economics

Although the differences in the internal domestic traditions of the personnel are quite large, it is possible to allocate a number of common characteristics of staff management that were developed and disseminated in the developed nations in the XX century.

On the background of radical changes in corporation management within 15-20 years, it is surprising that the personnel management, which is quite normal and marginalized, has not completely disappeared, but on the contrary, real prosperity. The main reason is the third "architectural" model of dominating management in practice in the 80s.

Instead of a rather fragmented structure of staff management used during the dominance of the first and second model of personnel management, the management system is established, primarily focused on human capital development. The mission of this system - among the other prior strategic goals of the corporation, is to realize the main goals of its personnel policy.

კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრობლემები და მათი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები გლობალურ ბიზნესში

ლალი ხიხაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ-ის მოწვეული პროფესორი

XXI საუკუნის 20-იან წლებში კაცობრიობის წინაშე დგას მრავალი გლობალური გამოწვევა, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრობლემები გლობალიზაციის პირობებში, რომელიც მიზნად ისახავს რელიგიური, ეთნიკური, ეროვნული და კულტურული განსხვავებების წაშლასა და ერთსახოვანი გლობალური კულტურის ფორმირებას. კულტურული გლობალიზაცია დასავლური სამყაროს პირმშოა. გლობალური კულტურა და მასთან დაკავშირებული პროცესები მომდინარეობს თანამედროვე მსოფლიოს ძლიერი მეტროპოლიებიდან და კულტურის უმსხვილესი ცენტრებიდან. აღსანიშნავია, რომ ამგვარი გლობალური კულტურა და კოსმოპოლიტური იდეები ყოველთვის წინააღმდეგობაშია და შეუთავსებადია სახელმწიფოს ეროვნულ პოლიტიკასთან, რაც ყველაზე მთავარია, თითოეული ქვეყნის კულტურულ მახასიათებლებთან. კულტურას აქვს დიდი გავლენა საერთაშორისო ბიზნესის კომუნიკაციებზე. რადგანაც ფაქტობრივად, კულტურულ განსხვავებებს შეუძლია გავლენა იქონიოს იმაზე, თუ რას ელოდება პერსონალი უცხოური დამსაქმებელი კომპანიისგან, როგორ ეგუება ემიგრანტი უცხო ქვეყნის გარემოს, როგორ აბანდებენ ტრანსეროვნული კომპანიები ინვესტიციებსა და აწარმოებენ საერთაშორისო კომერციულ ოპერაციებს სხვადასხვა ქვეყანში. კროსკულტურულ განსხვავებებს შესწევს უნარი ჩამოაგდოს უთანხმოება და კონფლიქტები, ისევე, როგორც მოუტანოს დიდი სარგებლი საერთაშორისო ბიზნესის ყველა სეგმენტს. ეფექტიანი კროსკულტურული ბიზნესკომუნიკაცია ძალზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი უნარია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტისათვის, აგრეთვე, მულტიკულტურული პერსონალის მქონე საერთაშორისო კომპანიებისათვის, როგორც საბაზო, ასევე რეციპიენტ ქვეყნებში. ბიზნესსუბიექტები ყურადღებით უნდა იყოს კულტურული განსხვავების გამოვლინებისადმი და გათვითცნობიერებული კულტურული ხმაურის შესახებ ბიზნესკომუნიკაციისა და საქმიანი მოლაპარაკების პროცესში[1].

საკვანძო სიტყვები: კროსკულტურა; ბიზნესკომუნიკაციები; კულტურული გლობალიზაცია; მულტიკულტურა; საქმიანი მოლაპარაკებები; ელექტრონული კომუნიკაცია, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია; მაღალი და დაბალკონტექსტის კულტურები; მონოქრონული და პოლიქრონული კულტურები; საერთაშორისო ბიზნესი.

მთელი კაცობრიობისთვის და შესაბამისად, ყველა კულტურისთვის მრავალია საერთო ფასეულობა, მრწამსი და ქცევა, მაგრამ, ასევე ბევრია კულტურის კერძო და სპეციფიკური ასპექტები, ის, რაც ერთ კულტურას მეორესგან განასხვავებს. სხვადასხვა ქვეყნის კულტურა მნიშნელოვნად განსხვავებულია ერთმანეთისგან, აუცილებელია კულტურული ფენომენების შესწავლა, რათა ბიზნესის კომუნიკაციის პროცესმა მეტი ეფექტიანობა მოიტანოს. მოლაპარაკებების თუ სხვა საქმიანი ურთიერთობების მნიშვნელოვანი პროცესების ეფექტიანობა გაიზრდება მაქსიმუმამდე, თუ კულტურულ გამოწვევებსა და ქვეყნების მახასიათებელ კულტურულ სტერეოტიპებს შევისწავლით. განსაკუთრებულ მნიშვნელობას კულტურული თავისებურებების გამოკვლევა და შესწავლა იძენს, რაც აუცილებელია თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში. კულტურის თვითმყოფადობისა და მისი თვისებების შენარჩუნება დამოკიდებულია

თავად იმ ქვეყნის, ერის, მოსახლეობის ეროვნულ სიძლიერეზე, თუ რამდენადაა ის ეროვნულად შეკრული და გაერთიანებული, რამდენად ძლიერი, ღრმაა მათი კულტურული მახასიათებლები, ისტორიული ფესვები, რამდენად ფასეულია ეს ტრადიციები, რამდენად მიიღებს მათი კულტურა გარედან შემოსულ გლობალურ გარდაქმნებს. მიუხედავად იმისა, რომ ერის როლი და მისი ფუნქცია სწორედ ამგვარი გარდაქმნების ფონზე საგრძნობლად შესუსტდა, იგი მაინც არსებობს და ზოგ ქვეყანაში გზასაც უღობავს და აფერხებს გლობალური კულტურის ცვლილებებსა და სიახლეებს, რაც მათი ეროვნული, თვითმყოფადი კულტურისათვის მიუღებელია. კოსმოპოლიტური კულტურის ტალღა, ყველა ქვეყანაში სხვადასხვა დონეს აღწევს და სხვადასხვაგვარად ვითარდება, რადგან თითოეული ერის კულტურა, იდეოლოგია განსხვავდება სხვა ერის, ქვეყნის კულტურული ცნობიერებისაგან. ხშირად ხდება ეროვნული ტრადიციების, კულტურული ფასეულობების უგულებელყოფა, მათი შერწყმა მასობრივ გლობალურ პროცესებთან, რაც თავისთავად უკარგავს ერს კულტურულ ინივიდუალიზმსა და მხოლოდ ამ ერისთვის მახასიათებელ ცნობიერებას. ახალი გლობალური კულტურა სულ უფრო ჰიბრიდულ და მრავალგვაროვან ხასიათს ატარებს, რადგანაც ინტერნაციონალური პროცესების ურთიერთდამოკიდებულება მსოფლიოში ეფუძნება გლობალური ტელეკომუნიკაციებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სუპერ გიგანტურ სისტემას.

მეცნიერული გამოკვლევები ცხადყოფს, რომ კომუნიკაცია კულტურის ნაწილია, თუკი კულტურას განვსაზღვრავთ ფართოდ და არა მხოლოდ, როგორც ,,მაღალინტელექტუალურ შემოქმედებით საქმიანობასა და ინტერესებს", ფართო გაგებით - კულტურა აღნიშნავს ყველაფერს, რაც საზოგადოებაში არსებობს, რომელიც გადაიცემა თაობიდან თაობაში. კულტურული ნორმები და ფასეულობათა სისტემა წარმოდგენილია შემდეგი დეტერმინანტებით: განათლება, ენა, ეთიკური ქცევის წესები და სტანდარტები, ეტიკეტის ნორმები, სოციალური და ეკონომიკური ფილოსოფია, რელიგია, კანონებიც კი, რომელთა ცოდნასა და პრაქტიკულ გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია გლობალურ ბიზნესში[3]. კულტურული თავისებურებები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საერთაშორისო ბიზნესში კომუნიკაციის დაწყებისას, რომელიც უნდა გაითვალისწინოს ბიზნესსუბიექტებმა ნებისმიერ ქვეყანაში. ეს, პირველ რიგში, აუცილებელია იმისთვის, რომ თავიდან აირიდონ შესაძლო გაუგებრობა. ამისათვის საჭიროა მხარეები საქმიან შეხვედრამდე გაეცნონ ერთმანეთის კულტურას ზოგადად მაინც და არ დაუშვან გამოუსწორებელი შეცდომები.

საერთაშორისო კომპანიებში ბიზნესკომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციული ნაკადების, როგორც გარე, ასევე შიდანაკადებს. ამ ნაკადების მნიშვნელობა საერთაშორისო ბიზნესში განისაზღვრება იმით, რომ კომუნიკაციური აქტის მონაწილეები ხშირად იმყოფებიან უცხო ქვეყნებსა და კონტინენტებზე და არიან სხვადასხვა კულტურის მატარებლები. ეს ქმნის კომუნიკაციის პრობლემებს, რომლებიც განსხვავდებიან კომპანიისათვის ჩვეულისაგან.

საერთაშორისო კომპანიის გარე საინფორამციო ნაკადები მოიცავს საზღვარგარეთელ ბიზნესპარტნიორებსა და მომხმარებლებთან, მომწოდებლებსა და მოიჯარეებთან, სუბარენდატორებსა და მიმღები ქვეყნის მთავრობებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქმიან ურთიერთობებს. ადგილობრივი კანონმდებლობა, ეკონომიკური განვითარების დონე, განსხვავებული ტრადიციები, ენობრივი ბარიერები დიდად ზემოქმედებენ კომპანიის გარე კომუნიკაციაზე.

გარე კომუნიკაცია კომპანიისათვის კულტურათაშორისად იქცევა, თუ მას არ გააჩნია საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, მაგრამ ქვეყნის შიგნით მრავალი ერისა და ეთნოსის წარმოადგენელი ცხოვრობს (აშშ, კანადა, რუსეთი, საქართველო და ა.შ). ამ შემთხვევაშიც კომუნიკაციის სუბიექტები არიან სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები.

საერთაშორისო კომპანიებში კომუნიკაცია განსხვავდება იმის მიხედვით, თუ სად და როგორ, რა სიჩქარითა და რა არხებით, ფორმალურად თუ არაფორმალურად ხდება მისი გავრცელება. ცენტრალიზებული ტიპის ორგანიზაციულ სტრუქტურებში, მაგალითად, სამხრეთ ამერიკაში, საინფორმაციო ნაკადების მეტი წილი ტოპმენეჯერებისაგან გამომდინარეობს. თანამშრომელთა პასუხისმგებლობის ხარისხი მენეჯერის ინფორმაციით უზრუნველყოფისთვის აქ ნაკლებია, ვიდრე ჩვეულებრივ ამერიკულ კომპანიებში, სადაც ინფორმაცია მენეჯერიდან თანამშრომელზე მიემართება.

ბიზნესკომუნიკაცია საქმიან ურთიერთობებში და მოლაპარაკებების დროს შესაძლებელია განხორციელდეს წერილობითი, ვერბალური, არავერბალური და ელექტრონული ფორმით.[2] ზოგჯერ ბიზნესსუბიექტები საფრთხეში იგდებენ

თავს იმის გამო, რომ კომუნიკაცია მიაჩნიათ ყველგან ერთნაირი. ამერიკელისთვის, მაგალითად, პაუზა საუბარში აღიქმება, როგორც შესაძლებლობა საპასუხოდ. ხანგრძლივი პაუზა დისკომფორტს ქმნის და აღძრავს სურვილს შეივსოს სიჩუმე. მაგრამ ფინეთსა და იაპონიაში გრძელი პაუზები საუბარში სავსებით ნორმალური და მოსალოდნელია. შეყოვნება მიანიშნებს, რომ ვიღაცა ფრთხილად განსჯის ნათქვამს. ფაქტობრივად, სწრაფი პასუხი ამ ქვეყნებში შეიძლება შეურაცხმყოფელად აღიქვან. საერთაშორისო ბიზნესში კომუნიკაციის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ორგანიზაციაში კომუნიკაციის დახვეწილ ჩვეულ ზომებთან (საინფორმაციო ნაკადების რეგულირება, უკუკავშირთა სისტემა, საინფორმაციო ბიულეტინი და სხვა) ერთად შეიძლება გადაიდგას სხვა ნაბიჯებიც, რაც მიმართულია ენობრივი ბარიერების გადალახვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენებისაკენ. მულტინაციონალური კომპანიები ქმნიან ინტერნეტის ანალოგიურ ქსელს, რომელიც შიდასაფირმოა და მოიცავს მის ლოკალური დაწებულებებსაც. ეს დიდად აადვილებს შიდასაფირმო კომუნიკაციას (კომპანიის სიახლეები, ახალი ტექნოლოგიები, კომპანიის ბაზრებზე სტრატეგიული ქცევის, საქონლისა და მომსახურების შეთავაზებების, შიდა კონფლიქტების მოგვარების, შიდასაფირმო გადაწყვეტილებების, სხვადასხვა ანგარიშის მომზადების, კომპანიის მონაცემთა ბაზით სარგებლობის, ქალიშვილ, შვილობილ კომპანიათა და ფილიალთა საქმეები და მრავალი სხვა).

კომუნიკაციის ელექტრონული და ციფრული საშუალებები კულტურათაშორის კომუნიკაციებს უფრო სწრაფად უზრუნველყოფს, ვიდრე ოდესმე. გარდა ამისა, ის ხსნის კულტურათა შორის კომუნიკაციაში არსებული ხმაურის პრობლემას. არავერბალური ურთიერთობის საშუალებები ელექტრონული კომუნიკაციის შემთხვევაში კარგავს თავის მნიშვნელობას. მართალია, კომუნიკაციის ამ სახეობაში შემოღებულია ემოციების გამომხატველი სპეციალური ნიშნები, მაგრამ, მათ ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ ყველა მომხმარებლისთვის. კომუნიკაციური აქტის მონაწილეთა ფიზიკურად დასწრების საჭიროების არარსებობასთან ერთად მოიხსნა კომუნიკაციის ისეთი ბარიერები, როგორიცაა სქესი, ასაკი, რასობრივი და ეთნიკური კუთვნილება. ამის მიუხედავად, კროს-კულტურული უთანხმოების შესაძლებლობის პოტენციური პრობლემები მაინც არსებობს. კულტურული სხვაობები ზეგავლენის მოახდენს კომუნიკაციის განვითარებაზე ელექტრონულ გარემოშიც კი, ეს ხდება კიბერსივრცეში წამოჭრილი კონფლიქტების მიზეზი. მაღალკონტექსტუალური კულტურის წარმომადგენლები, მაგალითად, იაპონელები განიცდიან ერთგვარ პრობლემას ამერიკელებთან ურთიერთობის პროცესში, რომლებიც არ არიან მიჩვეულები არავერბალური კომუნიკაციის ნიშნებზე დაყრდნობას. უმრავლეს შემთხვევაში კომუნიკაციის ურთიერთმისაღები საშუალებების არჩევა უნდა გაკეთდეს მანამ, სანამ პირადი შეხვედრის მაგივრად გამოყენებული იქნება ხმოვანი ან ელექტრონული ფოსტა ან ფაქსი. კომპიუტერული კომუნიკაციის სისტემებს შეიძლება ჰქონდეთ ისეთი დიზაინი, რომელიც უკეთეს კროსკულტურულ კომუნიკაციასაც კი უზურუნველყოფს, ვიდრე შეიძლება ამის პირადი კავშირებით მიღწევა. მცდელობაა ისეთ გლობალურ კომპიუტერულ ქსელებზე, პროექტზე კოლექტიური მუშაობის ავტომატიზაციის საშუალებებზე, რომელთანაც მნიშვნელოვანია კროსკულტურული ასპექტი.

ამის მიუხედავად, ეფექტიანი ელექტრონული კომუნიკაცია კულტურულ სიფაქიზესა და მგრძნობელობას მოითხოვს მეტადაც კი, ვიდრე ბიზნესსუბიექტების საქმიანი ურთიერთობები, ვინაიდან ამ დროს არ არსებობს რეაგირების, უკუკავშირის, რეგულირებისა და კონტროლის საშუალებები. ინტერნეტის, როგორც კომუნიკაციის გლობალური ინსტრუმენტის გამოყენება, საშუა¬ლებას აძლევს ნებიმისმიერი სიდიდის კომპანიას, შედარებით სწრაფად დააფიქსიროს თავისი არსებობა მსოფლიოს მრავალ ბაზარზე. მაგრამ გლობალური ბაზრის მონაწილედ დაფიქსირება თავისთავად არ ხდის კომპანიას გლობალურს. თანდათან კომპანიები არკვევენ, რომ საჭიროა საკუთარი ელექტრონული კომერციისა და ბიზნესის (PR- სისტემების მსგავსი) დამატებითი პროგრამების ადაპტირება, რაც გაცილებით შრომატევადია, ვიდრე უბრალოდ სხვა ენაზე თარგმნა. იმ ქვეყნებში (მხედველობაშია აფრიკული, აზიური, არაბული სახელმწიფოები), სადაც ადამიანები არ არიან ჩვეულნი პირადი ინფორმაციის გაცემას, ელფოსტის დაფიქსირების მოთხოვნასაც კი შეუძლია კულტურული ბარიერების გამოწვევა. ამდენად, საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში ელეტრონული კომუნიკაცია უნდა ითვალისწინებდეს განსხვავებებს ენებში, კულტურაში, ადგილობრივ კანონმდებლობაში, ბიზნეს-მოდელებში და რაც მთავრია, გასათვალისწინებელია ადგილობრივი საკომუნიკციო სისტემის განვითარების დონეც.

თანამედროვე ეტაპზე კულტურული გლობალიზაციის პროცესი დიდ წინააღმდეგობებსა და შეზღუდვებს აწყდება, რადგანაც ყოველი ქვეყნის კულტურა გამოირჩევა სპეციფიკური თავისებურებებით, თვითმყოფადობით, ისტორიული ტრადიციებით, ღირებულებებით, რომლებიც მეტ-ნაკლებად აფერხებენ ე.წ კულტურული გლობალიზმის მზარდ პროცესს. მაგრამ ხდება პირიქითაც, როდესაც ქვეყნის კულტურა იზღუდება, იჩრდილება და ცვლილებას განიცდის გლობალური კულტურაც. მიუხედავად ამგვარი გავლენისა, ქვეყნის, ერის კულტურა მაინც ინარჩუნებს საკუთარ ბუნებას, რადგან მას გლობალიზაციის მავნე პროცესებისაგან გარკვეული სახის „თავდაცვითი მექანიზმები" გააჩნია. აქ გარკვეულწილად, იგულისხმება ის მახასიათებლები, რომლებიც თითოეული ერის, ეროვნული კულტურის განმასხვავებელ ნიშნებს მოიცავს, ესენია: 1) ეროვნული ხასიათი, 2) ისტორია, 3) ერისადმი კულტურული იდენტობის აღქმა და განცდა 4) დროის ფაქტორი, 5) გარკვეულ გეოგრაფიულ სივრცეში არსებობა, 6) ენა, 7) არავერბალური კომუნიკაცია, 8) ეროვნული ფასეულობანი, 9) ეტიკეტის ეროვნული ქცევის ნორმები და წესები, ტრადიციები და ჩვეულებები 10) სოციალური ჯგუფები, გაერთიანებები და კავშირები.

ზოგიერთი ქვეყნის კულტურა გასაკუთრებულად მგრძნობიარეა დასავლური, გლობალური ფასეულობებისადმი. დასავლური კულტურის გლობალური პროცესები, საბაზრო ეკონომიკა, კომუნიკაციური ტექნოლოგიების სწრაფი ზრდა მსოფლიოში ყველაზე ნათლად აისახება და ვლინდება აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის კონტინენტზე, სადაც მძლავრი გლობალური პროცესები ყველაზე ადვილად და მასობრივად მკვიდრდება და ერთ-ერთი მიზეზი არის ამ ქვეყნების უკიდურესად ღარიბი და მწირი ეკონომიკური, სოციალური პირობები. უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებით აფრიკელი ხალხი ძალიან სწრაფად ითვისებს იმ მატერიალურ და ინდივიდუალური კულტურის ღირებულებებსა და ფასეულობებს, რაც სათავეს იღებს დასავლური კულტურიდან. მიუხედავად ამ ქვეყნების უკიდურესად ღარიბი შიდა რესურსებისა, მაინც რთულია ახსნა რამ, გამოიწვია ამგვარი უეცარი ვესტერნიზაცია სრულიად სხვა კულტურის მატარებელი, აფრიკელი ხალხის. ძირითადი მიზეზი ისევ და ისევ მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებაა. უამრავი საჭირო პროდუქციისა და საქონლის შედინება ამ ქვეყნებში საჭიროა აფრიკის სოციალურად ღარიბ და დაუცველ საზოგადოებისათვის.

კულტურათაშორისი კომუნიკაციის თავისებურებების გათვალისწინება აქტუალური ხდება იმ კომპანიებისთვისაც, რომელთა საქმიანობა არ სცდება საბაზისო ქვეყნის ჩარჩოებს. ასე, მაგალითად, ამერიკული კომპანიების (ლოკალურ დონეზე) პერსონალი შედგება სხვადასხვა რასის, კულტურისა და რელიგიის ადამიანებისაგან. აშშ-ში სამუშაო ძალა ფორმირდება იმიგრანტებისგან ევროპიდან, კანადიდან, ლათინური ამერიკიდან. აზიიდან და ისინი სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს მიეკუთვნებიან (აფროამერიკელები, ესპანურენოვანი ამერიკელები, აზიური წარმოშობის ამერიკელები). ყველა მათგანს შეაქვს კოლექტივში თავისი ენა და კულტურა. დღეს აშშ-ის მოსახლეობის შემდგომი მატების მესამედი კი იმიგრანტების ხარჯზე მოხდება.

მსგავსი პრობლემები ანგარიშგასაწევია სხვა ქვეყნებსა და კომპანიებშიც, მაგალითად, საქართველოში, სადაც მოსახლეობა პოლიეთნიკურია. ამის შედეგად, კომუნიკაციები როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე მის გარეთ, კროსკულტურული ხდება. კულტურული ცვლადების ზეგავლენით შეიძლება აიხსნას კომუნიკატიური ქცევის სხვაობები, საინფორმაციო ნაკადების მართვა, მათი მიმართულება და სიჩქარეც. ნებისმიერი კომპანია ახდენს ინფორმაციული ნაკადების რეგულირებას, რათა მიიღოს გადაწყვეტილებები, მართოს პოლიტიკა და პროცედურები, მოახდინოს ქვედანაყოფების კოორდინაცია და სხვა. რომელი ინფორმაცია არის საჭირო და როგორ ცილკურირებს იგი, ვისგან გამომდინარეობს და ა.შ. - ყოველივე ეს განაპირობებს კულტურულ პრიორიტეტებს იერარქიაში, ფორმალიზაციასა და თანამშრომლობას.

ფრანგული კომპანიების მენეჯერების დახასიათებით, ფრანგული კომპანიები ხასიათდებიან, როგორც cloisonne (განყოფილებებად დაყოფილი) ანუ მკაფიოდ სტრუქტურირებული ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად. ეს მკაფიოსა და ნათელს ხდის კომპანიის იერარქიაში პერსონალურ როლებს, პასუხისმგებლობა პრივილეგიებსა და მოვალეობებს. ყოველივე ამის შედეგად ჯგუფთაშორისი საკომუნიკაციო ნაკადები შეზღუდულია. ითვლება, რომ ინფორმაცია, რომელიც ფართოდ ვრცელდება, ნაკლებად სასარგებლოა. გარდა ამისა, ფრანგული პოლიტიკური კულტურის ტრადიციების თანახმად, ორგანიზაციებში ინფორმაცია განიხილება, როგორც ძალაუფლების წყარო. ამდენად, ინფორმაცია

თავისუფლად არ უნდა გავრცელდეს. გასაკვირი არ არის, რომ ფრანგულ ფირმებში არაფორმალური კომუნიკაცია შესამჩნევ როლს თამაშობს. მეტიც, არაერთი კვლევით წარმოჩინდა, რომ ინფორმაციის უმეტესობა შეიძლება იქნეს გაგებული ჭორის დონეზე და არა უშუალო ხელმძღვანელისაგან.

შვედური მენეჯმენტისათვის დამახასიათებელია გაურკვევლობისადმი მეტი ეგალიტარობა და ტოლერანტობა, იერარქიული და ფორმალური სტრუქტურების ნაკლები მნიშვნელობა. შვედური საკომუნიკაციო სქემა არის უფრო გახსნილი და არაფორმალური. შვედური მენეჯმენტი ორგანიზაციას განიხილავს, როგორც ინსტრუმენტულ, ვიდრე სოციალურ-პოლიტიკურ ფენომენს. განვიხილოთ მაგალითი. გამჭვირვალობის, ანუ ინფორმაციის ღია გაცვლის შვედურ მოთხოვნამ თავდაპირველად სიძნელეები შეუქმნა შვედურ კომპანია - ELEQTROLUX-ის კოლექტივს, როცა მან შთანთქა თავისი იტალიური კონკურენტი ZANUSSI. იტალიელი მენეჯერები და პროფკავშირი, რომლებიც მიუჩვეველნი იყვნენ ამას, დროთა განმავლობაში ნდობით განეწყვნენ „ვიკინგებისადმი“, მაგრამ ამის მიუხედავად, ZANUSS-ის მენეჯერები დრო და დრო დისკომფორტს განიცდიდნენ, ვინაიდან იტალიური ტრადიციის თანახმად მალავდნენ ინფორმაციას ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით.

კულტურული სხვაობების საკომუნიკაციო პროცესზე ზეგავლენის შედარებითი ანალიზი წარმოდგენილია ცხრილში.

კულტურული სხვაობების ზეგავლენა კომუნიკაციის პროცესზე[1]

დიდი ბრიტანეთი	*საფრანგეთი*	*შვედეთი*
1. მნიშვნელოვანია და ფასეულია ზეპირი კომუნიკაცია	1. წერით კომუნიკაციას ენიჭება უპირატესობა	1. კომუნიკაცია არის ვერბალური, არაფორმალური და ძალიან მკაფიო
2. უპირატესობა ენიჭება პიროვნულ ურთიერთობებს	2. ვერბალური კომუნიკაცია ხშირად ფორმალურია	2. ხელმისაწვდომობა და გახსნილობა - ნორმაა
3. კომუნიკაცია პრაგმატულია და არა დიდაქტიკური	3. კომუნიკაცია არის აბსტრაქტული და დიდაქტიკური	3. კომუნიკაცია ლაკონურია და ფოკუსირდება საქმიან მხარეზე
	4. კომუნიკაციური ტრადიციები აძლიერებს ძალაუფლებრივს	

კულტურა მხოლოდ იმას არ გვასწავლის, განსხვავებულ სიტუაციაში, როგორ მოვიქცეთ. ის სხვისი ქცევის შეფასებაზეც ახდენს გავლენას. მრავალ კულტურაში არსებობს გამოთქმები, რომელიც ურთიერთობების პროცესში კულტურის მნიშვნელობაზე მიუთითებს. ძველი ლათინური გამოთქმა გვეუბნება - „რომში ისე მოიქეცი, როგორც რომაელები იქცევიან“. ქართულში მსგავსი აზრის გამომხატველია გამოთქმა - „სადაც წახვალ იქაური ქუდი დაიხურე“. ბიზნესის წარმატების საწინდარია და არსებითი მნიშვნელობა აქვს ეფექტიანი კომუნიკაციის უნარებსა და კლიენტის კულტურის გათვალისწინებას.

განსაკუთრებით საყურადღებოა აღმოსავლურ და დასავლურ კულტურებს შორის განსხვავება. დასავლეთისთვის, რომელშიც მოიაზრება ევროკავშირი, აშშ და კანადა, დამახასიათებელია მეტყველების პირდაპირი სტილი, ე.ი. საკუთარი მოთხოვნების, აზრებისა თუ გრძნობების პირდაპირ გამოხატვა, მაშინ, როდესაც აღმოსავლური კულტურისთვის, მაგ. თურქეთი, იაპონია, არაბული ქვეყნები, უფრო დამახასიათებელია სურვილისა და შეხედულებების არაპირდაპირი გზით, ხშირად მინიშნებებით გამოხატვა, რაც გულისხმობს, რომ მნიშვნელობის წვდომა, თავად კომუნიკაციის მიმღებმა უნდა მოახერხოს.

კროსკულტურული კომუნიკაციის ნაკადები და სტილი

ბიზნესკომუნიკაციის ნაკადებზე დიდ ზეგავლენას ახდენს კონტექსტი, რომელსაც ზოგიერთ კულტურაში დიდი, ხოლო ზოგში კი-მინიმალური მნიშვნელობა გააჩნია, მსოფლიო ქვეყნების განსხვავებული კულტურა განაპირობებს მათ განსხვავებულ მიდგომებს ორი საკითხისადმი.

მაგალითად, ზოგადი კლასიფიკაციით არსებობს ორი ტიპის - მაღალი კონტექსტის და დაბალი კონტექსტის ქვეყანა[4]. ასეთ ქვეყნებს შორის კომუნიკაცია, იქნება ის ბიზნესპარტნიორებს შორის, პოლიტიკური მოლაპარაკებების წარმოება თუ მარტივი კომუნიკაცია, საკმაოდ რთულია. ეფექტიანი კულტურათაშორისი კომუნიკაცია მოითხოვს კომუნიკაციის სხვადასხვა სტილის ცოდნასა და გამოყენების უნარს. განვიხილოთ რამდენიმე კულტურული სტილი:

• კომუნიკაციის პირდაპირი და არაპირდაპირი სტილი - კომუნიკაციის სტილის არჩევა დამოკიდებულია კულტურათა კონტექსტუალობაზე. ასე, მაგალითად, მაღალკონტექსტუალურ კულტურებში უპირატესობას ანიჭებენ არა პირდაპირ, არამედ ორაზროვან კომუნიკაციას. ერთ-ერთი მიზეზია, რომ კომუნიკაციური პროცესის მონაწილეები - ოჯახის წევრები, მეგობრები, კოლეგები, კლიენტები, ცდილობენ დაამყარონ ახლო პიროვნული ურთიერთობა და მოახდინონ ფართო საინფორმაციო ქსელის ფორმირება. შედეგად ამ ქსელში ყველამ ყველაფერი იცის ერთმანეთის შესახებ, ამიტომ, აზრის გამოთქმის მარტო ვერბალურ საშუალებებზე დაყრდნობა აუცილებლობას არ წარმოადგენს. ინფორმაციის გადაცემის პროცესში მნიშვნელობა აქვს ინტონაციას, პაუზას, სახის გამომეტყველებას. დაბალკონტექსტუალურ კულტურებში გამოიყენება საქმიანი ურთიერთობის პირდაპირი სტილი. ადამიანები ხშირად შედიან კონტაქტში რაიმე ამოცანის გადასაწყვეტად. ამდენად, ვინაიდან ისინი კარგად არ იცნობენ ერთმანეთს, უხდებათ თვით კომუნიკაციაზე ფოკუსირება და პირდაპირობა;

მაგალითად, კომუნიკაცია საქმიან პარტნიორებს შორის, რომელთაც მრავალი წლის თანამშრომლობა და გამოცდილება აქვთ, მაღალი კონტექსტით ხასიათდება. მხოლოდ მცირედი ინფორმაციის გაცემა საჭირო დროის ნებისმიერ მონაკვეთში იმისთვის, რომ მხარეებმა ერთმანეთს გაუგონ. ძალიან პატარა ინფორმაცია შეიძლება საკუთარ თავში დიდ შინაარსს იტევდეს და ეს ორივე მხარისათვის ობიექტურად იყოს აღქმადი და გასაგები. მაღალი კონტექსტის კულტურის ქვეყნებია იაპონია, ჩინეთი, ინდოეთი, სამხრეთ კორეა, ხმელთაშუაზღვისპირეთისა და არაბული ქვეყნები. ამ ქვეყნებში არსებობს მჭიდრო საინფორმაციო სისტემები და ახლო საქმიანი ურთიერთობები. ასეთ კულტურაში ადამიანები, ყოველთვის არიან ინფორმირებული იმ ადამიანებსა და მოვლენებზე, რაც მათთვის საინტერესოა და მნიშვნელოვანი.

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის (იაპონია, ჩინეთი, სამხრეთ კორეა) და არაბული რეგიონის(საუდის არაბეთი, ქუვეითი, ომანი, ბაჰრეინი, არაბთა გაერთიანებული ემირატები, აბუ-დაბი, ეგვიპტე) კულტურები მაღალკონტექსტუალურებად ითვლებიან, ვინაიდან ინფორმაციის უმეტესობა არა სიტყვების, არამედ არავერბალური კომუნიკაციის ნიშნების მეშვეობით გადმოიცემა. ეს ნიშნებია გარეგნული იერსახე, ავტომობილის მარკა, ქცევის მანერა, ოფისის მოწყობილობა და ავეჯი და ა.შ. აღმოსავლეთის ქვეყნების მაცხოვრებელთათვის სიტყვები მხოლოდ სასიამოვნო ბგერებია, რომლის მიღმა იმალება მოსაუბრის ჭეშმარიტი მიზნები. ინფორმაციის გადაცემისას აღმოსავლეთის მაცხოვრებელი უფრო იმას აქცევს ყურადღებას, ვისთან და რა სიტუაციაში ხდება საქმიანი ურთიერთობა. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შეტყობინების ფორმას, ანუ იმას, თუ როგორ არის ნათქვამი და არა იმას, რა არის ნათქვამი. საუბარი შეიძლება იყოს ბუნდოვანი და არაკონკრეტული, გამონათქვამები მიახლოებითი („შესაძლოა“, „იქნებ“, და ამდაგვარი). სწორედ ამიტომ საუბრობენ იაპონელები ბუნდოვნად საქმიანი მოლაპარაკების დროს, მსჯელობენ რაზეც გნებავთ, მოლაპარაკების საგნის გარდა. ეს სტრატეგია აძლევს მათ საშუალებას, უკეთ შეიტყონ პარტნიორის მისწრაფებები, რათა განეწყონ მთავარი თემისათვის ან ღირსეული ოპონენტობა გაუწიონ მის არგუმენტებს. კომუნიკაციის ასეთივე სტილი ახასიათებს დასავლეთ და შუა აზიის ზოგიერთ ქვეყნებსაც.

დაბალი კონტექსტის კულტურის ქვეყნებია აშშ, გერმანია, შვეიცარია, სკანდინავიის ქვეყნები და დასავლეთი ევროპის სხვა ქვეყნები. ამ კულტურებში პირადი ურთიერთობები, ადამიანების მრავალფეროვანი ინტერესების და საქმიანობის სფეროების გამო წყდება. ასეთ კულტურებში დიდია შესავლის ტიპის ინფორმაციის გაცვლა კომუნიკაციის პროცესში. გარდა ძირითადი საკითხებისა, მხარეები ერთმანეთს აწვდიან ზოგად ინფორმაციას, რომელსაც შესაძლოა საქმესთან არ ჰქონდეს არსებითი კავშირი. ეს ქვეყნები განსაკუთრებულად ხასიათდებიან მოცულობითი წერილობითი კომუნიკაციით.

დასავლეთის კულტურებში, დაბალი კონტექსტუალური ჯგუფის, წერილობითი ან და ზეპირი შეტობინებების ინფორმაციის უდიდესი ნაწილი სიტყვიერადაა გადმოცემული. მენეჯერებს ასწავლიან პირდაპირ, უშუალოდ თემის ირგვლივ, ღია ლაპარაკს, როცა ყველაფერს ერქმევა თავისი სახელი და უკრძალავენ ისეთი გამონათქვამების

გამოყენებას, როგორიცაა: „სასურველია“, „ხომ არ შეგიძლიათ, რომ ...“ და ა.შ. უფრო დიდი ყურადღება ეთმობა იმას, თუ რა არის ნათქვამი (ანუ შინაარსს), და არა იმას, როგორ არის ნათქვამი. საკუთარი პოზიციის გადმოცემის ასეთი მანერა გაუგებარია მაღალკონტექსტუალური კულტურის ქვეყნებისათვის, ზედმეტი პირდაპირობა მათ მიერ აღიქმება, როგორც სიუხეშე და არათავაზიანობა.

გარდა ამისა, დასავლური და აღმოსავლური კულტურები განსხვავებულად ეპყრობა ასაკს, სქესს და ა.შ., მაგალითად, თუკი აღმოსავლეთისათვის საქმიანი შეხვედრის დროს ასაკოვანი პირისადმი ღრმა პატივისცემა ნორმაა, დასავლეთისთვის ეს პროგრესის შემაფერხებელ პატრიარქალობად აღიქმება. და პირიქით, სპეციალისტის ახალგაზრდა ასაკი დასავლეთის საქმიან კულტურაში ითვლება ღირსებად, ხოლო აღმოსავლეთში კი ახალგაზრდები მხოლოდ გამოუცდელებად აღიქმება.

„მაღალი კონტექსტი“ ნიშნავს, რომ ბიზნეს პარტნიორებს შორის საქმიან ურთიერთობაში დიდია ტრადიციების როლი, ინტუიცია და სიტუაცია. ასეთ საზოგადოებაში ხდება ზეპირად მიღ¬წეული შეთანხმების მკაცრი დაცვა, ამიტომაც, წერილობითი კონტრაქტის შედგენის აუცილებლობა შეიძლება არც კი დადგეს. „დაბალი კონტექსტი“ სრულიად საპირისპიროა: პიროვნული კონტაქტები მკაცრად არის ფორმალიზებული, საქმიანი ურთიერთობისას მკაფიო ფორმულირებები გამოიყენება, რომელთა მნიშვნელობა არ არის დამოკიდებული სიტუაციასა და ტრადიციაზე.

მაღალი და დაბალი კონტექსტის თავისებურებების გაუთვალისწინებლობა, კომუნიკაციის სტილში შესაძლოა გაუგებრობების საფუძველი გახდეს. მაღალი კონტექსტის კულტურის წარმომადგენელმა შესაძლოა დაბალი კონტექსტის კულტურის წარმომადგენელი შეაფასოს, როგორც ზედმეტად მოსაუბრე, ზედმეტად ზუსტი, არასაჭირო ინფორმაციის მომწოდებელი. მეორე მხრივ, დაბალი კონტექსტის კულტურის წარმომადგენელმა მაღალი კონტექსტის კულტურის წარმომადგენელი შესაძლოა შეაფასოს არაჭეშმარიტ (რადგან ინფორმაციის ნაწილი უთქმელია და ნაგულისხმევი) და არასანდო ბიზნეს პარტნიორად.

კომუნიკაციის დახელოვნებული, ზუსტი და მოკლე სტილი. ასეთი სტილი დამახასიათებელია არაბული ქვეყნებისათვის. აქ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საქმიან ურთიერთობას, მოვლენათა და საგანთა აღწერა დეტალურია, ხოლო სუფრაზე მიპა¬ტიჟებაზე უარის თქმას თან ახლავს მრავალჯერადი ფიცი და დარწმუნებები. ზუსტი სტილი, რომელიც მიღებულია გერმანიაში, ინგლისსა და შვედეთში გულისხმობს შეტყობინების მინიმალური სიტყვათა მარაგის გამოყენებით გადაცემას. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში კი ეყენებენ კომუნიკაციის მოკლე სტილს, რომელსაც ახასიათებს თავის არიდება, პაუზები, სიჩუმე. უცნობ სიტუაციებში ისინი იქცევიან ისე, რომ არ „დაკარგონ სახე“.

• კომუნიკაციის ინდივიდუალური და კოლექტიური სტილები. სიტუაციური სტილი აქცენტირდება კომუნიკაციური პროცესის მონაწილეების ურთიერთქმედებაზე და დამახასიათებელია კოლექტივისტური კულტურებისათვის. ინდივიდუალისტური კულტურებისთვის დამახასიათებელია პიროვნული კომუნიკაციის სტილი, რომელშიც აქცენტი პიროვნებაზე კეთდება;

ინდივიდუალიზმი უშუალოდ მიმართულია პიროვნების კეთილდღეობისკენ, ინდივიდუალისტური კულტურა ძირითადად დაბალი კონტექსტის ქვეყნებს ახასიათებთ. ის ხაზს უსვამს ინდივიდუალურ თავისუფლებას, პიროვნების პირველხარისხოვან მნიშვნელობას, პირად დამოუკიდებლობას და აღიარებს „საკუთარი თავის იმედად ყოფნის“ პრინციპს. ინდივიდუალიზმის ქვეყნებს მიეკუთვნება აშშ, კანადა, ავსტრალია, დასავლეთი ევროპის ქვეყნები.

კოლექტივიზმი გულისხმობს საერთო ინტერესების პრიორიტეტს პიროვნულთან შედარებით. კოლექტივისტურ საზოგადოებებში ინდივიდი ძირითადად მოტივირებულია იმ ჯგუფის, თუ ჯგუფების ინტერესებით, რომელთა წევრიცაა იგი. ამ ჯგუფების წევრობა, ხშირ შემთხვევაში, უფრო ტრადიციულია და არა ნებაყოფლობითი. ჯგუფი შეიძლება იყოს დიდი (ერი, სახელმწიფო, რელიგიური ერთობა და სხვ.) და შედარებით მცირე (ნათესაობა, სამეზობლო, ნაცნობ-მეგობართა წრე და სხვა). კოლექტივიზმი, როგორც წესი, ახასიათებთ მაღალი კონტექსტის ქვეყნებს - სამხრეთ- აღმოსავლეთის და არაბულ ქვეყნებს. საქართველო წარმოადგენს კლასიკურ „მცირეჯგუფოვან“ კოლექტივისტურ კულტურას, სადაც ძირითად სოციალურ ერთეულს შეადგენს ნათესაობა, სამეგობრო, ნაცნობთა წრე და ყოველდღიურ ცხოვრებას განსაზღვრავს სწორედ ამ ჯუფებში არსებული ნორმები.

კომუნიკაციის ინსტრუმენტული და აფექტური სტილი. აფექტური სტილი ორიენტირებულია მსმენელზე, ინფორმაციის მიმღებსა და თვით კომუნიკაციურ პროცესზე. მსმენელისაგან აქ

მოითხოვება სიტყვების რეალური მნიშვნელობის გაგების ინტუიციური უნარი, ვინაიდან გადაცემული ინფორმაცია ხშირად არავერბალურია. ამასთან, არავერბალურ ინფორმაციას, ხშირ შემთხვევაში, ვერბალურზე მეტი მნიშვნელობა გააჩნია. ეს სტილი სახასიათოა კოლექტივისტური, მაღალკონტექსტუალური კულტურებისათვის, მაგალითად, ახლო აღმოსავლეთის (საუდის არაბეთი და ეგვიპტე), ლათინური ამერიკისთვის, აზიისთვის (იაპონია, კორეა). ინსტრუმენტალური სტილი კი ორიენტირებულია მოლაპარეკასა და კომუნიკაციის მიზანზე. ამ დროს ინდივიდი ნათლად აყალიბებს, რა უნდა, რომ შეიტყოს მეორე მხარის წარმომადგენლისაგან. ასეთი სტილი უფრო მეტად სახასიათოა ინდივიდუალისტური, დაბალკონტექსტუალური კულტურისათვის (შვედეთი, დანია, კანადა, აშშ და ა.შ.). მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ კომუნიკაციის ყველა ხსენებული სტილი მეტნაკლებად ყველა კულტურისათვის არის სახასიათო. სხვა საქმეა, რომ ისტორიულად ჩამოყალიბებული ფასეულობები და ნორმები, რაც კულტურის საფუძველია, აისახება ბიზნესსკომუნიკაციის კონკრეტულ სტილში.

მსოფლიოში მიმდინარე რეალური პროცესებისა და პრობლემების გაანალიზების საფუძველზე თუ შევაჯამებთ ზემოთ აღნიშნულ გამოწვევებს, მიგვაჩნია, რომ გლობალიზაციის ეპოქაში არსებითი მნიშვნელობა გააჩნია კულტურათაშორისი კომუნიკაციის განმასხვავებელი თავისებურებების გათვალისწინებასა და კომუნიკაციური აქტის მონაწილეთა სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელ ბიზნესპარტნიორების მიერ ადეკვატურ ურთიერთგაგებას. ამასთან ერთად, ბიზნესსუბიექტების ეფექტიანი კომუნიკაციის ჩვევები კულტურული ფასეულობების განსხვავების პირობებში დიდად შეუწყობს ხელს გლობალურ ბიზნესში მის აქტიურ ჩართულობას, კულტურული ბარიერების შემცირებასა და მაქსიმალური შედეგების მიღწევას.

ლიტერატურა:

1. ლ. ხიხაძე, კომუნიკაციის კროსკულტურული გამოწვევები გლობალურ ბიზნესში, ჟურ.,ეკონომიკა და ბიზნესი, ტომი XI, N 2, 2018;
2. ლ.ქარჩავა, კომუნიკაციები საერთაშორისო ბიზნესში, თბ., 2012;
3. თ. შენგელია, გლობალური ბიზნესი, თბ., 2018;
4. თ.შენგელია, საერთაშორისო მენეჯმენტი, თბ., 2012.

Intercultural communication problems and the main directions of improvement in international business

Lali Khikhadze
Doctor of economics

Abstract

In XXI century mankind faces to many problems and challenges, but cultural globalization is especially remarkable, which aims elimination of religious, ethnic, national and cultural differences and formation of uniform global culture. Cultural globalization is the successor of western universe. Global culture and processes related to it, come from strong metropolises of the modern world and largest cultural centers. It's remarkable that such global culture and cosmopolite ideas always are in contradiction and incompatible with the state national policy, and what is the main, with cultural characteristics of each country. Culture has a great influence over the international business communications. In fact, cultural differences can have an influence on the fact, what the personnel is waiting from the foreign employment company, how the emigrant deals with s strange environment, how the trans-national companies make investments and do the international commercial operations in different countries. Cross-cultural differences can raise disagreement and conflicts, as well bring profit in every segment of global business. Effective cross-cultural business communication is very important necessary ability for the international business management, as well for the international companies with multi-cultural personnel,in basic, as well in recipient countries. Business subjects must be attentive towards detecting the cultural differences and be well aware of cultural noise in business communication and business negotiation process.

Key words: cross-culture; business communication; cultural globalization; multi-cultural; business negotiations; electronic communication; verbal and non-verbal communication; high and low context cultures; monochromic and polychromic cultures; global business.

ორგანიზაციათა მწარმოებლურობა – რესურსთა ყაირათიანობა და მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება

ემზარ ჯულაყიძე
ეკონ. აკად. დოქტორი, პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ.ფოსტა: ejulakidze@gmail.com

ორგანიზაცია არის მწარმოებლური თუ მასში კეთდება საჭირო, მოთხოვნადი საქონელი (მომსახურება), რომელიც კარგად იყიდება და ეს ყველაფერი სწორად, წარმატებულად კეთდება. შესაბამისად, მწარმოებლურობის ამაღლება ითხოვს იმის გარკვევას - თუ რა სურს დღეს მომხმარებელს და რაც სურს - როგორ მოვახერხოთ მისი სწორი, წარმატებული კეთდება.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე, გლობალურმა კონკურენციამ და საზოგადოების სოციალური ფონის გაუმჯობესებამ მომხმარებლები მეტი მომთხოვნი გახადა. ისინი დღის წესრიგში აყენებენ არა მარტო კომერციული შეთავაზების ფასეულობის ზრდას, არამედ როგორც მის დაუფლებაზე, ასევე ექსპლუატაციაზე დანახარჯების შემცირებასაც. ყოველივე ეს კი აიძულებს მწარმოებლებს, მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცესში, ეძებონ რაციონალური გადაწყვეტილებები - მინიმალური დანახარჯებით აწარმოონ ისეთი პროდუქცია, რომელიც ზუსტად პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს.

ფაქტია, რომ მომხმარებლების გარეშე არა თუ მწარმოებლურობის ზრდა, ვერ იარსებებს თვით ორგანიზაცია. მომხმარებლის ასეთი, განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, მენეჯერი კარგად უნდა იცნობდეს მომხმარებელთა სურვილებს და ორგანიზაციის განვითარების გეგმები მათი მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე უნდა ააწყოს. ამის გამოა, რომ მენეჯმენტის მეცნიერების თანამედროვე ავტორების პირველი და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია ისაა, რომ ბიზნესის განსაზღვრისას მენეჯმენტმა აქცენტი გააკეთო მომხმარებელთა კონკრეტულ მოთხოვნილებებზე.

თუკი მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ორგანიზაციის არსებობისა და მისი მწარმოებლურობის მთავარი პირობაა, მოდი უფრო დეტალურად ჩავიხედოთ მის სურვილებში. ბუნებრივია, ყველა კონკრეტულ სიტუაციაში კონკრეტული მომხმარებლის სურვილის ზუსტი განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია. თუმცა, ყოველთვის არსებობდა და არსებობს მომხმარებელთა ხელშეუხებელი ზოგადი თვისებები - პროდუქციის მეტი ინოვაციურობა, მაღალი ხარისხი, დაბალი ფასი, პირად საჭიროებებზე მორგებული პროდუქცია, სწრაფი მომსახურება და ა.შ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მომხმარებელთა ასეთი სურვილი წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. კერძოდ ის, რომ მაღალი ხარისხი, სწრაფი მომსახურება, კონკრეტულ სურვილებზე მორგებული პროდუქციის წარმოება ზრდის ხარჯებს და შესაბამისად ფასს, რომელმაც ეს ხარჯები უნდა დაფაროს. ასე რომ მომხმარებელთა მოთხოვნა პროდუქციის (მომსახურების) აღნიშნულ თვისებებზე ეწინააღმდეგება მათსავე მოთხოვნას დაბალ ფასებზე. ეს კი, თავის მხრივ, გვაიძულებს იმას, რომ მომხმარებლებმაც და ორგანიზაციათა მენეჯერებმაც უნდა გააკეთონ არჩევანი პროდუქციის (მომსახურების) ინოვაციურობის, ფასის, ხარისხისა და საექსპლოატაციო დანახარჯების მიხედვით [1, გვ. 391].

მყიდველისათვის ნაკლებად საინტერესოა პროდუქციის (მომსახურების) ისეთი მნიშვნელოვანი მახასიათებლები, როგორიცაა მაგ.: თვით-

ღირებულება, შრომატევადობა, მასალატევადობა, ენერგოტევადობა, ნაკეთობის დამზადების ტექნოლოგიური თავისებურებები ა.შ. მათთვის მნიშვნელოვანია საქონლის სამი ელემენტი: სამომხმარებლო თვისებები (ხარისხი), ფასი და მიმდინარე საექსპლოატაციო ხარჯები, რომლებიც ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს საქონლის კონკურენტუნარიანობის მთავარ მდგენელებს. თუმცა, თანამედროვე ეტაპზე, ის გარკვეულ ჩასწორებას საჭიროებს. როგორც აღინიშნა, ბაზრის საქონლით გაჯერებამ აიძულა მწარმოებლები ორიენტაცია აიღოს კონკრეტულ მომხმარებლებზე. ანუ, წინასწარ შეისწავლოს, თუ რა უნდა კონკრეტული სეგმენტის მომხმარებელს, როგორი იქნება მის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნა, რათა ფუჭად არ დახარჯოს ფინანსური, შრომითი და მატერიალური რესურსები და მტკიცედ იყოს დარწმუნებული, რომ მისი პროდუქცია საქონლად გადაიქცევა. ანუ, უზრუნველყოს ორგანიზაციის მწარმოებლურობა, რომელიც ფაქტიურად იზომება მიღწეული შედეგისა და გაწეული დანახარჯების რაოდენობრივი ფარდობით.

სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ორგანიზაციის მწარმოებლურობა - ეს არის იმის საზომი, თუ რამდენად ყაირათიანად იყენებს ორგანიზაცია მის ხელთარსებულ რესურსებს და რამდენად ეფექტურია მისი მენეჯმენტი. ორივე (ყაირათიანობა და ეფექტიანობა)სასიცოცხლოდ აუცილებელია ორგანიზაციის წარმატებისათვის. კერძოდ, თუ რესურსთა ყაირათიანობა არის იმის საზომი, თუ რამდენად კარგადაა შესწავლილი მომხმარებელი, რას ითხოვს და რამდენად რაციონალურად იქნა გამოყენებული ორგანიზაციული რესურსები ასეთი სახის პროდუქციის (მომსახურების) საწარმოებლად [2, გვ. 248], მენეჯმენტის ეფექტურობა - ეს არის დასახული მიზნებისა და მიღწეული შედეგების საუკეთესო თანაფარდობა. ანუ, ეფექტურია ორგანიზაციის ისეთი მენეჯმენტი, რომელიც ირჩევს სწორ მიზანს და რეალურად აღწევს (აჭარბებს) მას.

ამასთან, თუ ვსაუბრობთ ორგანიზაციის მწარმოებლურობის ამაღლების გზებზე, ყველაზე დიდი შეცდომა, რაც ორგანიზაციის მწარმოებლურობის შეფასებაში და შესაბამისად, მისი ზრდის მიმართულებათა ძიებაში გვხდება - ეს არის მწარმოებლურობის შეფასება წარმოებული პროდუქციის მოცულობით. არა და არა. მწარმოებლურობა - ეს არის თანაფარდობა ორგანიზაციიდან გასული პროდუქციისა და შემოსული რესურსების ღირებულებებს შორის. ამიტომ, ყველაფერი რაც დაკავშირებულიაამ თანაფარდობის გაუმჯობესებასთან, ამავე დროს, არის ორგანიზაციის მწარმოებლურობის ამაღლების ფაქტორებიც [1, გვ. 465].

მეტიც, ორგანიზაციის მწარმოებლობაში არ შეიძლება ვიგულისხმოთ მხოლოდ მის სისტემაში არსებული რესურსების გარდაქმნა საბოლოო პროდუქტად (თუმცა, ეს მისი მნიშვნელოვანი კომპონენტია), არამედ მასში უნდა დავინახოთ პროცესი, რომელიც ორიენტირებულია მომხმარებელთა მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილებაზე – მაგ., წარმოებული პროდუქციის ხარისხი.

ბუნებრივია, ორგანიზაციის ყაირათიანობა გაიზრდება მაშინ, როდესაც შემცირდება ფინანსური დანახარჯები გამოყენებულ რესურსებზე, რომელიც საჭიროა იგივე რაოდენობის საქონლის საწარმოებლად (მომსახურების გასაწევად). მაგ., თუ ხაჭაპური დიდი მოთხოვნით იყიდება, დავუშვათ 5 ლარად; ოღონდ ერთს იგი უჯდება 3.50 ლარი და მეორეს კი - 3.80 ლარი, ფაქტია, რომ პირველის მწარმოებლურობა (კონკრეტულად კი - ყაირათიანობა) მაღალია. თუმცა, ჩნდება კითხვაც - რომელია უფრო გემრიელი? აღნიშნული პირდაპირ მიგვითითებს იმაზეც, რომ ყაირათიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია ასევე პროდუქციის ხარისხი (მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილების დონე) [1, გვ. 465]. დაეცა ხარისხი - ეს ნიშნავს დაეცა ორგანიზაციის ყაირათიანობა და შესაბამისად, მწარმოებლურობაც.

ამრიგად, ყაირათიანობა - ეს არის იმის საზომი თუ როგორ განვკარგეთ ორგანიზაციის რესურსები, მომხარებელთა მოთხოვნების უკეთ დასაკმაყოფილებლად (როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად).

ლიტერატურა:

1. Мескон М., Альберт М., Хедоури Ф. Основы менеджмента. Перевод с английского. М.: Издательство «ДЕЛО», 2004. - 493 ст. https://www.google.ge

2. ჯულაყიძე ე. მენეჯმენტის საფუძვლები (III შევსებული და განახლებული გამოცემა), ქუთაისი, აწსუ, 2018 წ. – 420 გვ.

Organizations' Productivity –
Providence of Resources and Satisfaction of Customers' Requests

Emzar Julakidze
The Academic Doctor of Economics, The Professor
AkakiTsereteli State University

The organization is productive if the goods are required and necessary in it, which are well sold and everything is made correctly and successfully. Therefore, in order to increase the productivity, it is necessary to determine what the customer wants today and how can we do it thrifty. All of theseforce the producers to search reasonable solutions – with minimum expenses produce the products that accurately response to market's requirements. So, thrifty – this is the measure how to manage organization's resources to satisfy costumers' needs. (both, as quantitatively as qualitatively)

მართებული გადაწყვეტილების სამი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი

ელიზბარ ბარბაქაძე
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
elizbar_barbakadze@yahoo.com

მმართველობითი გადაწყვეტილება - ეს მენეჯერის შემოქმედებითი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ნაყოფია. მის მართებულობას, ფაქტიურად, განსაზღვრავს თუ რამდენად სწორადაა ჩამოყალიბებული ორგანიზაციის მიზანი, რამდენად სრულყოფილადაა გაანალიზებული მიზნის მიღწევის ყველა ალტერნატივა და თუ რამდენადაა მოტივირებული მენეჯერი მიაღწიოს საუკეთესო შედეგებს. ანუ, მიზანი, ალტერნატივები და მენეჯერთა მოტივი - არის ის სამი, ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომლებიც განსაზღვრავენ თუ რამდენად მართებულია, არსებულ გარემოში, მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილება და საერთოდ, რამდენად ეფექტურია ორგანიზაციის მენეჯმენტი.

მმართველობითი გადაწყვეტილება - ეს არის მენეჯერის შემოქმედებითი საქმიანობის გარკვეული ნაყოფი, რომელსაც მივყავართ რაიმე შედეგამდე ან/და აუცილებელ მოქმედებამდე. მის მართებულობას, ფაქტიურად, განსაზღვრავს თუ რამდენად სწორადაა ჩამოყალიბებული ორგანიზაციის მიზანი, რამდენად სრულყოფილადაა გაანალიზებული მიზნის მიღწევის ყველა შესაძლო ალტერნატივა და თუ რამდენადაა მოტივირებული მენეჯერი მიაღწიოს საუკეთესო შედეგს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ არ არის მკვეთრად ჩამოყალიბებული მიზანი, ასეთი არჩევანი არ შეიძლება განვიხილოდ როგორც გადაწყვეტილება; თუ არაა ალტერნატივათა გარკვეული რაოდენობა, არჩევანიც არ არსებობს და მაშასადამე შეუძლებელია მართებული გადაწყვეტილების შემუშავება; და მესამეც - როგორც წესი, ყოველი გადაწყვეტილების ფორმირება და შესაბამისად, მისი მართებულობა, ხდება მენეჯერთა სხვადასხვა მოტივების დაპირისპირება-შეფასების შედეგად.

ამრიგად, მიზანი, ალტერნატივები და მენეჯერთა მოტივი - არის ის სამი, ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომლებიც განსაზღვრავენ თუ რამდენად მართებულია, არსებულ გარემოში, მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილება.

მიზანი. ბუნებრივია, მართებულია ის გადაწყვეტილება, რომელიც მეტ წვლილს შეიტანს მიზნის მიღწევაში და ამასთან, არ დააზარალებს ორგანიზაციაში მომუშავე ადამიანებს. სასურველი მიზანი კი უნდა იყოს მისი გარდაქმნა მწარმოებლურ, ყაირათიან და მაღალეფექტურ ორგანიზაციად, რომელიც შეიძლება გამოიხატოს: მოგების ზრდაში, ახალი პროდუქციის სწრაფ ათვისებაში, ხარისხის გაუმჯობესებაში, სარეალიზაციო ბაზრის გაფართოებაში, ორგანიზაციული პრობლემების ლიკვიდაციაში ან მისი მაქსიმალურად შემცირებაში. შესაბამისად, მიზნების სწორი დასახვა ორგანიზაციის პროგრესის უცილობელი წინაპირობაა. როგორც მენეჯმენტის უდიდესი თეორეტიკოსი პიტერ დრუკერი აღნიშნავს - „მართვა უნდა იწყებოდეს მიზნების შემუშავებით და მერე გადადიოდეს იგი ფუნქციების, ურთიერთმოქმედების სისტემისა და პროცესების ფორმირებაზე" [4, გვ. 13]. მიზნის სწორი განსაზღვრის ესოდენ დიდი მნიშვნელობა დაკავშირებულია იმასთან, რომ [3, გვ. 243]:

- მიზანი არის ყველა საქმიანობის დაგეგმვის პროცესის ამოსავალი მომენტი;
- მიზანი არის ყველა მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი;
- მიზანი განსაზღვრავს ადამიანურ ურთი-

ერთობებს ორგანიზაციაში;

- მიზანი არის პერსონალის შრომის შედეგების შეფასების მნიშვნელოვანი საფუძველი;
- მიზანი უნდა განსაზღვრავდეს პერსონალის მოტივაციის სისტემას;
- მიზნები განსაზღვრავს ორგანიზაციის მწარმოებლურობას.

ამრიგად, ორგანიზაციის მიზნის სწორი შერჩევა - მენეჯერის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა. ამიტომაც, თანამედროვე მენეჯმენტში მიზნის არჩევის თეორიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. და საერთოდ, მენეჯერთა სტრატეგიული ხედვა და მათი წარმატება ფასდება სწორედ ისეთი მიზნების დასახვით, თუ რამდენად კონკრეტული, დროში გათვლილი და რეალურ შედეგზეა ორიენტირებული იგი [2, გვ. 20].

არადა, სამი ათეული წელი სრულდება მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკა მკვეთრად დაადგა საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის გზას და მაინც საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ხელმძღვანელები იმის შემსრულებლები არიან, რასაც ზემოდან უბრძანებენ. მართლაც, მკაცრი დირექტიული მართვის პირობებში, რომელშიც 70 წელი ვცხოვრობდით, ზემოდან მოდიოდა დავალებები - თუ რა, როდის და ვისთვის უნდა გაგვეკეთებინა. დირექტორის როლი კი მხოლოდ ზემდგომის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პრაქტიკულ განხორციელებაში გამოიხატებოდა. შესაბამისად, „კარგი დირექტორობისათვის“ საკმარისი იყო, რომ იგი ყოფილიყო კარგი შემსრულებელი [3, გვ. 244].

ასეთი აზროვნება, ჩვენში, არც დღესაა ბოლომდე აღმოფხრილი. დღესაც, შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული ეკონომიკის მენეჯმენტი უფრო მეტად შექმნილ პრობლემებზეა ორიენტირებული და ნაკლებად - სტრატეგიული მიზნების მიღწევაზე. საკმაოდ ცნობილია ასეთი გამოთქმა, რომ „მხოლოდ მოჭრიალე ბორბალი საჭიროებს შეზეთვას“. შესაბამისად იქ, სადაც განსაკუთრებულად არაფერი „ჭრიალებს“, ასეთი ხელმძღვანელი (მაგ., მინისტრი, გუბერნატორი, ქალაქის თუ მუნიციპალიტეტის მერი, რექტორი, დირექტორი) „წარმატებულად“ ითვლება. ანუ, წარმატებულია ის, ვინც გარკვეულ მომენტში მოხსნა „პრობლემები“. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ მენეჯმენტში მთავარია ახალი შესაძლებლობის გამოყენება, სტრატეგიული მიზნების ფორმირებადა აღსრულება, რომელიც მათი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებიდან, ფაქტიურად, მეორე პლანზეა გადატანილი.

ფაქტია, რომ ყველა მიზნის ფორმირების საფუძველი არის ლიკვიდირებული იქნას ან შემცირდეს მაინც განსხვავება ორგანიზაციის რეალურსა და სასურველ მდგომარეობას შორის. იგი შეიძლება შექმნას როგორც ახალმა შესაძლებლობებმა, ასევე მოსალოდნელმა საფრთხეებმა. სწორედ ეს „სხვაობა“ ქმნის პრობლემას, რომლის შეუმჩნევლობამ შესაძლოა მნიშვნელოვანი დანაკარგები მოუტანოს ორგანიზაციას. ამიტომ, პრობლემის დროული აღმოჩენა და სათანადო მიზნის ფორმირება მეტად აქტუალური საკითხია ზოგადად მენეჯერის საქმიანობაში და კონკრეტულად კი - მართებული გადაწყვეტილების შემუშავების საქმეში.

ალტერნატივები. ალტერნატივების განსაზღვრა მნიშვნელოვანი ფაქტორია პრობლემის გადაწყვეტაში. ეს არის პროცესი, რომლის დროსაც გამოვლინდება დასახული მიზნების მიღწევის, საფრთხეების შემცირების ან ახალი შესაძლებლობების რეალიზების საშუალებები. ამიტომ, მენეჯერი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, პირველ რიგში, უნდა ჩამოაყალიბოს ყველა არსებული ვარიანტი, რომელთა გამოყენებაც შეიძლება კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტის პროცესში. შემდეგ, კრიტიკულად უნდა გაანალიზოს თითოეული ვარიანტის უპირატესობა და ნაკლი, რომლის საფუძველზეც უნდა შეირჩეს მისგან ყველაზე მართებული. ამასთან, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ალტერნატიული ვარიანტები, როგორც წესი, ურთიერთგამომრიცხავებია. ანუ, ორი ალტერნატივის ერთდროული რეალიზაცია არ ხდება [1, გვ. 23].

აღსანიშნავია, რომ ყველა ალტერნატივა შეფასების შესაბამის კრიტერიუმს მოითხოვს. ხოლო, ყველა იმ ალტერნატივას, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას სასურველი მიზნის მისაღწევად შეიძლება ვუწოდოთ - მენეჯერთა შესაძლო ქმედებები. ქმედებები, მარტივად, ეს არის ორგანიზაციული რესურსების გამოყენების განსხვავებული გზები. შესაბამისად, ვინაიდან რესურსები შეზღუდულია, ყოველი ალტერნატივა შეიძლება შევაფასოთ, ერთი მხრივ, რესურსების ხარჯვის ოდენობით, ხოლო მეორე მხრივ, მოსალოდნელი შედეგებით, რომლის საფუძველზე შესაძლებელია განისაზღროს თუ რომელია მათგან უკეთესი. თუმცა, გასათვალისწინებელია ასევე - მიზნის მიღწევის ალბათობაც. საქმე იმაშია, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი ყოველთვის დაკავშირებულია რისკთან. ამასთან, როგორც რესურსების ხარჯი, ასევე მიზნის მიღწევის ალბათობა და სასურველი შედეგები პროგნოზირებადი მახასიათებლებია. შესაბამისად, მართებული გადაწყვეტილების შემუშავების გზაზე, პირველ

რიგში, საჭიროა მოვახდინოთ არსებულ ალტერნატივათა რანჟირება მათი აქტუალობის, ინვესტიციის მოცულობის, რისკის ხარისხისა და სხვა შეფასებათა მიხედვით.

მმართველობითი მოტივი. ეს არის მენეჯერის შინაგანი სურვილი მოახდინოს დაქვემდებარებულებზე ისეთი ზემოქმედება, რომ მათი ძალისხმევა ზუსტად წარმართოს სასურველი მიზნის მისაღწევად. თუმცა, ასეთ შინაგან სურვილთან ერთად, მართებული გადაწყვეტილების სწორი მიმართულებით წარმართვისათვის, მენეჯერის სწორი აზროვნება და მისგან მომავლის სტრატეგიული ხედვა სჭირდება, რადგან სწორედ მენეჯერის უნარების საფუძველზე ფორმირდება მისი ინდივიდუალური მოქმედების კონცეფცია, როგორც ორგანიზაციული პრობლემების აღქმისა და მისი გადაწყვეტის გააზრების მეთოდი. ანუ, მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავების სწორი მეთოდოლოგიით წარმართვა უშუალოდაა დამოკიდებული მენეჯერული აზროვნების სიღრმესა და სიფართოეზე, მის მოქნილობასა და სისწრაფეზე. კონკრეტულად კი, აზროვნების სიღრმემ უნდა შეძლოს გარემო პირობებში მოქმედ ფაქტორთა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვა; აზროვნების სიფართოე განსაზღვრავს მენეჯერის უნარს სრული სიგრძე-სიგანით დაინახოს ბიზნეს-გარემოში მიმდინარე მოვლენები და არ მხოლოდ მისი ცალკეული გამოვლინებები; აზროვნების მოქნილობა ვლინდება მენეჯერის უნარში უარი თქვას სტერეოტიპებზე და მოძებნოს რეალობის ადეკვატური გადაწყვეტილება; ხოლო, აზროვნების სისწრაფე - ეს არის მინიმალური დროის დანაკარგები პრობლემის დიაგნოსტიკიდან გადაწყვეტილების შემუშავებამდე.

ამრიგად, მმართველობითი გადაწყვეტილების „ავტორის“ ეს მახასიათებლები და მასთან ერთად - ზუსტად დასახული მიზანი და მისი მიღწევის ოპტიმალური ალტერნატივა, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს გადაწყვეტილების შედეგიანობასა და საერთოდ, ორგანიზაციული მენეჯმენტის ეფექტიანობას.

ლიტერატურა:

1. მექვაბიძე რ. გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგია პრაქტიკაში. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2014 წ. - 379 გვ.ფტპ://ფილეს.გუ.ედუ.გე
2. ჯულაყიძე ე. სტრატეგიული მენეჯმენტი, ქუთაისი, აწსუ, 2016 წ. - 260 გვ.
3. ჯულაყიძე ე. მენეჯმენტის საფუძვლები (III შევსებული და განახლებული გამოცემა), ქუთაისი, აწსუ, 2018 წ. - 420 გვ.
4. ДрукерП. Задачименеджментав XXI веке, Учебноепособие. М., 2007. http://www.koob.ru/drucker peter/

Three Main Characteristics of Right Decision

Elizbar Barbakadze
The Doctor of Business Administration
Akaki Tsereteli State University

Managerial decision – it is manager's the most important fruit of creative activity. In fact, its correctness is defined by three main characteristics: the first, how correctly is used the reason, the second, how correctly are analyzed all the alternatives to achieving the goals and the third, how is the manager motivated to reach the best results. So, the goal, the alternatives, and the manager's motivation are those three main, the most important characteristics that define how right is the accepted managerial decision and at all, how effective is organization management in existing environment.

About Theoretical School of Competitive Management – New MBA: Management By Abilities

Revaz Lordkipanidze
Academic of International Academies,
with Harvard University's estimate
of course "American Government"
e-mail: revazlordkipanidze@gmail.com

Author of this article proposes a new direction of management - "School based on abilities" (New MBA: Management By Abilities). According to R. Lordkipanidze, multi-factorial assessments of own competitive abilities and additional rational stimulation of the most effective abilities, are without alternative and they are future for actions in management.

As author spoke against the perfect market in interpreting numerous "ants", He also dose not recommend, for example, to convert a football player into a basketball player. By author, the power of management (coach) is not in setting a goal (for example, to make a talented football player a basketball player), but rather to see and develop the most effective abilities (talents) of a managed object.

In the process for preparing of my monograph[1] and public lecture on January 16 (2019), I received my new – very significant for me research results.

My works on economics and innovative economic physics have shown that rationally effective competition should also be the basis of sound management.

If by analogy of the electrical current formula I=V/R, I calculated the force of economic competition in the core of the market, now I can calculate the competition level for the market as a whole as exactly as possible:

Competition Level=Market efficiency/Weighted average share of companies.

- Now, I definitely think, that market competitiveness should be primarily determined by Market efficiency, including productivity (or capital and different materials intensities) and profitability (ROE, ROA, ROIC, etc) indexes. There may be many competitors in the market, but not effectively in general. This does not mean that quantitative indicators should be ignored. We should also use them for a comprehensive assessment.

- The weighted average share of companies can also independently assess market competition and concentration, but due to efficiency, it is a more exact criterion. The weighted average share of companies can be determined by also my formula:

Weighted average share of companies $=\sum_{i=1}^{n}(SiVi)/V$,

where n - number of companies in the market;
Si – market share of i company in percent;
Vi – i company volume in dollars;
V – total market volume in dollars.

For example, if the volume of a homogeneous market is $ 200 billion and 3 companies are represented by 40; 60 and 100 billion dollars, the weighted average share of companies will be 38%. That is (20%x40+ 30%x60+ 100x50%)/200 = 38%.

Naturally, the arithmetic average share of any 3 companies will be 100/3 = 33.3%. But the weighted average share on level 38% more exactly reflects the real situation.

If in the above-mentioned $ 200 billion market, companies are represented by the values of 198; 1 and 1 dollars, their weighted average will be (198x99% + 1x0.5% + 1x0.5%):200 =98.015

3 companies are represented in such uneven market, but their arithmetic average share is 33.3%, but the real picture is reflected by a weighted average share on 98.015%, which shows, that a company with very high specific weight has real power.

As we remember, the really great American engineer Frederick Taylor[2] laid the foundations of scientific management and his creative legacy is evaluated by us (even according to our needed critical assessment style), as an

1. Lordkipanidze, R (2019). International Economic Competition and Competitive Management Theory. - Tbilisi, Philanthropic Research Academy for Georgian Parliament Digital Library "Iverieli", As E-Book, ISBN 978-9941-8-0975-0 (PDF), 2019: 450. http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/291665.
2. Taylor, F (1911). The Principles of Scientific Management. New York and London, Harper & brothers.

increasingly important management science.

In modern conditions, from the heritage of many valuable scientific studies related to management, we distinguish three main really genius American schools:

1) School of Quantitative Methods (with an assessment of the exact sciences), where J. Neumann[3] occupies a special place, which, as is well known, has innovative research in quantum physics and computer science;

2) School of Situational Methods (with an emphasis on the psychological aspects of human relations), where, we would say, the initial role is assigned to the sociologist M. Follet[4];

3) Goal-oriented School (for example, the MBO: Management by Objectives), with innovative guidance from the so-called modern management guru P. Drucker[5].

Our approach mainly consists in the fact that, using the best qualities of all the above three schools, in accordance with the requirements of the time, we propose a new direction of management - "School based on abilities" (New MBA: Management By Abilities). Naturally, this is another MBA - not our for all economists - Master of Business Administration.

We will follow the step by step for explanation.

About the first, the so-called quantitative school, I would like to convince the reader that, in addition to mathematics, I use "innovation" physics in economic research, but economics and management are much more difficult. I think that the most significant were for our research, the assessment of the correctness of our critical conclusions from the highest world standards of Harvard University[6] School and Georgian Centers. I have loved and love exact mathematics from early childhood, but I think You will agree, that economics and management are full of surprises and inexactnesses.

I would like to express my sincere gratitude to the second school of situational methods, which requires caring psychological methods and individual organizational behavior for each specific situation and reflects the needs of humanity in more worthy relationships with each person.

Despite the great respect for Peter Drucker, in theory and practice of management for the 3rd school, I cannot share his position, in which he partially shares the view that Darwin[7], Marx and Freud form a trinity, which is often called the creator of the modern world. We are against these views, first of all, because Darwin and Marx clearly oppose belief in the Savior, to this, Darwin preaches the wrong theory about the evolution of man from a monkey, while Marx preaches the utopian goals of the future society without a diversity of private instincts and interests - the world is attractive for its diversity.

P. Drucker really very correctly notes that if we want to develop something, we must first of all evaluate it. But, unfortunately, the estimated goals and strategies are often unrealistic or inaccurate, and in many cases, even the predictions of genius science often do not correspond to reality.

Based on the foregoing, I think we should focus most on our own (real) capabilities, and not largely unrealistic goals, but do not rule out that goals and objectives are also very significant and needed.

Focused on their own abilities, management, based on competition research[8], is also called Competitive management, which gives the most effective results.

Multi-factorial assessment of our own abilities and additional rational stimulation of the most effective (competitive) abilities, I think, are without alternative and they are future for our actions in management. As we spoke against the market in interpreting numerous "ants", we also do not recommend, for example, to convert a football player into a basketball player. The power of management (coach) is not in setting a goal (for example, to make a talented football player a basketball player), but rather to see and develop the most effective abilities (talents) of a managed object.

3. Neumann, J (1941). Distribution of the ratio of the mean square successive difference to the variance. Annals of Mathematical Statistics. 12 (4): 367–395. doi:10.1214/aoms/1177731677. JSTOR 2235951.
4. Follett, M. (1940). Dynamic Administration: The Collected Papers of Mary Parker Follett, ed. by E. M. Fox and L. Urwick, London, Pitman Publishing.
5. "Peter F. Drucker". Claremont Graduate University. Archived from the original on 27 August 2006. Retrieved 24 March 2014; "Peter Drucker, Leading Management Guru, Dies at 95," Bloomberg, 11 November 2005; Drucker, P (December 1995). "The Age of Social Transformation". The Atlantic. Retrieved 12 March 2012.
6. Lordkipanidze R (2018). My Wonderful Harvard Course "U.S. Public Policy: Social, Economic and Foreign Policies", http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/278883.
7. Peter Drucker Quote, https://www.inc.com/magazine/19930301/3398.html
8. Lordkipanidze R (2018). Economic Competition: Urgent Need in Rethinking and Unprecedented Perspectives by Internet. – Philanthropic Research Academy for the Georgian Parliament Digital Library, ISBN 978-9941-8-0722-0 (PDF). http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/284911
Lordkipanidze, R (2018:4). Some misconceptions about perfect competition in economic theory and urgent recommendations for practice. - Internet Journal Pro-Economics.
http://www.proeconomics.ru/catalog/2018/4/lordkipanidze.pdf
Lordkipanidze, R (2019:1). About Development of Competition Evaluation and Birth of New School of Competitive Management. - Internet Journal Pro-Economics, 2019:1, ISSN 2587-7623, https://www.proeconomics.ru/catalog/2019/1/lordkipanidze.pdf

კონკურენტული მართვის თეორიული სკოლის შესახებ - ახალი მენეჯმენტი: მართვა უნარებით

რევაზ ლორთქიფანიძე
საერთაშორისო აკადემიების აკადემიკოსი,
ჰარვარდის უნივერსიტეტის შეფასებით
კურსში "ამერიკის მთავრობა"

რეზიუმე

სტატიის ავტორი მკითხველს თავაზობს მართვის ახალ მიმართულებას - "სკოლა, რომელიც ეფუძნება შესაძლებლობებს" (მართვა უნარებით). რ. ლორთქიფანიძის მოსაზრებით, საკუთარი კონკურენტუნარიანობის მრავალმხრივი შეფასებები და ყველაზე ეფექტიანი შესაძლებლობების დამატებითი რაციონალური სტიმულირება, ალტერნატივის გარეშეა, რაც მომავალში მენეჯმენტის მთავარ პრიორიტეტებად უნდა მოვიაზროთ.

როგორც ავტორი ასაბუთებს, თუ მისი ადრინდელი მიდგომა სრულყოფილ ბაზრის მრავალრიცხოვანი „ჭიანჭველების" ინტერპრეტაციის წინააღმდეგ გამოდიოდა, ამჯერად საკუთარ უნარებს უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული მნიშვნელობა და არ უნდა ვეცადოთ, მაგალითისათვის, ფეხბურთელი კალათბურთელად ვაქციოთ. ავტორის ხაზგასმით, მენეჯერის (მწვრთნელის) მიზანი ის კი არ უნდა იყოს, რომ ნიჭიერი ფეხბურთელი კალათბურთელად იქცეს, არამედ, დავინახოთ და განვავითაროთ სამართავი ობიექტის ყველაზე ეფექტიანი შესაძლებლობები (ნიჭიერება).

ფინანსური ბაზრის სრულფასოვანი განვითარების აუცილებლობა

ზურაბ ჟღენტი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში საინვესტიციო რესურსების მობილიზაციისა და ეფექტიანი განაწილების უზრუნველყოფა , საბანკო სფეროსა და საფონდო ინდუსტრიის განვითარებაზეა დამოკიდებული.

ძირითად როლს კაპიტალის მოზიდვის საქმეში და შინამეურნეობების დანაზოგების ფორმირებაში ასრულებენ ბანკები. თავისუფალი ფულადი რესურსების ინვესტირება საწარმოებში მხოლოდ საბანკო სექტორის გავლით აძვირებს საკრედიტო რესურსებს და ზღუდავს მრავალი ბიზნეს აგენტების მხრიდან მათზე ხელმისაწვდომობას.

ფინანსური ბაზრის ინსტიტუტებისა და საფონდო ინდუსტრიის სრულფასოვანი განვითარება, დააჩქარებს შიდა და გარე ფინანსური რესურსების მოზიდვას, ხელს შეუწყობს კონკურენციას კაპიტალის ბაზარზე, შეამცირებს საინვესტიციო კაპიტალის ღირებულებას და უზრუნველყოფს გრძელვადიანი კრედიტებზე ეკონომიკის რეალური სექტორის ხელმისაწვდომობას.

ქვეყანაში საბაზრო გარდაქმნების წარმატებით განხორციელების და ეკონომიკაში არსებული გამოწვევების დაძლევის საქმეში მთავარი ინსტრუმენტია ფინანსები, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას და რომელიც დაკავშირებულია ფულადი საშუალებების ფორმირება- განაწილებასა და გამოყენებასთან.

წარმატებულ და განვითარებულ ქვეყნებში ინვესტირების მიზნით ფულადი რესურსების ფორმირების ორი მექანიზმი არსებობს: საბანკო სფერო და ფასიანი ქაღალდების ბაზარი .

ეკონომიკური თვალსაზრისით ბანკების ძირითადი ფუნქცია დაკრედიტების ფონდის ფორმირება და ეკონომიკაში ინვესტიციების ზრდის უზნველყოფაა. ეკონომიკაში და სახელმწიფო მართველობაში გატარებული რეფორმების შედეგად მნიშვნელოვანი ცვლილებები გან ხორციელდა საფინანსო- საკრედიტო ინსტიტუტების კონცენტრაციისა და ინტეგრაციის მიმართულებით. 2000 წელს 1994 წელთან შედარებით კომერციული ბანკების რაოდენობა 10 ჯერ , 300 ერთეულიდან 30 - მდე შემცირდა. კომერციული ბაკების გამსხვილების ტენდეცია შენარჩუნდა მომდევნო წლებში.

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საბანკო სექტორში 16 კომერციული ბანკი ფუნქციონირებდა. ამასთან გაიზარდა მოსახლეობის საბანკო მომსახურების სერვისის მოცულობა, რაზეც ნათლად მიუთითებს კომერციული ბანკების ფილიალების და სერვის ცენტრების ზრდა. 2018 წლის დასაწყისისთვის ქვეყანაში ფუნქციონირებდა 134 საბანკო ფილიალი და 847 ერთეული-სერვის ცენტრი, 8 არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, 75 მიკროსაფინანსო დაწესებულება, ერთი საბანკო ბირჟა, 16 სადაზღვევო კომპანია და 3 საპენსიო სქემა.

საბანკო სექტორის განვითარებაში მიღწეულმა წარმატებებმა მნიშვნელოვნად გაზარდა კომერციულ ბანკების აქტივები და უცხოური ინვესტიციების ნაკადები. . გაძლიერდა ბანკების როლი ქვეყნის ეკონომიკაში და ამაღლდა ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლები. მოსახლეობაში გაჩნდა ნდობა ბანკების მიმართ, რაც გამოიხატა ანაბრებისა და დეპოზიტების მნიშვნელოვან ზრდაში. დეპოზიტების მოცულობამ 2010 -2018 წლებში თითქმის 4 ჯერ 5,5 მილირდიდან 21,9 მილიარდ ლარამდე გაიზარდა. შესაბამისად გაიზარდა შიდა დაკრედიტება 6.8 მილიარდი დან 25,8 მილიარდ ლარამდე.(იხ. ცხრილი).

მონეტარული სტატისტიკა

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018 I	2018 II	2018 III
ფულის მასა (M3). მლნ. ლარი	6199.0	7097.8	7903.7	9836.6	11189.8	13343.9	16045.2	18416.3	17756.9	18084.5	19504.2
შიდა კრედიტები. მ ლნ. ლარი	6837.1	8147.9	9008.8	11352.7	13987.6	16584.5	20305.9	23292.8	23181.0	24233.8	25847.5
დეპოზიტები, სულ. მლნ. ლარ	5488.7	6745.0	7649.9	9664.6	11617.1	14346.8	16991.0	19782.0	19621.4	20265.9	21889.2
გაცვლითი კურსები											
აშშ დოლარი/ლარი (პერიოდის საშუალო)	1.7826	1.6860	1.6513	1.6634	1.7659	2.2702	2.3667	2.5086	2.4854	2.4460	2.5295
ევრო/ლარი (პერიოდის საშუალო)	2.3644	2.3473	2.1232	2.2094	2.3462	2.5204	2.6172	2.6172	3.0538	2.9185	2.9397

წყარო : www.geostat.ge

საბანკო სექტორის განვითარებაში მიღწეული წარმატებების მიუხედავად იგი სათანადოდ ვერ პასუხობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თანამედროვე გამოწვევებს. ეკონომიკა ვითარდება ნელი ტემპებით, ვერ მოხერხდა მოსახლეობის შემოსავლების ზრდისა და დასაქმების მიმართულებით მეტნაკლებად მნიშვნელოვანი წარმატებიბის მიღწევა.

მიუხედავად ფინანსური სექტორის ინსტიტუტების განვითარებისა იგი უცხოეთის განითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით ძირითადად საბანკო სექტორზეა დაფუძნებული. საფონდო ბირჟის საქმიანობის მაშტაბები ვერ პასუხობს კაპიტალის ბაზრის განვითარების მოთხოვნებს, ხოლო ფასიანი ქაღალდების ბაზარი ვერ ასრულებს ფულადი რესურსის მოზიდვის მექანიზმის ფუნქციას. ძირითად როლს კაპიტალის მოზიდვის საქმეში და შინამეურნეობების დანაზოგების ფორმირებაში ასრულებენ ბანკები. თავისუფალი ფულადი რესურსების ინვესტირება საწარმოებში მხოლოდ საბანკო სექტორის გავლით აძვირებს საკრედიტო რესურსებს და ზღუდავს მრავალი ბიზნეს სუბიექტების მხრიდან მათზე ხელმისაწვდომობას., ამასთან ერთად უფუნქციოდ ტოვებს საფონდო ბირჟას, რაც უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის ზრდის ტემპებზე, დასაქმებასა და შემოსავლების ამაღლებაზე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი არასწორი სტიგმა, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური ზრდის ტემპი და ეკონომიკური განვითარების პრობლების გადაწყვეტა საბანკო სექტორზეა დამოკიდებული. მართალია, ბანკები, ერთი მხრივ,ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების მობილიზაციით და ეფექტიანი განაწილებით ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას უწყობენ ხელს, მაგრამ, მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს რომ ბანკი ფინანსური შუამავალია და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი მხოლოდ საბანკო სექტორზე არ არის დამოკიდებული. პირველ რიგში ქვეყნის მაკროეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებლები უნდა იყოს სტაბილური მეტნაკლებად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ასევე მნიშვნელოვანია ფინსური ბაზრის სხვა ინსტიტუტებისა და საფონდო ინდუსტრიის სრულფასოვანი განვითარება.

ფინსური ბაზრის ინსტიტუტებისა და საფონდო ინდუსტრიის სრულფასოვანი განვითარება, დააჩქარებს შიდა და გარე ფინანსური რესურსების მოზიდვას, ხელს შეუწყობს კონკურენციას კაპიტალის ბაზარზე, შეამცირებს საინვესტიციო კაპიტალის ღირებულებას და უზრუნველყოფს გრძელვადიან კრედიტებზე ეკონომიკის რეალერი სექტორის ხელმისაწვდომობას.

Необходимость полноценный развития финансового рынка

РЕЗЮМЕ

Зураб Жгенти
Доктор Экономики

Обеспечение формирования и эффективного распределения инвестиционных ресурсов в государствах с развитой рыночной экономикой, определяется уровнем развития банковского сектора и фондовой индустрии.

Основную роль в привлечении капитала и формированию сбережений домашных хозяйств, играют коммерческйе баки. инвестированые свободных денежных ресурсов в предприатии тол ко через банковского сектора ударажает кредитные ресурсы, сужает доступность многих бизнес субьектов.

Полноценное развитие институтов финансогого рынка и фондовой индустри ускорит привлечению внутренних и иностраних финанових ресурсов, развитию кокуренции рынка капитала, снижению стоимости инвестиционного капитала и обеспечению доступности реалного сектора экономики долгосрочными кредитами.

ფასეულობათა ორიენტაციები მენეჯმენტში

ვასილ ხიზანიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში,
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
ელ.ფოსტა: basil.khizanishvili@yahoo.com

ეკონომიკური თეორიის ფორმირების ფარგლებში ისმება კითხვა იმის შესახებ, თუ რომელ ფასეულობათა ორიენტაციებს უნდა მიჰყვეს მენეჯერი საკუთარ ეკონომიკურ ქმედებებში. მენეჯერთა ფასეულობათა ორიენტაციის ამ თემას ეხება დასავლეთში კარგად ცნობილი ოთხი მნიშვნელოვანი საკითხი. პირველი, ეს არის ეთიკურად სადავო ქცევების შეფასება; მეორე, ეს არის პერსონალურ ფასეულობათა შეფასება; მესამე, ეს არის მორალურ ავტორიტეტთა შეფასება; მეოთხე, ეს არის მორალურ კონფლიქტებთან კავშირი.

თანამედროვე კომპანიის ფარგლებში მენეჯერი, როგორც აგენტი არსებითად განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიულ მიმართულებას. როგორც კონტრაქტანტები, ისინი (ე.ი მენეჯერები) პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მესაკუთრეთა წინაშე. რადგან აქციონერები დაინტერესებულნი არიან პირველ რიგში საკუთარი კაპიტალის ზრდით, ამიტომ მენეჯერის ქცევა უპირატესად ორიენტირდება აქციონერთა ფასეულობებზე.

ეკონომიკური თეორიის ფორმირების ფარგლებში ისმება კითხვა იმის შესახებ, თუ რომელ ფასეულობათა ორიენტაციებს უნდა მიჰყვეს თავად მენეჯერი საკუთარ ეკონომიკურ ქმედებებში და რა თვითშეფასებით უნდა იხელმძღვანელოს მან თავის გადაწყვეტილებებში. ქვემოთ გთავაზობთ დასავლეთში წარმოებული კვლევების ოთხ მნიშვნელოვან საკითხს, რომლებიც ეხება მენეჯერთა ფასეულობათა ორიენტაციების თემას:

(1) ეთიკურად სადავო ქცევების შეფასება

კითხვაზე, თუ რამდენად აცნობიერებენ მენეჯერები საკუთარი ქმედებების მორალურ დიმენსიებს, კვლევის შედეგები აჩვენებს სრულიად ამბივალენტურ სურათს. კერძოდ, დასმულ შეკითხვაზე, თუ როგორ შეაფასებდნენ ისინი გარკვეულ, კონკრეტულად დადგენილ ქმედებებს მორალური პერსპექტივიდან, მრავალ გამოკითხულ მენჯერთაგან გაცემული პასუხებიდან ნათელი ხდება, რომ განსაზღვრული, საზოგადოდ ეთიკურად მგრძნობიარე სფეროები, მათი მხრივ უფრო ფასდება როგორც მორალურად ნეიტრალური, როგორც მათი მორალური აღქმის მიღმა მყოფი. ასე მაგალითად, კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთაგან ყოველი მესამე გადასახადის შემცირებას, აბორტსა თუ აქტიურ ევთანაზიას არ მიიჩნევს მორალურად საეჭვოდ. და პირიქით, აღსანიშნავია გარკვეული პრაქტიკების როგორც <<არამორალურის>> აღიარება, რაწამს მენეჯერთა აღნიშნული პრაქტიკები მიიჩნევა მნიშვნელოვნად კომპანიის ფუნქციონირებისთვის. გამოკითხულთა სრული ოთხმოცი პროცენტი მასალების თუ სხვა სახის ქურდობას, ასევე ინვესტიციების გამოუყენებლობას ჯანმრთელობის რისკების დასაძლევად სამუშაო ადგილებზე, აფასებს როგორც არამორალურს.

(2) პერსონალურ ფასეულობათა ორიენტაცია

გამოკითხული მენეჯერები საყოველთაო-სავალდებულოდ მიჩნეულ ქცევებთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ დემოკრატიას, ადამიანის უფლებებსა და გარემოს დაცვას. მაშასადამე, გამოკითხულთაგან ყველა აცნობიერებს ამ ფასეულობებთან მიმართებით განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას. მენეჯერთა მხრიდან პერსონალური შეფასებისას უმაღლეს ადგილზე დგას ოჯახი, სტაბილურობა და იდეის რეალიზება[1]. რასაკვირველია, ამ საყოველთაო ვალდებულებების მნიშვნელობა მხოლოდ იქამდე რჩება არაპრობლემატური, ვიდრე მასში მოტანილი ფასეულობები არ ეწინააღმდეგება პროფესიულ მოთხოვნებს. ამგვარი კოლიზიის შესახებ დასმულ კითხვაზე გამოკითხულთა 52 პროცენტი ვერ ხედავს პრობლემას პროფესიულ და მორალურ მოთხოვნებთან დაკავშირებით. მხოლოდ 42 პროცენტი მენეჯერებისა აღიარებს, რომ ისინი

ზოგჯერ კონფლიქტში იმყოფებიან საკუთარ სინდისთან. ეს რეაქცია არ არის გასაკვირი, რადგან ამ მოცემულობაში კომპანიისთვის არსებითი ფასეულობები, როგორიც არის ეკონომიკური კეთილდღეობა და ეფექტიანობა აშკარად უფრო მაღლა კლასიფიცირდება, ვიდრე კერძო ფასეულობათა სისტემა. შესაბამისად, გამოკითხულთა თითქმის 80 პროცენტს მიაჩნია, რომ ეკონომიკური ცხოვრება არავითარ ანგარიშს უწევს ინდივიდუალურ ფასეულობათა სისტემას [1, გვ. 227]. ასევე ადრეული 1970 წლების კვლევის შედარებისას ნათლად ჩანს ის, თუ გამოკითხულთა თითქმის 2/3-ის აზრით, ზოგჯერ მათი საკუთარ სინდისთან კონფლიქტში ყოფნა როგორ ტრანსფორმირდება ბიზნესმორალის მხარდამჭერ პოზიციაში, ვიდრე უკონფლიქტო ინდივიდუალურ ფასეულობათა სისტემის პროფესიულ ცხოვრებაში რეალიზების მიმართულებით [1, გვ. 198]. მთლიანობაში სახეზეა პროფესიულ ფაქტობრივ ზემოქმედებასთან ცალკეულის მზარდი შეგუების გამოვლინება. ინდივიდუალური სინდისი ემორჩილება პროფესიულ მოთხოვნებს. მენეჯერის მოსაზრება ობიექტური სისწორის შესახებ კი არ დგას მეტად წინა პლანზე, არამედ მენეჯერის ინდივიდუალური ქმედებისა თუ გადაწყვეტილების მნიშვნელობის საკითხი კომპანიასთან, აქციონერებთან და მოცემულ შემთხვევაში მუშაკთა, გარემოსა თუ სხვა გარე დაინტერესებულ პირთან მიმართებით.

(3) მორალურ ავტორიტეტთა შეფასება

აქედან ისმება კითხვა, თუ სინამდვილეში ვის წინაშე უნდა გრძნობდეს მენეჯერი პასუხისმგებლობას და რომელი მორალური ავტორიტეტებით უნდა ხელმძღვანელობდეს ის თავის ქმედებებში. აქ საკვირველი არის ის, რომ მხოლოდ გამოკითხულთა უმცირესობამ დაიმოწმა ღმერთი ან რელიგიური კონტექსტი საკუთარ ზნეობრივ ვალდებულებებში. როგორც ჩანს, სეკულარიზებულ საზოგადოებაში ქრისტეანობის თუ ღმერთის იდეა ეთიკური თვალსაზრისით თამაშობს უმნიშვნელო როლს [1, გვ.167-175]. აქედან გამომდინარე გამოჩნდა, რომ გამოკითხულ მენეჯერთა დიდი ნაწილი თავის გადაწყვეტილებებში სწორი თუ არასწორი ქმედებისთვის ვალდებულებას იღებს უმთავრესად მოქმედი სამართლებრივი წესრიგის წინაშე, პირველ რიგში კი ხაზგასმით ხდება კანონთა იძულებითი ხასიათისა და შესაძლო სანქციებით გამოწვეული შიშის აღნიშვნა, რაც თავის მხრივ უკავშირდება სახელმწიფოსა თუ კრიტიკულად განწყობილ საზოგადოებრიობას. ე.ი. სამართლებრივი ჩარჩო-წესრიგი უზრუნველყოფს ამ სახით გარანტირებულ ნორმათა დაცვას ყველასგან და <<არამორალური>> ქცევით უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობის დაუშვებლობას [1, გვ. 68]. ასევე, გამოკითხულთა საკმაოდ დიდი ნაწილი მორალთან დაკავშირებით პასუხისმგებლობას გრძნობდა საკუთარი სინდისის წინაშე. ამასთან ერთად, პირველ რიგში წინა პლანზე იდგა ქმედებათა შედეგების გამართლების შესაძლებლობა. თუმცა, სინდისი ასევე გამოდგებოდა როგორც უკანასკნელი ინსტანცია იმისთვის, რომ სამართლებრივ წესრიგს ჩაებარებინა <<კრიტიკული გამოცდა>> და ამით მომხდარიყო კანონთა არდაცვით მიღებული პოზიტიურ ქმედებათა შედეგების (მაგ., მმართველობით საკითხებთან დაკავშირებით) ,,ლეგიტიმაცია“ [1, გვ. 184-187].

(4) მორალურ კონფლიქტებთან კავშირი

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მენეჯერის პროფესიისა და პერსონალური მორალის თავსებადობა არაპრობლემატურად იქნა დანახული, არსებობს საკითხი, თუ როგორ ახდენს მენეჯერი ურთიერთობას პროფესიულ მოთხოვნებსა და თავის პერსონალურ ფასეულობათა სისტემას შორის არსებულ კონფლიქტთან მიმართებით. ამასთან დაკავშირებით გამოარჩევენ ხუთ სტრატეგიას [1, გვ. 228-238]:

(ა) უკანდახევა: უკანდახევის პოზიცია ხასიათდება თანდათანობითი ,,მიგრაციით“ ცხოვრების ორივე სფეროდან, რომლებიც ერთმანეთთან იმყოფებიან კონფლიქტში. ასე მაგალითად, მენეჯერის მხრიდან ხდება კომპანიის გამოცვლა, რათა ის განერიდოს კომპანიაში არსებულ მძიმე სამუშაო კლიმატს, ან ის ტოვებს ეკლესიას, რადგან მას ეკლესიის მოარალური მორთხოვნებისა და პროფესიის დაზავება არ შეუძლია.

(ბ)ახსნა-განმარტება: ახსნა-განმარტებისი სტრატეგიის ფარგლებში, ეთოსსა და პროფესიას შორის კონფლიქტის გადაჭრის მიღწევას მენეჯერები ცდილობენ ეთიკური შინაარსის ახალი ინტერპრეტაციით. ან რელიგია განიხილება როგორც ,,დეეთიზირებული“ და მარტოოდენ მომავალი საიქიო სამყაროს თვალსაზრისით, ან ის მენეჯერის საკუთარი პროფესიული ქმედებების გასამართლებლად ინტერპრეტირდება, სადაც ის მაგალითად აგრესიული ბიზნეს-პრაქტიკის გამართლებას ცდილობს ბიბლიური პრინციპით - ,,თვალი თვალის წილ“.

(გ) განცალკევება: განცალკევების სტრატეგია ეფუძნება ერთი მხრივ პერსონალური მორალური ფასეულობების სისტემისა და რელიგიის, ხოლო მეორე მხრივ, პროფესიული მოთხოვნებისა და

ეკონომიკური საჭიროებების ზუსტ გარჩევას, რაც საბოლოოდ დაიყვანება ფასეულობათა სისტემებსა და მოქმედების წესებზე, რადგან სოციალური როლისა და ქმედებათა კონტექსტის მიხედვით სწორედ განსხვავებული ფასეულობათა სისტემები ხდება მნიშვნელოვანი. შესაბამისად, ცხოვრების განსხვავებულ სფეროებში სხვადასხვა მორალური პრინციპები მიიჩნევა რელევანტურად.

(დ) თმენა: ცალკეულის პასიურ აქტივობათა გამო, თმენა რეალურად არ შეიცავს რაიმე სახის სტრატეგიას. მიუხედავად ამისა, ის უშვებს გარკვეული სახის შესაძლო რეაქციებს პრივატულ და პროფესიულ ფასეულობათა სისტემებს შორის კონფლიქტში. ამ ქონფლიქტით მენეჯერი უიმედო და გამოუვალ სიტუაციებთან ჩნდება პირისპირ, რომელთა დასასრულის განჭვრეტა მას არ შეუძლია. აქედან შედეგია რაციონალიზაციის სტრატეგიები, რომლებიც პროფესიულად მოთხოვნად ქცევებს მიიჩნევს როგორც გარდაუვალს და შესაბამისად, - როგორც მორალურად მისატევებელს იძულებით სიტუაციებში.

(ე) ბრძოლა: პრინციპში, თმენის მსგავსად, ამ ძირითადი ტიპისთვისაც განმსაზღვრელია ანალოგიური საწყისი მდგომარეობა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ აქ არსებობს ,,ეთიკურად დასაშვებობის“ მიჯნა, რომლიდანაც ცალკეული იწყებს იმით, რომ გადაწყვიტოს კერძო და საჯარო მორალს შორის კონფლიქტი. ამ ბრძოლის გაცხადების მიზანი არის კონფლიქტის დაძლევა, რაც არა საკუთარ ფასეულობათა სისტემაზე უარის თქმით, არამედ ამ სისტემის ფარგლებში საკუთარი პროფესიული გარემოს შეცვლის მცდელობით მიიღწევა.

პროფ. ულრიხი და პროფ. ტილემანი[2], პროფესიულ და მორალურ მოთხოვნათა დამოკიდებულების აღქმაში განასხვავებენ ორ ძირითად, სისტემისა და კულტურის ორიენტირს, რომლებიც გამომდინარეობს მათ მიერ გამოკითხულ მენეჯერთა პოზიციიდან. პირველი საკითხი მდგომარეობს შემდეგში: ინტერპრეტირებენ თუ არა მენეჯერები ,,ეკონომიკას“ როგორც ცალკე ,,სისტემას“ საკუთარი კანონებითა და თამაშის წესებით, თუ მას ისინი ყოველდღიური ცხოვრების შემადგენლად და ამ ცხოვრების მორალის წესთა სივრცეში განიხილავენ. მეორე საკითხი კი ეხება მენეჯერთა ხედვას პროფესიულ-ეკონომიკური მოთხოვნებისა და პრივატულ ფასეულობათა სისტემის დამოკიდებულების მხრივ უფრო ჰარმონიულ თუ უფრო კონფლიქტურ ფორმებთან მიმართებით.

აქედან, პროფესორების, ულრიხისა და ტილემანის კვლევების მიხედვით გამოიყოფა სისტემასა და კულტურაზე ორიენტირებული მენეჯერთა მორალური აზროვნების შემდეგი ძირითადი ტიპები:

ნახ. 1: მენეჯერთა მორალური აზროვნების ძირითადი ტიპები



ყველა გამოკითხულ მენეჯერთა თითქმის ოთხმოცდაათი პროცენტი წარმოჩინდა როგორც ჰარმონისტები, რომლებიც ეკონომიკასა და ეთიკას ურთიერთთავსებად სფეროებად მიიჩნევენ და მასში ვერ ხედავენ ვერანაირ მიზნობრივ კონფლიქტს. ჰარმონისტების შედარებით მცირე ნაწილი წარმოადგენენ ე.წ. ეკონომისტებს. ისინი ძლიერ კარგად აცნობიერებენ ეკონომიკური ასპექტის პრაქტიკულ ზემოქმედებას, რაც ეთიკურ კონტექსტში განხილვის მიუხედვად, მათთვის ის არაპრობლემატურად მიიჩნევა. ისინი მეტად ენდობიან ბაზრის სისტემის ლოგიკას, ვიდრე საკუთარ გონებას, საიდანაც, ეკონომისტებისთვის ,,ბაზრის მეტაფიზიკისადმი" ნდობაში მიზნობრივი კონფლიქტები იმის ნიშანია, რომ ბაზრის დომინაცია მცირეა და არა ძალზედ დიდი. ბაზარი რჩება ერთადერთ ინსტანციად, რომელსაც ჯერ კიდევ ძალუძს მორალურ და არამორალურ ქცევათა გამიჯვნა. უხილავი ხელი უზრუნველყოფს, რომ ,,ეკონომიკურად სასურველი" იმავე დროს ხდება ,,ეთიკურად სავალდებულოც". აქედან გამომდინარე, ცალკეული ეკონომიკური სუბიექტი მოქმედებს როგორც ეთიკურ-ნორმატიული მოთხოვნებისგან თავისუფალი, და მხოლოდ - ,,ბაზრის ნებას" დამორჩილებული. ჰარმონისტების დიდი ჯგუფი, ე.წ. კონვენციონალისტები, საკუთარ ჰარმონიულ გაგებას არ აფუძნებენ ,,ბაზრის მეტაფიზიკაზე". ისინი ამოდიან ტრადიციული მორალური ნორმებიდან. რასაკვირველია, ისინი ვერ ამჩნევენ კონფლიქტს მათთვის ვარგის ნორმებსა და ბაზრის სისტემის ლოგიკას შორის. კონკრეტულ სიტუაციებში, სადაც ბაზრის ლოგიკისა და საკუთარი მორალური წარმოდგენების მსხვრევა ხდება, ისინი ამას აღიქვავენ არა როგორც სტრუქტურულ ანტაგონიზმს, არამედ როგორც ინდივიდუალურ კონფლიქტს ვალდებულებასა და მიდრეკილებას შორის.

გამოკითხულთა მხოლოდ თორმეტი პროცენტი აცნობიერებს კონფლიქტს, როგორც ძირითად ორიენტირს. ბაზარი და მორალი მათგან სისტემატური ანტაგონიზმის სახით გაიაზრება. მათგან იდეალისტები, რომლებიც მხოლოდ ორ პროცენტს წარმოადგენენ, თავის ძირითად ქცევებში უფრო მეტად კულტურაზე არიან ორიენტირებულნი, ე.ი. ეკონომიკაში ისინი სისტემის ლოგიკის ნაცვლად, საკუთარი ბუნებრივი საცხოვრებელი გარემოს ნაწილს ხედავენ. აქედან, მათთვის ნეგატიურ ეკოლოგიურ და სოციალურ განვითარებაზე პასუხისმგებელი არის არა პრაქტიკული ეკონომიკური ზემოქმედება და იმპერატიული ბიზნეს-წარმატების უზრუნველყოფა, არამედ ცალკეულის ეგოიზმი და საზოგადოების ფასეულობათა რეგრესი, რომლებიც კვლავაც ქცევის მატერიალისტური მიმართულების მძლავ ფაქტორებს წარმოადგენს. იდეალისტების საპირისპიროდ, რეფორმატორები არიან ,,წესრიგის პოლიტიკოსები". მათი მოსაზრების ამოასვალ პუნქტს წარმოადგენს ის, რომ კომპანიის წარმატება და ეთიკა ერთმანეთთან არც იძულებით კონფლიქტში და არც ჰარმონიულ დამოკიდებულებაში უნდა იმყოფებოდეს. მათთვის ეთიკას სრულად შეუძლია იყოს კომპანიის წარმატებული ფუნქციონირების ბაზისი. ამასთან, რეფორმატორები სრულად აცნობიერებენ პრაქტიკულ ეკონომიკურ ზემოქმედებებს და აქცეპტირებენ მათ, რადგან კარგად უწყიან, რომ შეუძლებელია ყველა გარემოებაში ბაზრის წინააღმდეგ მოქცევა. ამიტომ, რეფორმატორები ესწრაფვიან ეკონომიკის ჩარჩო-პირობების გაუმჯობესებას[2, გვ. 61-67].

თანამედროვე კომპანიის ფარგლებში მენეჯერები განსაკუთრებულ როლს თამაშობენ. ხელმძღვანელობითი ფუნქციის საფუძველზე, ისინი არსებითად განსაზღვრავენ კოპანიის სტრატეგიულ მიმართულებას და დანარჩენი თანამშრომლების მიმართ მათ ბრძანება/მითითების გაცემის უფლებამოსილება გააჩნიათ. როგორც კონტრაქტანტები, ისინი პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მესაკუთრეთა წინაშე და თავად იმყოფებიან მათ განკარგულებაში.

საზოგადოდ გამოირჩევა ,,მორალური" მენეჯმენტის სამი ძირითადი ტიპი. სადაც ,,არამორალური მენეჯმენტი" აღნიშნავს ცალკეული მენეჯერის გაცნობიერებულ არამორალური ქცევის ფორმას, რომელიც თავისი პერსონალური წარმატებისა თუ კომპანიის ,,ინტერესების" გულისთვის მზად არის მორალურ და სამართლებრივ წესთა დასარღვევად. ,,მორალური მენეჯმენტი" კი პირიქით, აღნიშნავს მენეჯმენტურ ქცევას, რაც ორიენტირდება არსებული სამართალის საყოველთაო ეთიკურ სტანდარტებზე და სხვათა ინტერესთა მიმართ პატივისცემითა და ყურადღებით ხასიათდება. ,,არამორალური მენეჯმენტისაგან" განსხვავებით ,,ამორალური მენეჯმენტი" აღნიშნავს ეთიკურ ქმედებათა დიმენსიების შეგნებულ თუ გაუცნობიერებელ გაქრობას მენეჯმენტის გადაწყვეტილებებიდან. აქვე, მენეჯმენტი მიიჩნევა როგორც ,,ეთიკურად ნეიტრალური", რადგან ბევრი მენეჯერი ამოდის იქიდან, რომ ეკონომიკის ფარგლებში მოქმედებს გარკვეული კანონზომიერებანი, და მენეჯმენტის ქცევების შეფასება შეუძლებელია ,,ყოველდღიური

მორალის“ მასშტაბების მიხედვით. ამასთან ერთად, ეთიკური საკითხები კომპანიის ყველა სტრატეგიის დონეზე თამაშობს როლს. საზოგადოებრივ დონეზე ეს ეხება კომპანიის ფასეულობების და ქცევის ფორმათა დადგენას თავის სტეიკჰოლდერებთან და საზოგადოებრიობასთან მიმართებით. კომპანიის დონეზე ეს ეხება ლოკაციურ, პოზიციურ გადაწყვეტილებებს, სტრატეგიული ბიზნეს-დარგებისა თუ კომპანიის მიღებული გადაწყვეტილებების ეთიკურ საკითხთა დადგენას. ბიზნესის დონეზე კომპანიის მორალი ასახვას პოულობს განსაკუთრებით კლიენტურასთან და მიმწოდებლებთან, გარემოს დაცვისა თუ წარმოების ადგილისა და წარმოებული პროდუქტის უსაფრთხოებასთან დამოკიდებულებაში. ეთიკური საკითხები ანალოგიურად დგას ფუნქციურ დონეზეც. მაგ., კომპანიის მარკეტინგისა თუ პერსონალის (საშტატო-საკადრო) პოლიტიკის სფეროში.

ფართოდ გავრცელებული აზრის თანახმად, როგორც კონტრაქტანტი, მენეჯერი უწინარესად კომპანიის მესაკუთრეთა წინაშეა ვალდებული. რადგან აქციონერები დაინტერესებულნი არიან პირველ რიგში საკუთარი კაპიტალის ზრდით, ამიტომ მენეჯმენტის ქცევა ყველაზე უწინ ორიენტირდება ე.წ. Shareholder-Value ანუ აქციონერთა (შეაჰოლდერეთა) ფასეულობებზე. ამასთან, ე. წ. Principal-Agent-Theory-ის პერსპექტივიდან მრწმუნებელი და რწმუნებული საჭიროებისამებრ ზოგჯერ ურთიერთსაპირისპირო ინტერესებს მიჰყვებიან. მრწმუნებელის მიზანს წარმოადგენს რწმუნებულის არასასურველ ქცევათა შეზღუდვა, რწმუნებულის ქცევების მიმართვა საკუთარი მოგების ინტერესთა რეალიზებაში წარმატებული მონაწილეობისაკენ, მრწმუნებელის იდენტიფიკაცია კომპანიასთან თავისი საკუთარი მოგების ინტერესთა დაკმაყოფილების უზრუნველყოფით და პირადი ავტორიტეტისა და კონტროლის უფლების აღიარების მიღწევა რწმუნებლის წინაშე, საკუთარი საინვესტიციო რისკების შესამცირებლად. ამის საპირისპიროდ ე.წ. Stewardship-Theory-ის პერსპექტივიდან მენეჯერი, როგორც ნდობით აღჭურვილი პირი, თვითმოტივირებული იღწვის თავისი მრწმუნებელისა და მთელი ორგანიზაციის სასიკეთოდ და ითვალისწინებს ყველა სტეიკჰოლდერის სამართლიან ინტერესებს საკუთარ გადაწყვეტილებებში. სტიუარდისა და მისი მრწმუნებლის დამოკიდებულება ხასიათდება პერსონალური რესპექტითა და ერთობლივი მიზნით, სადაც პირველი მუდამ მოქმედებს კომპანიისა და საკუთარი თანამშრომლების ინტერესების გათვალისწინებით. ორივე გააზრება ასახავს ექსტრემალურ პოზიციას. იმ დროს როდესაც Principal-Agent-Theory-ას ანგარებაზე ორიენტირებული homo oeconomicus-ის ადამიანური ხატება უძევს საფუძვლად, Stewardship-Theory ამოდის მენეჯერის საყოველთაო პროსოციალურ ქცევათა ცალსახა დაშვებულობიდან და უარყოფს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტებს და კონტროლთან დაკავშირებულ პრობლემებს.

მენეჯერების ფასეულობებთან დაკავშირებული პატივისცემის ემპირიული მონაცემები უჩვენებს დიფერენცირებულ სურათს. მენეჯერები სრულად აცნობიერებენ საკუთარ მორალურ დიმენსიებს სპეციფიკურ სამოქმედო სფეროებში. თუმცა ისინი ასევე ავლენენ მზაობას, გადააბიჯონ მორალურ საზღვრებს, რადგან ყოველდღიურ ბიზნეს-ცხოვრებაში მათი პერსპექტივიდან ის შესაძლოა არ იყოს თავიდან აცილებული. როგორც წესი, მენეჯერები კანონზე და მათ „პერსონალურ“ სინდისზე ორიენტირდებიან, მაგრამ მათთან საკუთარი სინდისის მორიგების შემთხვევაში ასევე მზად არიან ილეგალური პრაქტიკებისთვისაც. მხოლოდ მენეჯერთაგან მცირე თუ ხედავს პირად ფასეულობებს თავისი მენეჯერული მოღვაწეობის პროფესიულ მოთხოვნებთან კონფლიქტში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. F-X. Kaufmann, W. Kerber, P. M. Zulehner., Ethos und Religion bei Führungskräften: Eine Studie im Auftrag des Arbeitskreises für Führungskräfte in der Wirtschaft., Kindt Verlag: München, 1986, გვ. 193

2. P. Ulrich, U. Thielemann., Ethik und Erfolg: Unternehmensethische Denkmuster von Führungskräften eine empirische Studie. Haupt Verlag: Bern, 1992; P. Ulrich, U. Thielemann., Wie denken Manager über Markt und Moral ? Empirische Untersuchungen unternehmerischer Denkmuster im Vergleich., Wieland, Josef (Hrsg.): Wirtschaftsethik und Theorie der Gesellschaft., Suhrkamp Taschenbuch Verlag: Frankfurt am Main, 1993

The values orientations in management

Vasil Khizanishvili
Doctor of Social Sciences in Economics

In The context of the formation of economics theory the question is whether to which values orientations have to follows a manager in own economic actions. To this subject of managers value orientations concerns four well-known significant issues in west. First, it is an estimation to the ethical moot behaviours; Second, it is an estimation to the personal values; Third, it is an estimation to the moral authorities; Fourth, it is a relation with moral conflicts.

Within the modern company manager as an agent defines essentially a strategic direction of the company. As the contractants they (e.g. managers) have direct responsibilities towards the company owners. Because the shareholders are interested first of all in own capital to increase, therefore manager behaviour primarily orients to the shareholders values.

საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ზოგიერთი საკითხის შესახებ

კობა სოხაძე
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

სტატიების ციკლში განხილულია აშშ სახელმწიფოს მიერ საბაზრო ურთიერთობების რეგულირების საკითხები, რომელთა გაცნობა და ანალიზი ხელს შეუწყობს საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების პროცესების სრულყოფას. სტატიაში გამოყენებულია ქართულ, რუსულ და გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული საინფორმაციო და სტატისტიკური მასალა.

საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი უმთავრესი ამოსავალი პრინციპი და მისი ეფექტიანობაა. საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანობის მიღწევის ამოცანათა შორის ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შეფასება და მისი ეფექტური საქმიანობისათვის რალური მექანიზმების შექმნა. ამასთან სახელმწიფოს გავლენა არსებითია არა მარტო მისი ეკონომიკური ფუნქციებიდან გამომდინარე, არამედ როგორც თავისებური გარანტი საზოგადოების ყველა წევრის მიერ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისა და ეთიკური ნორმების დაცვის მიზნით. აქედან შეიძლება არმოცენდეს რამდენიმე კრიტერიუმი რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებლებს. თუმცა რიგითი გადასახადის გადამხდელის პოზიციებიდან მთავარია საკითხი, რა უჯდება მას სახელმწიფოს მომსახურეობა. რაც შეეხება ბიზნესს აქ ერთი კრიტერიუმიდან საკითხის დასმა და გადაჭრა საკმარისი არაა, მისთვის მთავარია როგორ პირობებს ქმნის სახელმწიფო სამეწარმეო საქმიანობისათვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე. თავის მხრივ საზოგადოება მთლიანად დაინტერესებულია, რომ კრიზისები და დეპრესიები თავიდან იქნას აცილებული. არის კრიტერიუმები სახელმწიფოს მხრიდან: როგორ იხარჯება სახელმწიფო სახსრები; როგორ ეწევა სახელმწიფო სამეწარმეო საქმიანობას, როგორია მისი შედეგები; მსოფლიო არენაზე ქვეყნის პოზიციები მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში, რაც ასევე შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებად.

სახელმწიფოს სამეწარმეო საქმიანობის ეს მწირი ჩამონათვალიც კი იმაზე მოწმობს, რომ საქმე გვაქვს ურთულეს მოვლენებთან, რის გამოც სახელმწიფოს სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიანობა ყოველთვის განისაზღვრება დროის კონკრეტული პერიოდისათვის და სრულიადაც არა აქვს უნივერსალური ხასიათი.

სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე პირველ რიგში აისახება მის მიერ პრიორიტეტების დასახვაში, რომელთა შორის უმთავრესია ეროვნული ინტერესების და საკუთარი ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა. აღნიშნულის გარანტია მიზანდასახული სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის მთავარი ამოცანაა ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაცია, რომლის მთავარი კრიტერიუმია ეკონომიკის ეფექტურად გაძღოლა და საბაზრო ეკონომიკის უკრიზისოთ ფუნქციონირებისათვის ხელის შეწყობა.

როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკის განვითარების დინამიკა ცვალებად ხასიათს ატარებს, ზოგიერთი დარგების სუსტება და კვდება, ხოლო დარგების ნაწილი ძლიერდება და ეკონომიკაში დომინანტის როლს თამაშობს. გარდატეხის მომენტები დგება ციკლური ეკონომიკური კრიზისების პერიოდში.

ეკონომიკური ციკლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური სიძლიერის მიღწევა შესაძლებელია საკუთრების მრავალფეროვანი ფორმების განვითარებისათვის ხელის შეწყობით. შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ეკონომიკური ეფექტიანობის საფუძველია საკუთრებისა და ბიზნესის მრავალფეროვანი ფორმების

განვითარება. თუ კი ქვეყანაში საკუთრების ამა თუ იმ ფორმის განვითარება განსაზღვრულია ეკონომიკური მიზეზებით, და დამოკიდებული არ არის ადმინისტრაციულ შეზღუდვებზე, მაშინ ხდება ლეგალური ბიზნესის განვითარება და არალეგალური ბიზნესისათვის საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ბარიერების ეფექტურის სისტემის შექმნა. შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესს აქვს სახემწიფოს მხრიდან მისი დაცვის გარანტიები, რისთვისაც ის იხდის გადასახადებს. ცნობილია, რომ მეწარმეობის ნებისმიერი საქმიანობა განისაზღრება საკუთრების სხვადასხვა ფორმით. არსებული მასალის ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, ეროვნულ მეურნეობაში ფუნქციონირებს შემდეგი საწარმოო წარმონაქმნები:

- ინდივიდუალური საკუთრების მქონე;
- ორი ან უფრო მეტი მეტი პარტნიორის მონაწილეობით;
- სააქციო საწარმოები ან კომპანიები.

ამ უკანასკნელმა განვითარებულ ქვეყნებში მიიღო კორპორაციების დასახელება. მაგალითად დღეისათვის აშშ-ი არ არსებობს სახელმწიფო საწარმოები, წომლის მთავარი მიზანია სამეწარმეო საქმიანობა, თუმცა ფედერალურ და შტატების ხელისუფლებასეკუთვნისმნიშვნელოვასაკუთრება, რომლებიც თავისი სოლიდური მოცულებების მიუხედავად, ეკომომიკაში განმსაზღვრელ როლს არ თამაშობენ.

საქმე იმაშია, რომ მხოლოდ 500 უმსხვილესი სამრეწველო საწარმო იძლევა აშშ-ის ერთობლივი პროდუქტის დაახლოებით 40%, რაც იმაზე მიგვანიშნეს, რომ ბაზარზე მოქმედებენ ათეული ათასობით სააქციო კომპანიები, რომლებიც ვერ ქმნიან ამინდს და წარმოედგენენ უმსხვილესი სამრეწველო კომპანიების ეკონომიკური პოლიტიკის დანამატს.

რეალობა კი მიუთითებს, რომ ამერიკულ ეკონომიკას სჭირდება

როგორც მსხვილი, ისე საშუალო და წვრილი ბიზნესი, რაც ბაზრის ნორმალური ფუნქციონირების საფუძველია დაუზრუნველყოფს მის სტაბილურ განვითარებას.

თუ კი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ქმნის ბაზარზე სხვადასხვა საკუთრების მქონე ბიზნესის ეკონომიკური საქმიანობისათვის თანაბარ პირობებს, მაშინ სახელმწიფო ასრულებს ეროვნული ეკონომიკის ეფექტური განვითარების გარანტის ფუნქციას.

შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ კონკურენცია არის ბაზრის გენერატორი, თუ კი არსებობს კონკურენცია, მაშინ არის განვითარება, წინსვლის გარანტია და პერსპექტივები. სწორედ კონკურენცია კარნახობს ბაზარს მოქმედების მკაცრ კანონებს, რაც თავისთავში მოიცავს გადარჩებისა, წარმატების და მუდვივი ცვალებადობის პერსპექტივებს.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ კონკურენციული მექანიზმი ყველა სფეროში შეზღუდვის გარეშე უნდა მოქმედებდეს. აქ აღსანიშნავია საბაზრო გარემოს ტერიტორიული ფაქტორები. უნდა ითქვას, რომ ბაზრის ტერიტორიული ფაქტორები განისაზღვრება არა მარტო გეოგრაფიული პარამეტრებით, არამედ პირდაპირაა დაკავშირებული ეროვნულ, კულტურულ, კლიმატურ, ისტორიულ და სხვა პირობებთან და პირდაპირ განსაზღვრავს ბიზნესის საქმიანობის მიმართულებებს.

სახელმწიფო სისხორცეულადაა დაინტერესებული, რომ ბიზნესს გააჩნდეს არა მარტო სრული თავისუფლება, არამედ აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ საქმიანობასა და ბიზნეს გარემოზე.

რეალურ ცხოვრებაში სახელმწიფოს როლი სულ უფრო რთულდება. იქმნება სიტუაცია, რომ ერთის მხრივ სახელმწიფო - მთლიანად საბაზრო სისტემის თავისებური გარანტია. ხოლო მეორე მხრივ მას არ შეუძლია უზრუნველყოს ბიზნესის უკრიზისო განვითარება. ამასთან კიდევ ერთხელ უნდა გავამახვილოთ ყურადღება სახელმწიფოს საბაზრო ეკონომიკაში ჩარევის აუცილებლობაზე. თუ კი სახელმწიფო შეეცდება გარკვეული დოზით შეცვალოს ბაზარი და კონკურენცია, აქაც რეალურად ადგილი აქვს სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევას. მაგრამ თუ კი სახელმწიფო გამოდის მხოლოდ თამაშის წესის გარანტად, მაშინ მან მხარი უნდადაუჭიროს საზოგადოების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ისეთ სფეროებს სადაც სახელმწიფო გამოვა საბაზრო ეკონომიკის წარმატებულად ფუნქციონირების გარანტად, მაშინ სახელმწიფო ორგანულად ერთვება საზოგადოების საბაზრო ურთიერთობების სისტემაში.

სახელმწიფოს მხრიდან ბაზარზე ზემოქმედების რაოდენობრივი პარამეტრები.

თუკივისაუბრებთსახელმწიფოსეკონომიკურდა სოციალურ როლზე, მაშინ მისი განსაზღვრისათვის გამოიყენება სხვადსხვა მაჩვენებლები, რომელთა შორის შედარებით არსებითია ორი - სახელმწიფო საკუთრების როლი და სახემწიფო გასავლების წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში.

რაც შეეხება გადასახადის გადამხდელების პოზიციებს,ისინიპირველრიგშიდაინტერესებულნი არიან იმით, რომ გადასახადების მოცულობა იყოს მცირე და მეორე გადასახადის გადამხდელების ფული სახელმწიფოს მიერ იხარჯებოდეს ეფექტურად. როგორც პრაქტიკამ დაამტკიცა, სახელმწიფო მოხელეების ეფექტურობა და საიმედეობა დამოკიდებულია არა მათ წოდებაზე, არამედ მუშაობის კარგი ორგანიზაციიდან და

მათი შრომის მოტივაზაციიდან. როგორც მოწინავე ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რაც უფრო ნაკლებია მუშაკზე სუბიექტური ფაქტორის გავლენა, მით მეტია სახელმწიფო ინსტიტუტების ბაზრზე პოზიტიური ზეგავლენის შედეგი.

ისევე როგორც სახელმწიფო ორგანოების საქმიანობისათვის აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ნორმები, ზუსტად ასევე საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია გამართული სამართლებრივი სივრცე. სწორედ ამიტომ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკაში საქმიანი აქტივობის წახალისებას. არსებითად სამეურნეო სამართალი გამოდის როგორც საბაზრო ეკონომიკისიურიდიული საფუძველი. ყოველ ადამიანს, ყოველ

ბიზნესმენს, რომელ კომპანიას შეუძლია იყოს დარწმუნებული ყოველ საქმიანობაში, მან იცის, რომ თუ კი ის იცავს კანონს, მაშინ ის დაცული იქნება კანონის მიერ.

საბაზრო პრინციპების უნივერსალურობა, როგორც ბიზნესში, ისე სახელმწიფო საქმიანობის სხვა სახეობებში თავისთავად ვერ მოახდენს რეალიზებას. თუ კი სახელმწიფო თუნდაც წამიერად დაკარგავს სიფხიზლეს, მაშინ მონოპოლიები ამით მაშინვე ისარგებლებენ, რომ საზოგადოებას თავზე მოახვიონ საკუთარი მერკანტელისტური (მათთვის სასარგებლო)

ინტერესები. არ უნდა დაგვავიწყდეთ, რომ კონკურენცია, არჩევს რა საბაზრო მეურნეობაში საუკეთესოებს და შედარებით ეფექტიანურებს, გაუაზრებლად თვითონ უწყობს ხელს მონოპოლიების შექმნას. დაიცვას თავისუფალი კონკურენცია და აღკვეთოს მონოპოლიების შექმნა საკმაოდ რთული ამოცანაა, რომელიც მუდმივად დგას მაღალ განვითარებული სახელმწიფოს წინაშე.

რამდენადაც კონკურენტული ბრძოლის მეთოდები და მასშტაბები იცვლება, ამიტომაც ადგილზე არ დგას კონკურენციის სახეც, სახელმწიფომ ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარების დროს უნდა გაითვალისწინოს დროის ფაქტორი. მაგალითად XXI საუკუნეში არნახულ ტემპებს მიაღწია ეკონომიკის გლობალიზაციამ, გაჩნდნენ მეურნეობის და ბიზნესის ისეთი დარგები (მაგალითად, კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა), რომლებიც არ არსებობდნენ ათეული წლების წინ), ინფორმაციული საზოგადოების პირობებში საბაზრო პარამეტრები ახალ სახეს იღებს, რის გამოც ძალზე მნიშვნელოვანია მაღალგანვითარებულმა სახელმწიფომ თავისი ადგილი იპოვოს, ისე რომ მხარი დაუჭიროს კონკურენციას და პროგრესს, დაიცვას ინტელე-ქტუალური საკუთრება. აქ არ არის სტანდარტული გადაწყვეტილებები, აქ არის მასა პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც შესაძლებელია სახელმწიფოსა და ბაზრის მჭიდრო მჭიდრო კოოპერაციის შედეგად. აქედან გამომდინარე ახალი რეალობის გათვალისწინებით, ეკონომიკურად ეფექტურისახელმწიფო შენარჩუნებული იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ეროვნული ეკონომიკის ხარისხობრივი პარამეტრები გაუძლებენ მსოფლიო ეკონომიკის კონკურენციული ბრძოლის მოთხოვნებს.

გამართლებული არ იქნება ცალკე სახელმწიფოსა და ცალკე ბაზრის იდეალიზება. ერთსაც და მეორესაც გააჩნია ნაკლოვანებანი. მაგრამ თუ კი ბაზრის ცნობილი ნაკლოვანებები შეიძლება დაძლეული იქნას სახელმწიფოს მიერ, სახელწიფოს „შესწორებებზე“ შეუძლია მიუთითოს მხოლოდ საზოგადოებას, რომლის დემოკრატიული ინსტიტუტები მოწოდებულნი არიან რეაგირება გააკეთონ თავისი სახელმწიფოს გადაცდომებზე.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები

მოკლედ მიმოვიხილოთ გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტენდენციების დინამიკა და აღნიშნული ტენდენციების განვითარების შესაძლო სცენარები უახლეს და შედარებით შორეულ პერსპექტივებში.

ეკონომიკის ციკლური დინამიკა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ნიშნავს, რომ ძალაში შედის მისთვის დამახასიათე-ბელი ციკლური დინამიკის კანონზომიერებები, მათ შორის სხვადასხვა დონის პერიოდული ეკონომიკური კრიზისები და გრძელვადიანი, რომელიც მოიცავს საშუალოვადიან (დაახლოებით ათწლეულში ერთჯერ) და გრძელვადიანს (საუკუნეში ერჯერ ან ორჯერ).

შეიძლება გამოვყოთ ხანგძლივადიანი და ღრმა კრიზისების სამი ჯგუფი. პირველი ჯგუფი დაკავშირებულია პოსტინდუსტრიული ცივილიზაციის გადასვლის გლობალურ ტენდენციებთან. განვითარებულ ქვეყნებში ეს პერიოდი დაიწყო გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან, 1993-1994 წლების მსოფლიო კრიზისის შემდეგ, საქართველოში და დამოუკიდებელი თანამეგობრობის ზოგიერთ ყოფილ ქვეყანაში დაიწყო დაახლოევით 15 წლის შემდეგ და შედარებით უფრო დამანგრეველი აღმოჩნდა.

მიზეზების მეორე ჯგუფი განპირობებულია საქართველოსა და ზოგიერთი სხვა განვითარებადი ქვეყნის სპეციფიკური ფაქტორებით: საგეგმო-სოციალისტურიდან სტიქიურ-საბაზრო

ეკონომიკაზეგადასვლა,კაპიტალისთავდაპირველი დაგროვების პარაზიტული ხასიათით, საბჭოთა კავშირისა და ევროპის თანამეგობრობის ქვეყნების დაშლით, რამაც გამოიწვია უკვე ჩამოყალიბებული სამეურნეო კავშირების მოშლა, ბაზრის

მასშტაბების შევიწროვება, ახალ, მათთვის მიუჩვეველ პირობებში მუშაობის, სამეურნეო მუშაკების პროფესიული არაკომპეტენტურობა.

მიზეზების მესამე ჯგუფი ატარებს სუბიექტურ ხასიათს და განპირობებულია გარდაქმნის პროცესში დაშვებული მსხვილი სტატეგიული შეცდომებით: დასავლეთის მოდელების მექანიკური კოპირება; „შოკური თერაპიის“ გამოყენება, მისი სოციალური შედეგების გათვალისწინების გარეშე; კორუფციის ნიშნების მატარებელი პრივატიზაცია, რომელსაც ჰქონდა უმნიშვნელო ფისკალური ეფექტი და არ მოუზიდავს არც საშინაო არც საგარეო ინვესტიციები; ფასების ერთჯერადი განთავისუფლება, რის შედეგადაც სამომხმარებლო ფასები ყოველწლიურად არნახული მასშტაბებით იზრდებოდა, რეალური ხელფასი და პენსიები რამდენჯერმე მცირდბოდა; კატასტროფულად გაუფასურდა მოსახლეობის სახელმწიფო შემნახველ სალაროებში შეტანილი თანხები; შემცირდა ადგილობრივი მრეწველობის, განსაკუთრებით გადამამუშავე-ბელი მრეწველობის ხვედრითი წილი; შესუსტდა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის როლი და მისი გავლენა რეგიონებსა და რაიონებზე, რის შედეგადაც განსხვავება ცენტრსა და რეგიონებს შორის დაირღვა, ცენტრის სასარგებლოდ და რეგიონების საზიანოდ; გაიზარდა ბიუროკრატიული აპარატი და მისი შენახვის ხარჯები, გაიზარდა საშინაო „ფინანსური პირამიდა“ და საგარეო ვალები, რამაც ქვეყნის ეკონომიკა გაკოტრების ზღვარზე მიიყვანა.

წინასწარი პროგნოზებით, შემდგომში ეკონომიკური კრიზისები იქნება საშუალოვადიანი (დაახლოებით ათ წელიწადში ერთხელ) და გრძელვადიანი (ნახევარსაუკუნეში ერთხელ). აღნისნული განპირობებულია როგორც საბაზრო ეკონომიკის განვითარების საშინაო ფაქტორებით, ისე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის რეზონანსული გავლენით. ამიტომაც საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის განხილვის დროს აუცილებელია ეკონომიკური კრიზისების და ციკლების პროგნოზირებაზე ორიენტირება, ეფექტური ანტიკრიზისული პროგრამებისა და მექანიზმების შემუშავება, რომელიც შესაძლებელს გახდის, რომ კრიზისის ფაზა გავლილი იქნას შედარებით სწრაფად და უმცირესი დანახარჯებით.

მრავალწყობიანი ეკონომიკის აღმოცენება და განვითარება.

გასული საუკუნის ბოლოს საზოგადოების და ეკონომიკისგარდაქმნისპროგრესულიტენდენციები გახდა მრავალწყობიანი, ბიუროკრატიულ-სოციალისტურ (თუ არ ჩავთვლით ჩრდილოვან ეკონომიკას და მოსახლეობის პირად მეურნეობებს) ეკონომიკას. უნდა ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფო სექტორში დაკავებულთა და კერძო სექტორის დაკავბულთა ხვედრითი წილის ზრდის ტენდენცია შემდგომშიც შენარჩუნდება, ამასთან ცვლილებები მოხდება ნელა, ევოლუციურად და ყოველი სექტორი დაიჭერს საკუთარ ადგილს.

შეიძლება გამოიყოს შემდეგი წყობები და შეფასდეს მათი განვითარების პერსპექტივები:

1. კერძო კაპიტალისტური წყობა, რომელიც მოიცავს მრეწველობის, მშენებლობის, ვაჭრობის და სხვა დარგების მსხვილ და საშუალო საწარმოებს. არსებითად მას მიეკუთვნება ასევე საკუთრების შერეული ფორმის საწარმოების უმეტესობა, სადაც სახელმწიფო პრაქტიკულად არ მართავს მის კუთვნილ აქციების წილს, ასევე მას მიეკუთვნება ერთობლივი საწარმოები. თავის მხრივ ამ ჯგუფიდან შეიძლება გამოვყოთ მონოპოლიების მცირე ჯგუფი (სამამულო, უცხოური, შერეული, მაფიოზური საკუთრების მქონე) რომლებიც ახდენენ სიმდიდრის ძირითად მასის კონცენტრირებას და განკარგავენ იქიდან მიღებულ მოგებას. როგორც წესი ეს სექტორი წარმოადგენს ფინანსურ კაპიტალს („ოლიგარქებს“) და ძირითადად საქმიანობენ მიმოქცევის სფეროში. შედარებით მცირეა მონოპოლიების საწარმოო სფეროში საქმიანობის მაგალითები. ეს წყობა, როგორც წესი აღმოცენდა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესში, სახელმწიფო საკუთრების გადანაწილების შედეგად (პრივატიზების საშუალებით) და მოსხლეობის ფულადი დანაზოგების საშუალებით (ინფლიაციური გაუფასურების შედეგად). მონოპოლისტური კაპიტალი მჭიდროდ უკავშირდება ჩრდილოვან ეკონომიკას და ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, ისინი ეროვნული სიმდიდრის ძირითად ნაწილს ქაჩავენ უცხოეთში და აქტურად იყენებენ კორუმპირებულ სახემწიფო მოხელეებს სახემწიფო ბიუჯეტის თანხების მითვისებით პირადი სიმდიდრის დასაგროვებლად.

ობიექტურად და რეალურად გამდიდრების ასეთი ხერხები არ არის პერსპექტიული და იმედის მომცემი, რადგან სახელმწიფოს სიმდიდრის მნიშვნლოვანი ნაწილი უკვე მითვისებულია, ბიუჯეტი დაცარიელებულია, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის რეალური შემოსავლები მინიმუმამდეა დაყვანილი. უახლოეს მომავალში მოსალოდნელია ეროვნული კაპიტალის სულ უფრო აქტიურად ჩართვა საწარმოო სფეროში,

ჩრდილოვანი ეკონომიკის, უცხოური მონოპლიების და ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენის და მასშტაბების შემცირება (მოვლენების სასურველი სცენარით განვითარების შემთხვევაში). არსებითად გაიზრდება საშუალო საწარმოების როლი წარმოებასა და მიმოქცევის სფეროში, რაც ჯანსაღი ეკონომიკისა და ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბების საფუძველია. არაკეთილსა-სურველი სცენარის განვითარების შემთხვევაში კერძომე-საკუთრული წყობა სულ უფრო მეტად გახდება უცხოური და საერთაშორისო მონოპოლიების, ჩრდილოვანი ეკონომიკის ლიდერების ექსპლოატაციის ინსტრუმენტი. სცენარის არჩევანი დამოკიდებულია სახელმწიფოს განთავისუფლების ხარისხზე კორუფციისაგან, მსხვილი კაპიტალის მოძრაობისათვის ხელის შეწყობასა და დაცვისათვის.

2. წვრილსასაქონლო წყობა შედარებით მრავალმრიცხოვანია მეწარმეთა რაოდენობის მიხედვით და ეკონომიკაში პროგრესულ როლს თამაშობს იმის გამო, რომ უზრუნველყოფს მილიონობით ადამიანის დასაქმებას, შემოსავლებს დასამომხმარებლო ბაზრის სიუხვეს. ამ წყობას შეიძლება მივაკუთვნოთ:

* მცირე საწარმოების საკუთრება (დღეისათვის მათი რაოდენობის 91 % - კერძო საკუთრებაშია, ხოლო 9% შერეული საკუთრებაა).

* გლეხური (ფერმერული) მეურნეობა, რომლის მიწის ნაკვეთის ზომა საშუალოდ 44 ჰექტარია.

* მოსახლეობის მეურნეობის ნაწილი, რომელიც პროდუქტებს ამზადებს არა მარტო საკუთარი მოხმარებისათვის, არამედ ბაზარზე გასატანად.

* ჩელნოკები (ფართო მოხმარების საგნებით მოვაჭრეები, რომლებიც ბითუმად და ცალობით შეიძენენ საქონელს და თვითონ უკეთებენ მას რეალიზაციას, (ისინი არ არიან დარეგისტრირებულნი როგორც მცირე მეწარმეები).

ბაზარი, სახელმწიფო, დემოკრატია

მსოფლიო ბანკის მასალებში „სახელმწიფო ცვალებად სამყაროში“ - აღნიშულია, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვისსაქონლისადამომსახურეობის მიწოდება, ასევე ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ბაზრის აყვავებას, ხოლო ადამიანებისათვის შექმნის ჯანმრთელ და ბედნიერ ცხოვრებას, რომლის გარეშეც შეუძლებელია ეკონომიკისა და სოციალური სფეროების განვითარება. აღნიშნულის დაუთანხმებლობა ძალზე ძნელია.

ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერი სახელმწიფოს საქმიანობის შედეგებით დაინტერესებულია ყველა: ბაზარი, რომელიც სახელმწიფოს დაცვის გარეშე დაუცველი ხდება, და კონკურენცია, რომელსაც მხოლოდ სახელმწიფოს დახმარებით შეუძლია გაუძლოს მონოპოლიების ზეწოლას და მოსახლეობის

ფართო მასები, რომლის უფლებების გარანტიც სახელმწიფოა და ბიზნესიც, რომელიც დაინტერესებულია თამაშის ნათელი და სტაბილური წესებით, როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის ფარგლებს გარეთ. ყველასათვის გასაგები ხდება, რომ ეკონომიკურად ეფექტური სახელმწიფო - ესაა ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფო. აქ ეფექტურობის კრიტერიუმად გამოდის საზოგადოების და საბაზრო პრინციპების დემოკრატიული დანვითარება. თავის მხრივ დემოკრატიული და საბაზრო სისტემა წარმოადგენს საიმედო საფუძველს შესაბამისი სახელმწიფოს, მისი ძალაუფლების ინსტიტუტებისა და ატრიბუტების შექმნისა და ფორმირებისათვის.

ამასთან აღსანიშნავია, რომ არასწორი იქნებოდა დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, რომ უკვე ნაპოვნია სახელმწიფო საერთო და კერძოდ ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის ოპტიმუმი. საქმე იმაშია, რომ თანამედროვე მსოფლიო განვითარების დინამიზმი და ტურბულენტობა (მოუწესრიგებლობა) მუდმივად აყენებს ქვეყნის წინაშე ახალ დასკვნებსა და გამოწვევებს, რომელში პირველ რიგში უნდა გაერკვეს სახელმწიფო და გააკეთოს შესაბამისი რეაგირება. სწორედ აღნიშნულის გამო კიდევ ხანგძლივი დროის განმავლობაში მოხდება სახელწიფოს მიერ ეკონომიკური ეფექტიანობის ძიება, იმ შემთხვევაშიც კი თუ დაეჩება ეკონომიკური ეფექტიანობის დღეისათვის არსებული მაჩვენებლები.

საინტერესოა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ეკონომიკის თავისებურებების დახასიათება.

1. გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ზოგიერთი საკითხის შესახებ

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობაუპირველესყოვლისადამოკიდებულია ეკონომიკის, როგორც რეგულირების ობიექტის ადექვატური გაგებიდან, მასში მიმდინარე რთული, ზოგიერთ შემთხვევაში ურთიერთ გამომრიცხავი პროცესების გამხილვიდან. აუცილებელია დეტალურად იქნას განხილული გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის შინაარსი, ეკონომიკური დინამიკის და მის შედეგად სახელმწიფოს როლისა და ფუნქციების ცვლილებები.

გარდამავალი ეკონომიკის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ეკონომიკის ინდუსტრიალიზაცია. ინდუსტრიული ტიპის

ეკონომიკის ძირითადი ნიშნებია:

- მრეწველობის, როგორც მამოძრავებელი ძალის წამყვანი როლის აღიარება, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა მისი ტემპები;
- კაპიტალისტური ეკონომიკური ურთიერთობების ბატონობა, ეკონომიკის ყველა დარგში კერძო კაპიტალისტური საკუთრების არსებობა;
- ეროვნულ და შემდეგ მსოფლიო ბაზრებზე, სამეურნეო საქმიანობის სფეროში საბაზრო მექანიზმის გავრცელება,
- ეროვნული და შემდგომ მსოფლიო ბაზრების ფორმირება;
- კაპიტალისტური კვლავწარმოების პროცესში, საბაზრო თვითრეგულირების რთული და ფაქიზი მექანიზმების შემუშავება;
- ეკონომიკურად მდიდარი სხვადასხვა ქვეყნების განვითარების უთანაბრობის ზრდა, ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს შორის განსხვავების გაძლიერება, მაღლგანვითარებული ქვეყნების მიერ კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყენების ექსპლოატაციის ფორმების სრულყოფა და მისი პოლიტიკური მოტივებით შენიღბვა.

აშშ და დასავლეთ ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყნების სამრეწველო სიძლიერე მიღწეული იქნა მესამე სამყაროს ქვეყნების (პირველ რიგში, ჩინეთისა და ინდოეთის, იგულისხმება, ის ისტორიული პერიოდი, როცა ჩინეთი ჯერ კიდევ დაბალგანვითარებულ ქვეყანას წარმოადგენდა) დაშლისა და სამრეწველო პოტენციალის დაქვეითებისათვის ხელის შეწყობით.

საინტერესოა განვიხილოთ თანამედროვე ეკონომიკის დამახასიათებელი ნიშნები:

- წამყვან დარგებში წარმოების კონცენტრაციის მაღალი დონე, მსოფლიო ბაზარზე ინდუსტრიული გიგანტების და მსხვილი წარმოებების შექმნა;
- საკუთრების მონოპოლიზაციის მაღალი დონე, ტრანსეროვნული კომპანიების შექმნა, რომლებიც ოპერირებენ მსოფლიო მასშტაბებით;
- ეკონომიკის რეგულირებაში სახელმწიფოს დომინი-რებული როლი - მონოპოლიერის ზედაფენის და ტრანსნაციონალური კომმპანიებში სახელმწიფო აპარატის შექმნა, სახელმწიფო რეგულირება ხდება კეინსის რეცეპტით ან ყოვლისმომცველი სოციალისტური ვარიანტის, სახელმწიფო-გეგმური მეურნეობით;
- დასაქმებისა და სოციალური კომპენსაციის უზრუნ-ველყოფის მექანიზმების შემუშავება მოსახლეობის უღარიბესი ფენებისათვის სახელმწიფოს, როგორც ამ მიზნით შემოასვლების გადამანიწებლის ინსტრუმენტის გამოყენება;
- ეკონომიკის მილიტარიზაცია და მძლავრი სამხედრო-სამრეწველო სექტორის შექმნა, რომელშიც კონცენტრირებულია სამეცნიერო-ტექნიკური რესურსების, უმეტესი ნაწილი, კვალიფიციური შრომისა და ფინანსური სახსრების უმეტესი ნაწილი. (გამონაკლისი გახდა იაპონია);
- შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავება და ინტერნაციონალური გაჯგუფებების შექმნა (ევროკავშირი, ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა და სხვა.);

გვიანდელი ხანის ინდუსტრიულმა ეკონომიკამ მოკლევადიან პიკს მიაღწია გასული საუკუნის 50-60-იან წლებში. 60-იანი წლების ბოლოსათვის სულ უფრო ნათელი გახდა მისთვის დამახასიაათებელი წინააღმდეგობები, რომელიც გამოვლინდა გასული საუკუნის გლობალურ ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და ენეტგეტიკულ კრიზისებში, რომელი შედარებით მსუბუქი ფორმით ვლინდებოდა გასული საუკუნის ბოლოსათვის გამოვლენილ ეკონომიურ კრიზისებში. აღნიშნული პროცესების დაძლევამ გზა გაუხსნა ახალი, პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ჩამოყალიბებას, რომელიც განვითარების ახალი ტენდენციებით დღესაც გრძელდება. ეს ტენდენციებია:

პირველი, ეკონომიკის ჰუმანიზაცია, რაც ვლინდება არა მარტო მის დემილიტარიზაციაში კერძოდ კი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის კონსერვატიზაციაში, სამომხმარებლო სექტორის წილის ზრდაში, რომელიც მოსახლეობისათვის ამზადებს საქონელსა და სთავაზობს მომსახურეობას, ამასთან იცვლება წარმოებაში ადამიანის როლი: ის აღარ არის ინდუსტრიული მანქანის ჭანჭიკი, ხდება შემოქმედი. იზრდება მისი შემოქმედებითი უნარი და პოტენციალი და კვალიფიკაცია. თვითონ წარმოება ხდება უფრო მოქნილი, დივერსირებული (დივერსიფიკაცია - ინვესტირებული ან ნასესხები ფულადი კაპიტალის განაწილება, დაბანდების შესაძლო დანაკარგების შემცირების გზით.), რომელიც რეაგირებს მოსახლეობის მოთხოვნილებებზე, ამვე დროს უფრო მეცნიერტევადი, რთული, რომელიც ეყრდნობა ეკონომიკის ინტელექტუალურ სექტორს (მეცნიერება და სამეცნიერ მომსახურება).

მეორე, წარმოების დეკონცენტრაცია, სამრეწველო გიგანტების წილისა და როლის შემცირება, მცირე და საშუალო საწარმოების როლის ზრდა, რომელიც მოქნილად რეაგირებს მოთხოვნასა და ინოვაციებზე, რომელიც უზრუნველყოფს იმ პირების დასაქმებას, რომლების გამოთავისუფლებულნი არიან მსხვილი წარმოებიდან და სამხედრო საწარმოებიდან, ქმნის სივრცეს ახალი ინიციატივებისა და მიგნებებისათვის (თუმცა საკვანძო პოზიციები

ერჩება მონოპოლიებსა და ტრანსნაციონალურ კორპორაციებს).

მესამე, საკუთრების დეზტატიზაცია (დეზტატიზაცია-პროცესების ერთობლიობა, რომლებიც მიმართულია, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა სფეროებში, ადამიანების ურთიერთობებზე სახელმწიფოს ზეგავლენის შემცირებისაკენ). არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო მთლიანად ტოვებს ეკონომიკას. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, სახელმწიფოს გასავლების ერთობლიობა განვითარებულ ქვეყნებში შეადეგენს ერთობლივი შიდა პროდუქტის ნახევარს, ხოლო ცენტრალური მთავრობის გასავლები შეადგენს მეოთხედზე მეტს. თუმცა ეკონომიკურ პროცესებზე სახემწიფოს ზეგავლენის ფორმები იცვლება. თანამეროვე ეკონომიკა ატარებს მრავალწყობიან ხასიათს საელმწიფო, კერძოკაპიტალისტური და წვრილსასაქონლო წყობების შენარჩუნებით. ეს ეკონომიკა არ მიეკუთვნება არც სოციალისტურს და კაპიტალისტურს.

მეოთხე, თანამედროვე პოსტინდუსტრიული საზოგადოება ატარებს სოციალურ-საბაზრო ხასიათს. ერთის მხრივ აქ შენარჩუნებულია სივრცე ეკონომიკური მექანიზმების მოქმედებისათვის: წარმოების კონცენტრაცია, მოგებისაკენ სწრაფვა, მეწარმეობის უნარი, რაც მრავალრიცხოვან აგენტებს უბიძგებს ეკონომიკური საქმიანობისაკენ, სამომხმარებლო საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ, გააფართოვონ და განაახლონ წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტი, შემცირონწარმოების და რეალიზაციის ხარჯები, აითვისონ ინვესტიციები და დანერგონ ინოვაციები. მეორე მხრივ არსებობს არასაბაზრო მომსაურეობის მნიშვნელოვანი სექტორი, სადაც სახელმწიფო თავის თავზე იღებს ხარჯებს ფუნდამენტალური მეცნიერების განვითარებისათვის, გარემოს დაცვის ღონისძიებებს, ბავშვების, ინვალიდების, პენსიონერების, სოციალურ მხარდაჭერას. ყველასათვის ხელმისაწვდომი განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის სახელმწიფო დაფინანსებას. სახელმწიფო ახორციელებს ანტიმონოპოლიურ და ფინანსურ რეგულირებას, მოსახლეობის სხვადასხვა ტიპისათვის, გადასახადების პროგრესული შკალის გამოყენებით.

მეხუთე, ეკონომიკის ეკოლოგიზაციის განვითარებადი პროცესი, რომელიც მოიცავს შედარებით (ხოლო შემდგომში, ბუნებრივი რესურსების შემცირებას, გარემოს მავნე ნივთიერებე-ბით დაბინძურების შემცირება, ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენება. ხორციელდება ეროვნული და საერთაშორისო ღომისძიებები პლანეტის სითბური დაბინძურების შემცირების მიზნით, მცირდება ოკეანის დაბინძურება, ტარდება ღონისძიებები ეკოლოგიური კატასტროფის და მისი შედეგების თავიდან აცილების მიზნით.

მეექვსე, პოსტინდუსტრიული ეკონომიკის დამახასიათებელი ნიშანია მისი გლობალიზაცია - ინტეგრაციული პროცესების განვითარების დაჩქარება, ქვეყნების და ლოკალური ცივილიზაციების პარტნიორობის დაჩქარება საერთო საკითხების გადაწყვეტაში, მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის დიდი განსხვა-ვების თანდათანობითი დაძლევა. მსოფლიო ბაზარი სულ უფრო მეტად რეგულირდება საერთაშორისო ნორმებით, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენციისა და ინტელექტუალური საკუთრების განვითარებისათვის თანაბარი პირობების შექმნას. ტარდება ტრანსნაციონალური კორპორაციების განუსაზღვრელი ძალაუფლების ერთობლივი შეზღუდვა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

ასეთია პოსტინდუსტრიული საზოგადოების ეკონომიკის ფორმირების მხოლოდ ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ტენდენციები, რომლებიც სულ უფრო აშკარად გამვლინდება ჯერ განვითარებულ, ხოლო შემდეგ სხვა ქვეყნებში, პოსტინდუსტრიული საზოგადოების ფორმირების პარალელურად.

გარდამავალი საბაზრო ეკონომიკა.

პოსტინდუსტრიული პერიოდის ეკონომიკა არ შეიძლება ჩამოყალიბდეს ერთბაშად დასრულებული სახით. ახალი მსოფლიო ცივილიზაციის შექმნის პროცესი თავის ეპიცენტრში მოიცავს რამდენიმე ათეულ წელიწადს - ხოლო პერიფერიებში კიდევ უფრო მეტს. ამიტომაც ხანგძლივი პერიოდის განმავლობაში შეიძლება დავაკვირდეთ გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ჩამოყალიბებას, რომელიც ერწყმის და მოიცავს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფ პოსტი-ნდუსტრიული და ინდუსტრიული ეკონომიკის ელემენტებს. გარდამავალი ეკონომიკისათვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი ნიშნები:

1) ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობის დამახასიათებელი ნიშნებია: წარმოების ზრდის ტემპების დაცემა ან ეკონომიკური ვარდნა, უმუშევრობისა და ფასების დაცემა, რყევები, საფინანსო-საკრედიტო სფეროში, კვლავწარმოების სფეროში და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრების დონის შემცირება. აღნიშნული განპირობებულია წარმოების ტექნოლოგიური და ეკონომიკური წესის მტკივნეული შეცვლით, სოციალურ-ეკონომიკურო რყევე-ბით, ეკონომიკური წყობების წინააღმდეგობებით, მუშაკების პროფესიული არაკომპეტენტურობის ზრდით, რომელთა ცოდნა და ჩვევები არაეფექტურია პრინციპულად ახალ პირობებში;

2) ეკონომიკის არამდგრადობის ზრდა, ცვლილებების ტემპების

ზრდა. ხდება ერთი წონასწორობის მდგომარეობიდან მეორეში - ქაოსური ცვლილებების პერიოდში რომელსაც ხშირად ფეხს ვერ უწყობს ვერც სახელმწიფო, ვერც საქმაინი ადამიანები და ვერც წარმოების მუშაკები. რაღაც პერიოდის განმავლობაში სისტემა ხდება დეზორგანიზებული, სტრუქტურული ცვლილებები ეკონომიკაში, რომელსაც ადრე ათეულობით წლები სჭირდებოდა, ახლა ხორციელდება რამდენიმე წლის, ხშირად რამდენიმე თვის განმავლობაში.

იზრდება სოციალური დისკომფორტი, ეკონომიკური რყევების დინამიკის ამპლიტუდა ხშირდება და იზრდება. მკვეთრად იზრდება იმ მოსახლეობის ხვედრი-თი წილი, რომელიც რომელიც წვალობს ეკონომიკის ღრმა ტრანსფორმაციით, მცირდება მისი შემოსავლები, ხოლო ხშირად კი უმუშევრების რიგებს ავსებებენ. იზრდება სოციალური დიკომფორტი, დაძაბულობა, რომელსაც ხშირად მივყავართ კონფლიქტამდე. მხოლოდ გარდამავალი პერიოდის ბოლოს ეს პროცესები რბილდება, ფორმებდა ახალი, შედარებით მყარი სიტუაცია.

3) მკვეთრად იცვლება მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნების მდგომარეობა, მათი წილი მსოფლიო ბაზარზე, მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში. იზრდება შრომის ბაზრის საერთაშორის მიგრაციის ტემპები. ქრება ერთი ინტერნაციონალური დაჯგუეებები და მის ადგილს ახალი დაჯგუფებები იკავებს, იცვლებიან ეკონომიკური პროგრესის ლიდერები, კაპიტალის მიზიდულობის ცენტრები. თუმცა აქაც შეიმჩნევა არამყარობა, რაც დაამტკიცა მწვავე ფინანსურმა კრიზისმა სამხრეთ აზიის ქვეყნებში (ფილიპინები, ვიეტნამი,ინდონეზია, სინგაპური, ტაილანდი) რომლებიც მანამდე ითვლებოდნენ დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის და აყვავების ზონად.

გარდამავალი ეკონომიკის ეს ნიშნები განსხვავებულია სხვადასხვა ჯგუფის ქვეყნების მიხედვით. განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის ტრანსფორმაცია ხდება შედარებით მწყობრად და ნაკლებად მტკივნეულად, თუმცა აქაც შეინიშნება პერიოდული ეკონომიკური კრიზისები, უმუშევრობის მნიშვნელოვანი ზრდა. უმეტეს განვითა-რებულ ქვეყნებში გარდამავალი პერიოდის ტალღები მძიმედ შეეხო ჩამორჩენილ, ცალმხრივად განვითარებულ ეკონომიკას, რამაც გააძლიერა კრიზისული მოვლენები და სიღატაკე განვითარებად ქვეყნებში.ამასთან გამოიყო განვითარებადი ქვეყნები ის ჯგუფი, სადაც შეიმჩნეოდაეკონომიკის ზრდის ტემპები.

განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკის ტრანფორმაცია ხდება შემდეგი დამახასიათებელი ფაქტორების გავლენით:

- ეკონომიკური მოდელის ცვლით, სოციალისტურ გეგმურ ეკონომიკაზე უარის თქმით და სტიქიურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების მაღალი ტემპებით, მისი ჩრდილოვან ეკონომიკაში და უცხოეთში გადადინებით;
- გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შემცირებით;
- ეკონომიკის დემილიტარიზაციის ტემპების დაჩქარება, სამხედრო შეკვეთების მნიშვნელობანი შემცირება, მაღალტექნოლოგიური სამხედრო-სამრეწველო ტექნოლოგიების შემცირება, ეკონომიკის ტექნოლოგიური დეგრადაცია;
- ეკონომიკის ზომაზე მეტად გახსნა დასავლეთის მონოპოლიებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციებისათვის, ქვეყნის მიერ, მსოფლიო ექსპორტში წილების მნიშვნელოვნად შემცირება ადგილობრივი საქონელ-მწარმოებლებისათვის.
- სახელმწიფოს როლის მნიშვნელოვნად შემცირება ეკონომი-კური პროცესების დარეგულირებაში და ადგილობრივი საქონელმწარმოებლების დაცვის მექანიზმების სრულყოფა, სახელმწიფო მოხელეების კორუფციის მაღალი დონე, პოლიტიკური ელიტის ახალი ტალღის დაბალი კომპენტენტურობა.

შეიძლება გამოვყოთ განვითარებად ქვეყნებში კრიზისების ხანგძლივობისა და სიღრმის სამი ძირითადი ფაქტორი. პირველი ჯგუფი დაკავშირებულია პოსტინდუსტრიულ ცივილიზაციაზე გარდამავალი პერიოდის გლობალურ ტენდენციებზე.

მიზეზების მეორე ჯგუფი დაკავშირებულია განვიათრებული ქვეყნებისათვის ისეთი ფაქტორებით როგორიცაა სოციალისტური გეგმური ეკონომიკიდან სტიქიურ-საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პარაზიტული ხასიათი, ძირითადად ნომენკლატურული ელიტის მიერ სამეურნეო თანამდებობები დაკავება.

მიზეზების მესამე ჯგუფი ატარებს სუბიექტურ ხასიათს, განპირობებულია შემდეგი სახის მსხვილი სტრატეგიული შეცდომებით, რაც განპირობებული იყო საბაზრო ეკონომიკის დასავლეთის მოდელის მექანიკური კოპირებით; „შოკური თერაპიის“ გამოყენებით, მისი სოციალური შედეგების გათვალისწინების გარეშე; გაუაზრებელი პრივატიზაცია, რომელსაც არ მოუტანია ინვესტივიები და ბიუჯეტის შემოსავლები; ფასების ერთბაშად განთავისუფლება.

მრავალწყობიანი ეკონომიკის ჩამოყალიბება და

განვითარება.

გასული საუკუნის ბოლოს განვითარებადი ქვეყნების ეკონომი-კის პროგრესული ტენდენციები დაკავშირებული იყო მართველი ბიუროკრატიული აპარატის დაშლასთან, რამაც დიდად შეუწყო ხელი მრავალწყობიანი ეკონომიკის დაშლას.

შეიძლება გამოყოფილი იქნას შემდეგი ეკონომიკური წყობები და შეფასებული იქნას მათი განვითარების პერსპექტივები:

1. კერძო კაპიტალისტური წყობა, რომელიც მოიცავს მრეწველობის, მშენებლობის, ვაჭრობის და სხვა დარგების მსხვილ და საშულო საწარმოებს. არსებითად მას მიეკუთვნება ასევე შერეული საკუთრების ფორმის საწარმოების უმეტესობა, სადაც სახელმწიფო პრაქტიკულად არ მართავს მის საკუთრებაში არსებულ აქციებს, ასევე ერთობლივ საწარმოებს. აღნიშნული სფეროდან შეიძლება გამოიყოს მონოპოლიების მცირე ჯგუფი (სამამულო, უცხოური, მაფიოზური სტრუქტურების მიერ შექმნილი), რომელთა ხელშია აცკონცენტრირებულია სიმდიდრის ძირითადი მასა და საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგავს მიღებულ მოგებას. როგორც წესი აღნიშნული სექტორი წარმოადგენს ფინანსურ კაპიტალს. შედარებით მცირეა წარმოების სფეროში მონოპოლიების ეფექტური საქმიანობის მაგალითები. ეს სფერო აღმოცენდა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების შედეგად ძირითადად სახელმწიფო ქონების გადანაწილების გზით (პრივატიზები შედეგად) და მოსახლეობის ფულით, რომლის მასაც გაიზარდა ინფლაციის შედეგად. აღნიშნული მონოპოლისტური კაპიტალი მჭიდროდ უკავშირდება ჩრდილოვან ეკონომიკას და ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, რომლებიც ეროვნული სიმდიდრის გარკვეულ ნაწილს თავისი ინტერესებიდან გამომდინარე ძირითადად, საკუთარ ანგარიშებზე, საზღვარგარეთ გადარიცხავენ და კორუმპირებული ჩინოვნიკების მიერ აქტიურად გამოიყენება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე გამდიდრების მიზნით.

დღეისათვის ასეთი გამდიდრების პერსპექტივები თითქმის აღარ არსებობს, რადგანაც ყველაზე ძვირფასი სახელმწიფო ქონება უკვე მითვისებულია, ბიუჯეტი მაქსიმალურად გამოფიტულია, მოსახლეობის უმეტესობის რეალური შემოსავლები მინიმუმამდეა დაყვანილი. უახლოეს პერსპექტივაში შეიძლება ველოდოთ აწარმოო სფეროს ეროვნული კაპიტალის აქტიურ ჩართვას წარმოების პროცესში, ჩრდილოვანი ეკონომიკის, უცხოური მონოპოლიების და ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენის შემცირებას. მნიშვნელოვნად გაიზრდება საშუალო საწარმოების როლი წარმოებას და მიმოქცევის სფეროში, რაც ჯანსაღ საფუძველზე ეკონომიკის ზრდის გარანტია გახდება. საზოგადოებისათვის მისაღები სცენარის საფუძველზე კერძო კაპიტალი სულ უფრო მეტად გახდება ინსტრუმენტი ეკონომიკის ექსპლოატაციისათვის უცხოელი და საერთაშორისო მონოპოლიების, ჩრდილოვანი ეკონომიკის ლიდერების მიერ. სცენარის შერჩევა დამოკიდებული იქნება სახელმწიფოს მიერ კორუფციის მასშტაბებისაგან განთავისუფლების მექანიზმებზე, რომელიც გავლენას ახდენს მსხვილი კაპიტალის მოძრაობის მასშტაბებზე.

2. წვრილისასაქონლო წყობა შედარებით მრავალრიცხოვანია მეწარმეების რაოდენობის თვალსაზრისით და პროგრესულ როლს თამაშობს ეკონომიკაში, უზრუნველყოფს მილიონობით ადამიანის (ოჯახის) დასაქმებას და შემოსავლებს და სამომხმარებლო ბაზრის გაჯერებას. ამ წყობას შეიძლება მივაკუთვნოთ:

* მცირე საწარმოების საკუთრება.
* გლეხური (ფერმერული) მეურნეობა.
* მოსახლეობის იმ ნაწილის მეურნეობები, რომლებიც სურსათს აწარმოებენ არა მარტო საკუთარი ოჯახისათვის, არამედ ბაზარზე გასატანად.
* წვრილი ვაჭრები (რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი მცირე საწარმოებად), რომლებზეც მოდის საქონლის ბრუნვის მნიშვნელოვანი ნაწილი.

წვრილსასაქონლო წყობა ხასიათდება ფონდშეიარაღების დაბალი დონით, შრომის მაღალი ინტენსივობით (რომელიც პრაქტიკულად არ რეგულირდება, მნიშვნელოვან ქრთამით, რომელიც განსაზღვრულია სახელმწიფო მოხელეებისა და რეკეტიორებისათვის. სანამ მცირე ბიზნესს ეძლეოდა გადასახადებზე აღიარებული და არააღირებული შეღავათები, ხდებოდა მათი სწრაფი განვითარება. თუმცა საგადასახადო ტვირთის ზრდამ გამოიწვია ამ წყობის შესუსტება.

პერსპექტივაში, სათანადო სამართებლივი და ეკონომიკური უზრუნველყოფის შემთხვევაში, წვრილსასაქონლო წყობას მნიშვნელოვანი პერსპექტივები გააჩნია მსხვილი სამრეწველო საწარმოებიდან გამონთავისუფლებული მუშახელის დასაქმებით,

სამომხმარებლო ბაზარზე და ინოვაციებზე მოქნილი რეაგირებით, ის ხდება ყველა დონის სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყარო. თუმცა მასში შესაძლებელია მნიშვნელოვანი ცვლილებები: სამომხმარებლო საქონლით დასაქმებული მომხმარებლების რაოდენობის და ინოვაციების

ზრდა, დროებით დასაქმებულების ხვერითი წილის შემცირება.

3. სახელმწიფო სექტორმა შეინარჩუნა და პერსპექტივაში კვლავაც შეინარჩუნებს ეკონომიკაში მნიშვნელოვან წილს, განსაკუთრებით თავდაცვით დარგებში, ტრანსპორტში, მეცნიერებაში, განათლებასა და კულტურაში, ინფრასტრუქტურაში. საბიუჯეტო ორგანიზაციების „გაწმენდა“, ზედმეტად გაზრდილი სახელმწიფო აპარატის გამონთავისუფლება, თავისთავად შეამცირებს სახელმწიფო სექტორის წილს. მაგრამ რაც მთავარია, მისი როლი გაიზრდება ამ სექტორის როლი სტრატეგიული მიმართულებების რეალიზაციაში და ამის შედეგად საბიუჯეტო შემოსავლების შევსებაში. აღნიშნულისათვის აუცილებელია მნიშნელოვნად გაიზარდოს სახელმწიფო საწარმოების მართვის ეფექტიანობა და შერეულ საწარმოებში სახელმწიფო აქციების პაკეტების მართვა.

4. ნატურალურ-პატრიარქალურმა სექტორმა კრიზისის პირობებში მოულოდნელად მნიშვნელოვანი მასშტაბებებით გააქტიურა თვისი საქმიანობა მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფისათვის. აქ ძირითადი სამუშაო ძალაა-პენსიონერები, დიასახლისები, უმუშევრები. უნდა ვივარაუდოთ, რომ საზოგადოებრივი წარმოების ზრდისა და მოსახლეობის ფულადი შემოსავლების გადიდების შესაბამისად ნატურალურ-პატრიარქლური წყობის ხვედრითი წილი მნიშვნე-ლოვნად მცირდება, თუმცა მაინც შენარჩუნებულია და მნიშვნელოვან როლს ითამაშებს მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში და დასაქმების უზრუნველყოფაში.

ძვრები ეკონომიკის სტრუქტურაში. კრიზისულ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის განვითარება ხასიათდება მნიშვნელოვანი და უმეტეს შემთხვევაში ნეგატიური ძვრებით დარგობრივ და ტერიტორიულ სტრუქტურაში, რაც უარყოფითად მოქმედებს კვლავწარმოების ეფექტიანობაზე და ხელს უწყობს კრიზისის გაღრმავებას. აღნიშნული ტენდენციების დაძლევის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის გამოცოცხლებაზე და შემდეგ მის აღორძინებაზე გადასვლა.

კრიზისის წლების პერიოდში ხდება ეკონომიკის სტრუქტურის ძლიერი დეფორმირება. მნიშვნელოვნად მცირდება პირადი მოხმარების სექტორის ხვედრითი წილი (აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის, მსუბუქი მრეწველობის და სოციალურ-კულტურული სფეროს დარგების) და განსაკუთრებით ინოვაციურ-საინვესტიციო სექტორის. აღნიშნულის შედეგად ეკონომიკა ვეღარ აკმაყოფილებს სურსათზე ეკონომიკის მოთხოვნას, ვერ ანხორციელებს ინოვაციებსა და ინვესტიციებს. აღმოცენებული ვაკუმი როგორც წესი ივსება იმპორტული საქონლით (მათი შემოდინება ხელს უწყობს ნაკლებად კონკურენტუნარიანი ადგილობრივი საქონლის ბაზრიდან გამოდევნას. აღნიშნული ძვრები ხელს უშლიან ეკონომიკის განვითარებას მოახდინოს არა მარტო გაფართოებული არამედ ზოგიერთ შემთხვევაში, მარტივი კვლავწარმოება.

ეკონომიკის განვითარების შემთხვევაში აღნიშნული დისპრო-პორციები შეიძლება დაძლეული იქნას პირადი მოხმარების სექტორის განვითარებით (განსაკუთრებით მსუბუქი მრეწველობის და მოსახლეობის მომსახურების ზრდით) და ინოვაციურ-საინვესტიციო სექტორის სრულყოფით (განსაკუთრებით მეცნიერება და მანქანათმშენებლობა).

განვითარების ცუდი სცენარის შემთხვევაში ეკონომიკის სტრუქტურის მდგომარეობის გაუარესება გაგრძელდება რამდენიმე წლის განმავლობაში და შესაბამისად კიდევ უფრო შემცირდება მისი კონკურენტუნარიანობა, რის შდეგადაც ეკონომიკა მთლიანად მსოფლო ბაზარზე გახდება დამოკიდებული, რაც გამოიწვევს უფრო განვითარებული ქვეყნების სანედლეულო წყაროდ და მზა პროდუქციის გასაღების ბაზრად გადაქცევას.

ეკონომიკის ტექნოლოგიური დონე. ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა და ეფექტურობა განისაზღვრება მისი ტექნოლოგიური დონით, საწარმოო აპარატში სხვადასხვა საბაზრო ტექნოლოგიური წყობით და გამოშვებული პროდუქციით. ეს დონე განისაზღვრება არა განვითარებადი ქვეყნის მასშტაბებით არამედ, არამედ მსოფლიოს იმ საუკეთესო ნიმუშებთან შედარებით, რომლებიც უკვე ათვისებულია და მსოფლიო ბაზარზე რეალიზებულია. ქვეყნები და დარგები რომლებიც უშვებენ შედარებით მაღალი ტექნოლოგიური დონის პროდუქციას, რეალიზებას უკეთებენ დიფერენციულ სამეცნიერო-ტექნიკურ შემოსავალს; ხოლო ის ვინც აწარმოებს და რეალიზებას უკეთებს მოძველებული ტექნოლოგიებით შექმნილ პროდუქციას დიდი შანსი აქვთ მიიღოს ზარალი.

სახელმწიფის არა აქვს თანხები ახალი ტექნოლოგიების გამოშვების მიზნით შეკვეთების მიცემისთვის და ამ მიზნით მსხვილი საბიუჯეტო სახსრების გამოყოფისათვის. შიდა ბაზარი გადავსებულია უცხოური მაღალტექნოლოგიური საქონლით. ყოველ მომხმარებელს უფლება აქვს შეაჩიოს მისთვის სასურველი საქონელი. ამიტომაც ის საწარმოები, რომლებიც გადსული არიან გადარჩენის სტრატეგიაზე, არა აქვთ არც რესურსი, არც სურვილი და არც შესაძლებლობა გადავიდეს

ინოვაციურ წარმოებაზე. აღნიშნულის შედეგად ადგილი აქვს ეკონომიკის ტექნოლოგიური დეგრადაციის პროცესი, რაც უპირველეს ყოვლისა ვლინდება სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დაცემაში და მის შემჭიდროვებაში არა მარტო მსოფლიო, არამად ადგილობრივ ბაზარზეც (განსაკუთრებით მზა ნაწარმის კუთხით).

პერპექტივაში, ასეთი სცენარით მოვლენების განვითარების შემთხვევაში ტექნოლოგიური დეგრადაციის პროცესი გაგრძელ-

დება, რის შედეგადაც ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალს შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს. ტექნოლოგიური განვითარების ამა თუ იმ სცენარის განვითარება უმნიშვნელესადაა დამოკიდებული სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური განვითარების, სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებასა და რეალიზაციაზე, სახელმწიფოს სურვილსა და შესაძლებლობებზე მხარი დაუჭიროს საბაზისო ინოვაციების მსხვილმაშტაბიან ათვისებას, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკის ტექნოლოგიურ დონეს და კონკურენტუნარიანობას.

სახელმწიფოს როლი საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში.

თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვნად იცვლება ეკონომი-კის მართვაში სახელმწიფოს როლი და ფუნქციები, რაც მოითხოვს მიმდინარე პროცესების თეორიულ გააზრებას და სახელმწიფო მართვის მიმართ ახალ მიდგომებს, სახელმწიფო მოხელეების მუშაობისათვის მომზადებას და მის ორგანიზებას. სახელმწიფო გამოდიოდა როგორც ეროვნული რესურსების უმეტეი ნაწილის მესაკუთრე, უშუალოდ მონაწილეობდა ეკონომიკის მართვაში, განსაზღვრავდა მისი განვითარების სტრატეგიას და თვითონ ახდენდა მის რეალიზაციას, თავისთავზე იღებდა მიმდინარე ხარჯების უმეტეს მაწილს და მეცნიერების, სოციალური სფეროს,განსაზღვრავდა შრომის და მისი ანაზღაურების პირობებს. საწარმოები და მასში დასაქმებული ადამიანები გამოდიოდნენ როგორც სახელმწიფო დავალებების შემსრულებლები. ინიციატივის და საქმისადმი ახლებურად მიდგომის წახალისება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებოდა თუ კი სრულდებოდა დირექციის მიერ დადგენილი წესები, პირადი ინიციატივები მკაცრად ისჯებოდა. წარმოდგენილი დემოკრატია ატარებდა მხოლოდ ფორმარულ ხასიათს: სრული ძალაუფლება თავმოყრილი იყო აღმასრულებელი ორგანოების ხელში, რომლებიც თავის მხრივ გამოდიოდნენ ზემდგომი პარტიული ორგანოების უსიტყვო შემსრულებლებად.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ასეთი დამახინჯება შემთხვევითი არ იყო. ის გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით:

პირველ რიგში საზოგადოებაში არსებული წინაამდეგობების გადაწყვეტის აუცილებლობით, რომლის ვალდებულებასაც თავის თავზე სახელმწიფო იღებდა, რომელიც მოქმედებდა კეინსის ამ მარქსის რეცეპტებით. თუმცა სახელმწიფოს შესაძლებლობები საზოგადოებრივ პროგრესში შეზღუდულია; საზოგადოების და ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებები აუცილებელს ხდის გათვალისწინებული იქნას ცივილიზაციის მოთხოვნები; სახელმწიფოს შეეძლო მისი შემსუბუქება ან პირიქით გაეხადა ეს პროცესი უფრო მტანჯველი, როგორც ეს მოხდა რუსეთის სინამდვილეში, თუმცა ისტორიის განვითარების კანონზომიერებების შეცვლა შეუძლებელია.

მეორე, სახელმწიფოს როლის ზრდამ ხელი შეუწყო მილიტარიზაციის თავშუკავებელ ზრდას, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის, არმიის გენერალიტეტის სიძლიერის ზრდას მსოფლიო ომების პირობებში (ორი მსოფლიო ომის და შემდგომ „ცივი ომის“), ორი სამხედრო ბანაკის დაპირისპირება და სამხედრო შეჯიბრება. გასაგებია, სახელმწიფო თამაშობდა განმსაზღვრელ როლს რესურსების მობილიზაციაში - ინტელექტუალურ, შრომით, ეკონომიკურ - თავდაცვისუნარია-ნობის გაზრდის მიზნით, უზარმაზარი სამხედრო მადის დაკმაყოფილების მიზნით, რომელიც აუცილებლად მოითხოვს ადამიანურ მსხვერპლს.

როცა სამხედრო შეიარაღების ზრდამ მიაღწია გაუგონარ მასშტაბებს, მსოფლიო ომში გამარჯვება შეუძებელი ხდება, კაცობრიობის მიერ თვით განადგურების შესაძლებლობა სულ უფრო რეალური ხდება, სამხედრო და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სიძლიერის გაზრდის აუცილებლობა შემცირდა, აღარ არის აუცილებელი სახელმწიფოს ეკონომიკაში საგანგებო როლის შენარჩუნება, რაც სამხედრო რეჟიმისთვისაა დამახასიათებელი.

მესამე, განვითარებული საზოგადოების სოციალისტური ვარიანტი ეფუძნება მარქსისტულ კონცეფციას სახელმწიფოს გაქრობის შესახებ მომავალ უკლასო საზოგადოებაში. დღეისათვის არსებული უმეტესი კონცეფციების საფუძვლზე.

შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სახელმწიფომ ეკონომიკის მართვის პროცესში სახელმწიფომ უნდა დათმოს პოზიციები და ადგილი უნდა დაუთმოს „უხილავ ხელს“ ბაზარს. საბაზრო თვითრეგულირებას, შეიძლება ითაქვას, რომ მოხდა ადრეული კაპიტალიზმის თავისუფალი კონკურენციის იდეოლოგიის რენესანსი

(აღორძინება). ეკონომიკის ლიბერალიზაციისა, პრივატიზაციის, შოკური თერაპიის დროშის ქვეშ. რამდენიმე წლის განმავლობაში განხორციელდა თავისუფალი კონკურენცი-ის იდეოლოგიის რენესანსი: სახელმწიფო ქონების უმეტესი ნაწილის პრივატიზაცია, საგეგმო სისტემის ნგრევა, თავდაცვითი შეკვეთების შემცირება,სტიქიური საბაზრო ფასწარმოქმნის დაშვება, საფინანსო-საკრედიტო და სავაჭრო სპეკულიაცია, შიდა ბაზარზე ტრანსნაციონალური კორპორაციების, უცხოური საქონლის შემოღწევისათვის სივრცის შექმნა. პრაქტიკულად შეიქმნა ყველა პირობა ჩრდილოვანი ეკონომიკის სწრაფი ტემპებით ზრდისათვის, რომლის ლიდერებიც შედარებით უკეთ იყვნენ მომზადებული სტიქიურ- საბაზრო მექანიზმების საკუთარი მიზნებისათვის გამოსაყენებლად და თავის თავზე აიღეს დასუსტებული სახელმწიფოს ბევრი ფუნქცია, უეცრად აღმოცენებულ ფინანსურ მონოპოლიებთან (ოლიგარრქებთან) კავშირში. ასეთ რეფორმებს აქტიურად უჭერდნენ მხარს საერთაშორისო საფინასო ორგანიზაციები და ის მოწინააღმდეგ-ენი, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ადრე არსებული ზესახელწიფოს დასუსტებით.

თუმცა მალე ნეოლიბერალიზმის რომანტიკული ხედვები გაქრა, როცა ისინი მკაცრ რეალობას შეეჯახნენ. აღმოჩნდა, რომ უკანდასაბრუნებელი გზა არ არსებობს, რომ სახელმწიფოს ძლიერი და მოქნილი როლის გარეშე შეუძლებელია ახალ საზოგადოებაზე გადასვლა. ეს ჭეშმარიტება იძულებული გახდა ეღიარებინა მსოფლიო ბანკს, სადაცუმეტესობალიბერალურკურსსუჭერდამხარს. მოხსენებაში „სახელმწიფო ცვალებად მსოფლიოში“ ჩაწერილია, რომ სახელმწიფოს დომინირებული როლის სტრატეგიის გაუმართებლობამ არ შეიძლება საელმწიფოს ხელაღებით უარყოფა, საზოგადოების განვითარებას სჭირდება ეფექტური სახელმწიფო, რომელიც შეასრულებს კატალიზატორის და დამხმარის როლს მცირე ბიზნესის განვითარების საქმეში. ისტორია გვასწავლის, რომ კარგი მთავრობა ეს ფუფუნება კი არა, არამედ აუცილებლობაა. ეფექტური სახელმწიფოს გარეშე შეუძლებელია ეკონიმუკური და სოციალური განვითარების მიღწევა.

ამასთან გასათვალისწინებელია ის, რომ სახელმწიფოს როლი ეკონომიკური განვითარების პროცესში არაერთგვაროვანია. მან შეიძლება შეასრულოს პროგრესული, შემოქმედებითი ხასიათი ეკონომიკის ტრანსფორმაციის შეუქცევად პროცესებში. თუმცა შესაძლებელია სახელმწიფომ შეასრულოს რეაქციული როლი, თუ კი ის მხარს დაუჭერს იმ ორგანიზაციებს, როლებიც რალურად არაფერს არ ქმნიან და სახელმწიფოს ტვირთად აწვებიან. აგალითად საქართველოში გავრცელებული იყო და არის პრაქტიკა, როცა დიდი თანამდებობის ბრიუროკრატი, რომელიც გრძნობს პოზიციების შერყევას, წინასწარ იჭერს თადარიგს და ქმნის სტრუქტურას, რომელსაც რეალურად, მისი და მისი ნაცნობების დასაქმების გარდა, ფუნქცია არ გააჩნია.

საბაზრო ურთიერთობების რეგულირება ამასთან ერთად ნიშნავს გამაფრთხილებელი ღონისძიებების გატარებას არაკეთილსინდისიერი კონკურენციის, მომხმარებლების უფლებების დაცვის,მონოპოლიებისძალადობის,თაღლითობის, ფინანსური პირამიდების შექმნის წინააღმდეგ. თუმცა აღნიშნულის წინააღმდეგ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები უმეტეს წილად

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქოქიაური ლამარა. საინვესტიციო პოლიტიკა სტრატეგია. თბ. თსუ. 2008 წ.
2. ღურწკაია კარლო. ეკონომიკური გლობალიზაცია და თანამედროვეობა. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ N1, 2010 წ.
3. Албегова И М Емцов Р Г Холопов А В Государственная экономическая политика: опит перехода к ринку. М. 2008.
4. შონია ნ. უცხოური ინვესტიციების არსი და როლი ქვეყნის საბანკო სისტემის განვითარებაში. ჟურნალი „სოციალი ეკონომიკა“ N2, 2010 წ.
5. Экономика муниципального сектора. М. 2008.
6. ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა. თბილისი 2003 წ.

Перспектива развития макроэкономической теории

Лаша Табатадзе
Доктор бизнес администрирования,
Ассоциированный профессор,
Унифверситета имени Г.Таварткиладзе

В статье рассматриваются вопросы о современной понятии макроэкономической науки в условиях глобальной экономики. Представлены выводы на будущее успешное развитие макроэкономической науки.

Вступление

Макроэкономика изначально возникла не как научная дисциплина, а как одна из разновидностей экономической политики. Возникновение макроэкономики было обусловлено беспрецедентным в истории экономическим упадком – «великой депрессией» 30-х годов XX столетия, который поставил под большой вопрос жизнеспособность капиталистической системы вообще (автобиографические эссе видных экономистов Лоуренса Клейна, Франко Модильяни, Поля Самуэльссона, Роберта Соллоу, Джеймса Тобина наглядно показывают, что именно экономическая депрессия стала главным источником их профессионального роста).

Развитию макроэкономической науки способствовали два типа экономистов – те, которые рассматривали макроэкономику как инженерию, и те, которые в макроэкономике видели чистую науку. «Инженеры являются людьми, которые решают конкретные задачи. Целью ученых является объяснить, как устроена вселенная» [1, с.39]

Первое поколение макроэкономистов преимущественно было сконцентрировано на решении конкретных задач, а последующее поколение больше внимания уделило разработке теоретических принципов. Менкью признает, что между этими двумя группами макроэкономистов и до сих пор существуют противоречия, которые он считает унизительным для всей макроэкономической науки фактом. С незапамятных времен ученые интересовались макроэкономическими проблемами (инфляция, безработица, экономический рост, деловой цикл, монетарная и фискальная политика и т.п.), однако термин «макроэкономика» впервые появился в академической литературе в 40-х годах XX столетия. В эпицентре дискуссий, развернутых вокруг макроэкономических проблем, оказалась «общая теория занятости, прибыли и денег» Дж. Кейнса (1936).

К концу 1960-х годов монолитное здание кейнсианской макроэкономической теории дало трещину. С одной стороны, возникли разногласия между кейнсианцами, а с другой стороны, начали возрождаться классические взгляды. Развитие новой классической экономической теории включает в себя несколько этапов. Первым этапом можно считать монетаризм, основоположником и выдающимся представителем которого является М. Фридман. Он раскритиковал кейнсианскую функцию потребления, которая являлась основой мультипликаторов фискальной политики. Если предельная склонность к потреблению от временного дохода мала, как это подразумевается в теории Фридмана, то влияние платежной политики на равновесный доход должно быть меньше, чем рассчитывали многие кейнсианцы. В книге «Монетарная история Соединенных Штатов» М. Фридман и А. Шварц уже непосредственно исследуют проблему делового цикла и критикуют кейнсианскую парадигму. Большинство кейнсианцев рассматривало экономику как нетвердую систему, которая подвергается мощному влиянию «животных инстинктов» инвесторов.[2, с.79-80]

На втором этапе, который представляла теория рационального ожидания, Р. Лукас, опираясь на теорию Фридмана, обосновал, что использование кейнсианских моделей в экономической политике невозможно по причине того, что они не предусматривают ожидания. Лукас

предложил теорию делового цикла, основанную на несовершенной информации, рациональных ожиданиях и рыночном равновесии, согласно чему монетарная политика значительна только в той мере, в какой она неожиданна для агентов и не дает им возможности определиться в динамике сопоставимых цен. Т. Сарджент и Н. Уоллес более тщательным образом развили эту теорию и отметили следующее: ввиду невозможности постоянного осуществления неожиданных шоков, систематичная монетарная теория, рассчитанная на стабилизацию экономики, обречена на провал. Третий этап развития новой классической макроэкономической теории связан с моделями делового цикла Кидланда-Прескота и Лонга-Плоссера. В этих моделях, подобно моделям Фридмана и Лукаса, подразумевается, что цены приспосабли-ваются к переменам и уравновешивают рынки. А это уже был радикальный разрыв связи с теорией Кейнса.

Исследование новых кейнсианцев делится на два этапа. На первом этапе основное внимание уделяется проблема общего неравновесия. В частности, как распределяются ресурсы, если не происходит чистка рынков. Заработанная плата и цены в них считаются заданными. Неравновесие одного рынка влияет на неравновесие других рынков. Согласно этим теориям, экономика может находиться в одном из этих режимов, в зависимости от того, какие рынки испытывают избыток предложения и какие – избыток спроса. Самым интересным режимом функциони-рования является т.н. «режим Кейнса», когда на товарном рынке и рынке труда имеет место избыток спроса. В кейнсианском режиме возникает безработица, поскольку спрос на труд очень низок для обеспечения полной занятости в условиях существующей заработной платы. [3, с.13-14]

Для второго этапа исследования новых кейнсианцев характерно исследование следующих проблем: как может быть использована теория рационального ожидания в моделях в то время, как не существует предпосылки уравновешивания рынка. Они показали, что посредством системной денежно-кредитной политики возможна стабилизация экономики, несмотря на существование рационального ожидания. На данном этапе для кейнсианцев свойственно углубленное исследование инфляции.

Кейнсианцы третьей волны поставили себе целью разобраться, почему заработная плата и цены неспособны уравновесить рынки. Они предложили несколько разных гипотез: фирмы, с целью увеличения производительности труда своих рабочих, платят им более высокую зарплату, чем равновесная рыночная цена. Те, кто устанавливает цену и заработную плату, нерациональны. Гр. Менкью, Дж. Акерлоф и Дж. Иелен подчеркивают тот факт, что в случае фирмы, обладающей рыночной властью, в условиях твердых цен равновесие является рациональным.

В 80-х годах XX века центральной проблемой макроэкономических исследо-ваний стал экономический рост. В трудах П. Ромера и других экономистов эта проблема рассматривается в контексте анализа существующих противоречий между богатыми и бедными странами. Еще одной причиной актуальности проблемы был исторически беспрецедентный рост экономики США в тот период. На фоне общей эйфории все больше усиливалось мнение, что проблема делового цикла уже не имела никакого практического значения. В то же самое время, в большей степени усилилась дискуссия между новыми кейнсианцами и новыми классиками, о которой Соллоу написал полушутя: допустим, что рядом с вами садится некто и объявляет, что он Наполеон Бонапарт. С вашей стороны самым ошибочным поступком будет вступить с ним в дискуссию и начать беседу о технических сторонах тактики кавалерии в битве при Аустерлице. В этом случае вы ввязываетесь в ту игру, в соответствии с которой этот человек на самом деле является Наполеоном. [4, с.69-70]

К концу 1990-х годов возникла более точная теория, изучающая экономические флуктуации, которую Марвин Гудфренд и Роберт Кинг назвали «неоклассическим синтезом». Эта теория и соответствующая модель широко используются при изучении современной монетарной политики. Самым широким образом данный подход передан в трудах профессора Колумбийского университета Майкла Вудфорда, который отмечает: Я думаю, что в отношении принципиальных вопросов разнообразие мнений между макроэкономиками гораздо меньше, чем это было в прошлом». В новом синтезе, как и в раннем неоклассическом-неокейнсианском синтезе, передана попытка объединения лучших сторон двух конкурентных теорий.

Выводы. В чем сегодня соглашаются экономисты разных направлений? Первое – в использовании моделей в экономическом анализе, основанных на межвременном общем равновесии. Это дает возможность рассматривать краткосрочные

флуктуации экономики и долгосрочный рост на единой основе; второе – ученые соглашаются в том, что и микроэкономический, и макроэкономический анализ не основаны на фундаментально различных принципах. Следовательно, необходимо рассматривать отдельные семейные хозяйства, фирмы, модели функционирования отдельных рынков в унисон с аггрегированными моделями экономики; третье – в настоящее время достигнуто соглашение между макроэкономистами о том, что реальные колебания являются значительным источником экономических флуктуаций. Гипотеза о том, что колебания делового цикла, в основном, объясняются случайными экзогенными изменениями монетарной политики, практически не находит поддержки; четвертое – подобно 1980-м годам, воздействие технологических шоков на реальный деловой цикл и сегодня остается в центре внимания макроэкономистов. На фоне взаимосближения двух основных макроэкономических направлений – кейнсианства и неоклассических макроэкономических теорий, все же остаются определенные методологические противоречия между ними. По мнению Вудфорда, на сегодняшний день уже созрели условия для продуктивного диалога, с одной стороны, между теоретиками и эмпириками, а с другой стороны – между теоретиками и практиками. Именно такой диалог дает большую надежду на будущее успешное развитие макроэкономической науки.

Использованная Литература

1. Мэнкью Н., Тэйлор М. Экономикс, Питер,2013;
2. Бланшар О. Макроэкономика, М,2015;
3. Журавлева Г.П., Экономика трансформаций, М,2016;
4. Булатов А.С., Макроэкономика, М,2017;
5. Тарасевич Л.С., Гребенников П.И, Леусский А.И., Питер,2017.

Development Prospectives of Macroeconomic Theory

Lasha Tabatadze
Doctor of Business Administration,
Associated Professor, G. Tavartkiladze University

The present article discusses the issues of modern understanding of Macroeconomic science in global economy. The article describes some methodological contradictions between the two main macroeconomic directions. The conclusions for future successful development of macroeconomic science are presented.

მაკროეკონომიკური თეორიის განვითარების პერსპექტივა
(ანოტაცია)

ლაშა ტაბატაძე
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
გ.თავართქილაძის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

წინამდებარე სტატიაში მეცნიერულად განხილულია, მაკროეკონომიკური თეორიის ევოლუცია და წარმოდგენილია მისი ახლებური ხედვა. სიღრმისეულად აღწერილია, მაკროეკონომიკური თეორიის განვითარების ეტაპები. წარმოდგენილია კრიტიკული დასკვნები და მნიშვნელოვანი რეკომენდაციები.

ბიზნესკომუნიკაციების თეორიული საფუძვლები და მისი კავშირი სხვა მეცნიერებებთან

ლოიდ ქარჩავა
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი

სტატიაში საუბარია ბიზნესკომუნიკაციების კავშირის შესახებ სხვა მეცნიერებებთან, რაოდენ პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მას ბიზნესის წარმატებისთვის. მოყვანილია ცნობილი მეცნიერებისა და მკვლევარების მოსაზრებები აღნიშნულ საკითხებზე. ასევე, განახლებულია ავტორის მოსაზრებები ბიზნესკომუნიკციების თეორიულ საფუძვლებზე, რომელიც სამომავლოდ კვლავაც იქნება კვლევის საგანი.

ბიზნესკომუნიკაციები შედარებით ახალი მეცნიერებაა სხვა მონათესავე მეცნიერებებთან შედარებით. ამასთან, ის როგორც ინტერდისციპლინარული მეცნიერება, მჭიდრო კავშირშია არა მარტო ეკონომიკური მიმართულების მეცნიერებებთან, არამედ ისეთ მეცნიერებებთან როგორიცაა სოციოლოგია. გერმანელი სოციოლოგი ნიკლას ლუმანი თავის გამოკვლევაში „საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედია“ აღნიშნავს: „საზოგადოების სოციალური სისტემა კომუნიკაციის პროცესებისაგან შედგება. ძალიან უხეშად, საზოგადოების სისტემა შეგვიძლია დავახასიათოთ ერთმანეთისათვის ხელმისაწვდომ, კომუნიკაციურად მიღწევად განცდათა და ქმედებათა ერთობლიობად. კომუნიკაცია საზოგადოებას ერთ მთლიანობად კრავს“[3, 8].

ბიზნესკომუნიკაცია მჭიდრო კავშირშია ფსიქოლოგიასთან. წარმოუდგენელია ადამიანებს შორის კომუნიკაცია ფსიქოლოგიის გარეშე. ადამიანის კომუნიკაბელობა სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწორად შეუძლია მას მოსაუბრის ფსიქოლოგიური განწყობის შეცნობა და შესაბამისი ზემოქმედება მისთვის სასურველი მიზნის მისაღწევად. საქმიან ურთიერთობებში ფსიქოლოგიის განსაკუთრებული მნიშვნელობის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ სპეციალური სამეცნიერო კვლევები ეძღვნება ამ თემა საზღვარგარეთის ქვეყნებში და საქართველოში. ამ მხრივ აღსანიშნავია ი.ი. ამინოვისა და ნ.დ. ერიაშვილის წიგნი „საქმიანი ურთიერთობების ფსიქოლოგია“.[1]

ბიზნესკომუნიკაციები მჭიდრო კავშირშია ასევე, ეთიკასთან. კერძოდ, ეთიკური, ზნეობრივი და მორალური მხარის როლი და მნიშვნელობა საქმიან ურთიერთობებში. ამ კუთხით აღსანიშნავია კვლევები ბიზნესის ეთიკაზე. კერძოდ, მ. ქირთბაიას „ბიზნესის ეთიკა“[3], ვ. ხიზანიშვილის „ბიზნესის ეთიკა“[4].

ცნობილია, რომ დროთა განმავლობაში, სხვადასხვა გარემო-პირობების გავლენით, ჩამოყალიბდა მრავალი კულტურა ენობრივი, ეთნიკური, რასობრივი და სხვა ნიშნებით, მაგრამ არც ერთი კულტურა არ არსებობს იზოლირებულად. თავისი სიცოცხლისუნარიანობის პროცესში ის იძულებულია მუდმივად ჰქონდეს ურთიერთობა და მიმართოს თავის წარსულს ან სხვა კულტურათა გამოცდილებას, რამაც „კულტურათა ურთიერთზემოქმედების” სახელწოდება მიიღო. თითოეული კულტურა თავისი განვითარების პროცესში ქმნის ნიშანთა სხვადასხვა სისტემას, რომელიც მისი მატარებლის თავისებურებას წარმოადგენს. ნებისმიერი ფორმისა და სახის ურთიერთობა ადამიანებს შორის, ეს კომუნიკაციაა. ცნობილი იტალიელი მკვლევარი უმბერტო ეკო „კაცობრიობის მთელ კულტურას კომუნიკაციად

მიიჩნევს“ [8,17]. ასევეა ბიზნესშიც.

ჰარვარდის ბიზნესის სკოლის ყოფილი დეკანის რობერტ კენტის თქმით: „ბიზნესში კომუნიკაცია არის ყველაფერი”[11].

ბიზნესკომუნიკაცია ესაა კომუნიკაცია ბიზნესში, შესაბამისად მისი როგორც მეცნიერების თეორიული საფუძვლები, სწორედ იქ უნდა ვეძებოთ, სადაც კომუნიკაციასთან გვაქვს საქმე თავსი ფორმებით, სახეებითა თუ საშუალებებით.

კომუნიკაციის როლი ბიზნესში ძალიან დიდია და ის მუდმივად იზრდება. ამერიკელი მეცნიერები გამოკვლევებზე დაყრდნობით მიიჩნევენ, რომ წარმატებული მენეჯერები თავიანთი სამუშაო დროის 50-90 პროცენტს ხარჯავენ კომუნიკაციებზე, ანუ მიმდინარე ინფორმაციების მიღებასა და გადაცემაზე [9,166]. მიგვაჩნია, რომ მენეჯერის საქმიანობა სხვა არაფერია თუ არა კომუნიკაცია: როცა ის წერს, ე.ი. ინფორმაციას ამუშავებს; შეხვედრაზეა, ე.ი. ინფორმაციას გადასცემს; თანამშრომლებს ხვდება, ე.ი. ინფორმაციას უცვლის მათ, ღებულობს მათგან ახალ ინფორმაციას; მოგზაურობს, ინფორმაციას აგროვებს და ა.შ. ამრიგად ნებისმიერი კომუნიკაციური პროცესი მთლიანის ნაწილია. მენეჯერს საკმაო დროს ჭირდება თავისი საქმიანობის განხორციელებისათვის ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა კოლექტივთან ურთიერთობა, ინფორმაციის გაცვლა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომ არაფერი ვთქვათ მმართველობით ფუნქციებზე: დაგეგმვა, ორგანიზება, მოტივაცია, კონტროლი და ა.შ.

გამოკითხვის შედეგებმა ასევე აჩვენეს, რომ ამერიკელი ხელმძღვანელების 70%, ინგლისელების - 63% და იაპონელების - 85%, თავიანთი ორგანიზაციების წარმატების მიღწევის გზაზე მთავარ დაბრკოლებად კომუნიკაციას თვლიან. წარმატებულია ხელმძღვანელი, ვინც წარმატებას აღწევს კომუნიკაციებში[9,166]. ბიზნესკომუნიკაციის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ საზღვარგარეთის რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში ბოლო წლებში შეიქმნა კომუნიკაციების ფაკულტეტებიც კი[6,6].

ბიზნესმენი თავის საქმიანობაში იყენებს საკომუნიკაციო საშუალებებს, კომუნიკაციის ყველა საჭირო ფორმასა და სახეს, მაგრამ ეს ყველაფერი ფუჭია, თუ ის გამოყენებული არ იქნება კომუნიკაბელურად. შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაბელურობა მეცნიერებაც არის და ხელოვნებაც. კომუნიკაციის საშუალებები ამცირებენ დროსა და ხარჯებს ინფორმაციის გადასაცემად, მაგრამ ინფორმაციის გადამცემს შეუძლია იგი გამოიყენოს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური თვალსაზრით (მიმართულებით). ის, თუ რამდენად შედეგიანი იქნება კომუნიკაცია, ეს დამოკიდებულია ინფორმაციის ბუნებაზე, გადამცემსა და მიმღებს შორის ურთიერთობაზე.

ბიზნესკომუნიკაცია, როგორც ინტერდისციპლინარული მეცნიერება, შეისწავლის ყველა იმ ფაქტორსა და მოვლენას, რომელიც ურთიერთკავშირშია ბიზნესის ფუნქციონირების თითოეულ ეტაპზე, დაგეგმვიდან დაწყებული და მოგების (შემოსავლის) მიღებით დამთავრებული, სადაც მასში მონაწილე ადამიანები ურთიერთობენ სხვადასხვა ფორმითა და საშუალებებით, რათა მიიღონ და გადასცენ ინფორმაცია შესაბამის ეკონომიკურ სუბიექტებს სასურველი მიზნის მისაღწევად.

მენეჯერთა სამუშაო დროის უმეტესი ნაწილი ხმარდება საზოგადოებასთან ურთიერთობებს, მოლაპარაკებებს, ინტერვიუებსა და პრეზენტაციებს, რაც ინფორმაციის მიღების, გაცვლისა და გავრცელების საუკეთესო საშუალებებადაა აღიარებული.

ხშირად მენეჯერებს უხდებათ მუშაობა განსხვავებული ინტერესების, მისწრაფებებისა და მოთხოვნილებების მქონე ადამიანებთან. აქედან გამომდინარე, შეიძლება ადგილი ჰქონდეს კონფლიქტურ სიტუაციებს, რაც ხელს უშლის კომპანიის მიზნის ეფექტიანად შესრულებას. ამიტომ აუცილებელია მენეჯერმა იცოდეს, რომ თითოეული ადამიანი დამოუკიდებელი ინდივიდია, რომელსაც საკუთარი დამოკიდებულება და აღქმა გააჩნია ნებისმიერი სიტუაციისადმი.

ზოგჯერ შეიძლება ლიდერს ახალი მიმართულებით მოუწიოს კომპანიის წაყვანა, რაც გარკვეული ცვლილებების განხორციელებას საჭიროებს. ცვლილებებს კი ადამიანები მაშინ ეწინააღმდეგებიან, როცა არ ესმით რა, რატომ, სად, როგორ და როდის აკეთონ. ასეთ სიტუაციიდან წარმატებით გამო-სვლისათვის აუცილებელია თანამშრომელთა ზუსტი ინფორმირება და ამ პროცესში მათი ჩართვა.

კარგი კომუნიკაციის უნარი მენეჯერს საშუალებას აძლევს სასურველი ურთიერთობა დაამყაროს კოლეგასთან, ადვილად დაარწმუნოს სხვები საკუთარი აზრის სისწორეში და მისაღებ შედეგს მიაღწიოს მოლაპარაკების პროცესში.

როგორც წესი, მაღალი დონის მენეჯერები რამდენჯერმე მეტ ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე რიგითი ან დაბალი დონის მენეჯერები. ისმება კითხვა: რატომ? პასუხი კი მარტივია: თუ რიგითი თანამშრომლისთვის, სპეციალისტისთვის

განსაზღვრულია სამუშაო საათები და სხვა სამუშაო პირობები, წარმატებული ტოპ-მენეჯერი, საქმეზე ფიქრობს მაშინაც კი, როცა სეირნობს ან სადილობს და როგორც მარვინ სმოლი ამბობს - ძილშიაც კი[10,47]. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში ტოპ-მენეჯერებს მიზნის მისაღწევად შეხვედრების ჩატარება უწევთ არასამუშაო დროსა და გარემოში. შესაბამისად, მათი პასუ-ხისმგებლობაც ბევრად უფრო მეტია, ვიდრე რიგითი თანამშრომლისა.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი დეილ კარნეგი წერს: „კაცობრიობის მთელ ისტორიაში მხოლოდ ორი ადამიანი იღებდა გასამრჯელოდ წელიწადში ერთ მილიონ დოლარს: უოლტერ კრაისლერი და ჩარლზ შვაბი. (ეს იყო დაახლოებით 100 წლის წინ. დღევანდელი კურსით ის რამდენიმე ათეულჯერ მეტია). . . შვაბს ასეთ დიდ ხელფასს უხდიდნენ ადამიანებთან ურთიერთობის მაღალი ხელოვნებისათვის“[2,24].

ყოველივე ზემოთ თქმული კი კომუნიკაციაა, როგორც საზოგადოებაში, ისე ბიზნესში. კომუნიკაციის გარეშე არ არსებობს წარმატება ბიზნესში, ვინაიდან წარმატებისათვის საჭიროა საზოგადოება და მასთან მჭიდრო კომუნიკაბელური, შედეგიანი ურთიერთობა - კომუნიკაცია.

ბიზნესკომუნიკაციის მნიშვნელობის შეუფასებლობა, მისი ეკონომიკური და სოციალური შედეგების იგნორირება არ შეიძლება. ამ თვალსაზრისით, საქართველოში ბიზნესკომუნიკაციის პრობლემების შესახებ საზოგადოებრივი შეხედულებების ტრანსფორმაციას, მეცნიერული აზრის შემდგომ განვითარებას როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული მნიშვნელობაც აქვს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ამინოვი ი.ი., ერიაშვილი ნ.დ., „საქმიანი ურთიერთობების ფსიქოლოგია“, „სამართლიანი საქართველო“, თბ., 2009.
2. კარნეგი დ., „როგორ მოვიპოვით მეგობრები და როგორ ვიმოქმედოთ ადამიანზე“. „სამშობლო“, თბ.,1992.
3. ლუმანი ნ., „საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედია“, „არხე“, თბ., 2007.
4. ქარჩავა ლ., „ბიზნესკომუნიკაციები“, „ლოი“, თბ., 2012.
5. ქირთბაია მ., „ბიზნესის ეთიკა“, „ნეკერი“, თბ.., 2008.
6. ჩაჩანიძე გ., ნანობაშვილი ქ., „ბიზნეს-კომუნიკაცია“, „სტუ“, თბ., 2009.
7. ხიზანიშვილი ვ., „ბიზნესის ეთიკა“, „ლოი“, თბ., 2018.
8. ჯაგოდნიშვილი თ., ჯაგოდნიშვილი ი., „ვერბალური კომუნიკაციები“, „სტუ“, თბ., 2009.
9. Мексон М.Х., Альберт М., Хедогри Ф., Основы менеджмента (ПЕРЕВОД С АНГЛИЙСКОГО), МОСКВА • «ДЕЛО» • 1997.
10. Смолл М. 1991, Как делать денги. Москва. Молодая гвардя.
11. Blalock M., Why Good Communication Is Good Business. www.businesscommunication.com (22.10.2006).

Theoretical basics of business communication and
Its connection with other sciences

Loid Karchava
Doctor of business administration

The article deals with the communication network of business communications with other sciences, how practical it is for business success. The views of famous scientists and researchers are mentioned on these issues. Also, the author's opinions on the theoretical foundations of business communications are updated, which will continue to be the subject of research.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები: რეალიზმისა და ლიბერალიზმის შედარებითი ანალიზი

ეკატერინე ლომია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
დოქტორანტი
ტელ: 593 76-75-82
მაილი: ekaterine.lomia@ciu.edu.ge

მე-20 საუკუნის დასაწყისში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა, კერძოდ კი, პირველმა მსოფლიო ომმა და მსოფლიოს დაპირისპირებულ ბანაკებად დაყოფამ საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც აკადემიური დისციპლინის ჩამოყალიბებას ჩაუყარა საფუძველი. ვინაიდან, პირველმა მსოფლიო ომმა დამანგრეველი ზიანი მიაყენა კაცობრიობას, მეცნიერთა თვალსაზრისით, ახალ, უნივერსალურ იდეოლოგიაზე დაყრდნობით, მსოფლიოს ომი თავიდან უნდა აეცილებინა. მეორე მსოფლიო ომმა ორი უმნიშვნელოვანი თეორია რეალიზმი და ლიბერალიზმი წამოსწია წინა პლანზე, რომელმაც იდეალიზმი ჩაანაცვლა. რეალიზმისა და ლიბერალიზმის სკოლის წარმომადგენლები ერთმანეთისაგან ერთობ განსხვავებულ, მაგრამ ამავდროულად, საინტერესო შეხედულებებს გვთავაზობენ.

სტატია მიზნად ისახავს კლასიკური რეალიზმისა და ლიბერალიზმის ძირითადი მახასიათებლების შესწავლას, თეორიების მოკლე აღწერას, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასებას.

თემა აქტუალურია, ვინაიდან აღნიშნული თეორიები უდიდეს როლს თამაშობს თანამედროვე მსოფლოში მიმდინარე კონფლიქტური პროცესების ახსნაში.

საკვანძო სიტყვები: კლასიკური რეალიზმი, ლიბერალიზმი, პოლიტიკური თეორიები, საერთაშორისო ურთიერთობები.

შესავალი

სამოქალაქო ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით, პოლიტიკური თეორია, ეს არის ხელისუფლების, მისი კანონიერების, ზოგადად, საზოგადოებრივცხოვრებაშიპოლიტიკისადგილისა და როლის განმსაზღვრელ შეხედულებათა სისტემა, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში, კერძოდ კი არისტოტელესა და პლატონის შრომებში იღებს. პოლიტიკურ თეორიას განასხვავებენ პოლიტიკური ფილოსოფიისაგან. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ერთი, ასევე მეორე პოლიტიკურ მეცნიერებათა ჭრილში განიხილება, პოლიტიკური თეორია, პოლიტიკური ფილოსოფიისგან განსხვავებით სწავლობს მხოლოდ პოლიტიკის სფეროში მიმდინარე პროცესებს, მაშინ როდესაც პოლიტიკური ფილოსოფიის კვლევის საგანს ადამიანის ზოგადი ბუნების სწავლა შეადგენს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური თეორია, ფილოსოფიის გარდა, ემყარება სხვა ისეთ დისციპლინებს, როგორიცაა სოციოლოგია, ეკონომიკა, ფსიქოლოგია და ა.შ.[1]

თეორიის როლის შესახებ ორი მთავარი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ. პირველი ის, რომ არ არსებობს უნივერსალური თეორია, რომელიც ყველა პოლიტიკურ მოვლენას ერთნაირი სიზუსტით ახსნის. არის გარკვეული მოვლენები, რომლებსაც ერთი კონკრეტული თეორია ხსნის უფრო უკეთ ვიდრე მეორე თეორია, მაგრამ სხვა მოვლენების ახსნაში ეს თეორია მოიკოჭლებს, ან საერთოდაც ვერ ხსნის.[2] ვოლტსი ამტკიცებდა, რომ „ნებისმიერი თეორია ტოვებს რაღაც აუხსნელს“.[3]

მეორე საყურადღებო გარემოება არის ის, რომ შეიძლება სხვადასხვა თეორიებმა ერთი და იგივე მოვლენა ახსნან სხვადასხვაგვარად და შესაბამისად, მოვლენის სრულიად განხვავებული ანალიზი შემოგვთავაზონ. მაგალითად, როდესაც

1. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=5780
2. აკობია, ე. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, სოციალურ მეცნიერებათა სერია, გვ. 15, თბილისი, 2006
3. Waltz, K., “realist thought and neorealist theory”, 1990

ცივი ომის დასასრულის შემდეგ, ნატოს იდენტურობას საფრთხე შეექმნა, პოლიტიკოსები და გადაწყვეტილების მიმღებნი აღმოჩნდნენ არჩევანის წინაშე, ალიანსი დაეშალათ თუ მოეხდინათ მისი მოდიფიკაცია, ახალი რეალიების მიხედვით. როდესაც 1990-1991 წლებში ნათელი გახდა, რომ ალიანსი ტრანსფორმაციის გზას დაადგა, საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ფარგლებში, აღნიშნული მოვლენა სხვადასხვაგვარად იქნა ახსნილი ორი დომინანტი თეორიის რეალიზმისა და ლიბერალიზმის მხრიდან. რეალისტების თვალსაზრისით, ნატოს გაფართოება იყო დასავლეთის ძალისხმევა გაეზარდა თავისი გავლენის სფერო ტრადიციული გავლენის სფეროებს მიღმა, მაშინ როდესაც რუსეთი იყო სუსტი. რეალიზმის მიმდევრები ამბობდნენ რომ, ეს ქმედება აუცილებლად გამოიწვევდა მწვავე რეაქციას მოსკოვის მხრიდან. ლიბერალური პერსპექტივიდან, ნატოს გაფართოება იყო და არის სტაბულურობის სფეროს გაფართოების ინსტრუმენტი, რომელიც გაამლიერებს ახლადგამოჩეკილ დემოკრატიებს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში.[4]

რეალიზმის თეორია

რეალიზმი დომინირებდა აშშ–ში „ცივი ომის“ პერიოდში და ბევრი ამერიკელი მეცნიერი თუ პოლიტიკოსი, თეთრ სახლში დღესაც ტრადიციული რეალპოლიტიკის დაბრუნებას ემხრობა. რეალისტები ეყრდნობიან ხანგრძივ ინტელექტუალურ ტრადიციას, რომლის მიმოხილვა შეგვიძლია ჩინელი სამხედრო მხედართმთავრით და სამხედრო თეორეტიკოსით, სუნ ძით დავიწყოთ. ის მოღვაწეობდა ძვ. წ. VI–V საუკუნეებში და ეკუთვნის ნაშრომი – „ომის ხელოვნება“. სუნ ძი ამტკიცებს, რომ მორალური აზროვნება მმართველისთვის სასარგებლო არ არის და ურჩევს მათ, საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ძალა გამოიყენონ.[5]

იმავე პერიოდის მოაზროვნედ შეგვიძლია მივიჩნიოთ ბერძენი სამხედრო მოღვაწე და ისტორიკოსი თუკიდიდე, რომელმაც საკუთარ ნაშრომში „პელოპონესის ომის ისტორია“ ძლევამოსილ ათენსა და კუნძულ მელოსს შორის დაპირისპირება აღწერა. ათენი დიდი და ძლიერი სახელმწიფოა, მელოსი კი პატარა და უძლური კუნძულია, მას შემდეგ რაც ათენი მელოსს იპყრობს, მელოსელების ლიდერებმა მიმართეს სამართლიანობის პრინციპს, რომლის მიხედვით, ათენს პატივი უნდა ეცა მათი დამოუკიდებლობისათვის და შეენარჩუნებინა მელოსის რეპუტაცია. ათენელების პირით, თუკიდიდე გადმოგცემს, ანარქიურ საერთაშორისო სისტემაში, უდიდესი ფასეულობა არის ძალა, ძლიერი კი მუდამ იმარჯვებს სუსტზე.

აღორძინების დროინდელი იტალიელი მოღვაწე ნიკოლო მაკიაველი ითვლება პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად. მაშინ როდესაც ტრეჩენტოს, კვატროჩენტოსა და ჩინკვეცენტოს გიგანტები, დანტე ალიგიერი, ფრანჩესკო პეტრარკა და ჯოვანი ბოკაჩო მსოფლიოს აოცებენ ლიტერატურის დარგში, ხოლო ლეონარდო და ვინჩი, რაფაელი და მიქელანჯელო საოცრებებს ახდენენ მხატვრობაში, მკვდრეთით აღმდგარი ანტიკური კულტურის საფუძველზე იქმნება პოლიტიკური მეცნიერება. ნიკოლო მაკიაველის „მთავარი“ მსოფლიო პოლიტიკური აზროვნების კლასიკა ხდება, რომელშიც ავტორი პლატონისა და არისტოტელეს, თუკიდიდეს, პოლიბიოსის, პლუტარქეს, ტიტუს ლივიუსის შრომებზე დაყრდნობით, ავითარებს პოლიტიკური რეალიზმის პრინციპებს.

მაკიაველი „მთავარში“ გადმოგვცემს თუ როგორი უნდა იყოს (ან არ უნდა იყოს) ქვეყნის მმართველი, რა პოლიტიკური პასუხისმგებლობა აკისრია მას, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს მორალურ პრინციპებთან, რა უნდა იყოს მისი უზანაესი მიზანი და ფასეულობა, რას უნდა ეფუძნებოდეს საშინაო და საგარეო პოლიტიკა, სამხედრო სტრატეგია, რა გამორჩეულ უნარებს უნდა ფლობდეს იგი და სხვა.[6]

მაკიაველის მიხედვით, პოლიტიკური ლიდერი არ უნდა სარგებლობდეს ქრისტიანული ეთიკის მიხედვით, იმდენად რამდენადაც, ასეთ შემთხვევაში მან შეიძლება ყველაფერი დაკარგოს: საკუთრება, თავისუფლება და მისი მოქალაქეების სიცოცხლე. მმართველს ამის უფლება არ აქვს რადგან მას ხალხსი ბედი აბარია. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, პოლიტიკური პასუხისმგებლობა უფრო სხვა გზით მიემართება ვიდრე ადამიანური მორალი. ამრიგად, პოლიტიკაში უთავრესი თვითგადარჩენა და სახელმწიფობრივი უსაფრთხოებაა, ხოლო ის, რომ მმართველის ბედი მჭიდროდ არის დაკავშრებული მისი ხალხის ბედთან, პოლიტიკური რეალიზმის

4. აკობია ე., საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, სოციალურ მეცნიერებათა სერია, გვ.15, თბილისი, 2006.
5. https://politicalreviewer.wordpress.com/2016/03/21/realism-international-relations/.
6. Machiavelli, N., 2008. The prince. Hackett Publishing.1532, თარგმანი იტალიურიდან ბაჩანა ბრეგვაძისა.
7. აკობია ე., საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, სოციალურ მეცნიერებათა სერია, გვ. 18, თბილისი, 2006.

ერთ-ერთი ფუნდამენტური მოსაზრებაა.[7]

თომას ჰობსი წარმოგვიდგენს არისტოტელეს, თუკიდიდესა და მაკიაველის იდეების გაგრძელებას. მისი „ლევიათანი" ინგლისის სამოქალაქო ომის პეროდში იწერებოდა. ამან მეტწილად დიდი გავლენა იქონია ავტორის შეხედულებებზე და შედეგად ნაწარმოები გაჯერებულია პათოსით, რომლის მიხედვითაც, აუცილებელია არსებობდეს ძლიერი ცენტრალური ავტორიტეტი - სახელმწიფო ძალაუფლება, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამოქალაქო დაპირისპირებები. ჰობსის თვალსაზრისით, სახლემწიფოს ბუნებრივი მდგობარეობა ეს არის საერთაშორისო ანარქია, რომელიც გულისხმობს ფაქტობრივ ან პოტენციურ ომის მდგოარეობას მშვიდობის მიღწევის გზაზე.[8]

კლასიკური რეალიზმის თეორიის განვითარებიაში ასევე დიდი წვლილი შეიტანეს კარლ ფონ კლაუზევიცმა, ჰანს მორგენთაუმ, ჯონ მერშაიმერმა და სხვებმა.

ლიბერალიზმის თეორია

ლიბერალიზმი ფილოსოფიური, ეკონომიკური და პოლიტიკური სწავლებაა, რომელიც გამომდინარეობს ადამიანის თავისუფლებიდან, განკარგოს საკუთარი თავი და საკუთრება. ლიბერალიზმის იდეალია საზოგადოება, სადაც ყველას აქვს მოქმედების თავისუფლება, სადაც შეზღუდულია სახელმწიფო ხელისუფლება და მისი ფუნქცია მინიმუმამდეა დაყვანილი. ლიბერალიზმის ფუნდამეტური ღირებულებებია: საზოგადოების ყოველი წევრის პირადი თავისუფლება და პირადი პასუხისმგებლობა, არჩევნების და გაერთიანებების თავისუფლება; ხელისუფლების დაყოფა; კანონის უზენაესობა; საზოგადოების დემოკრატიული მშენებლობა და საზოგადოების დემოკრატიული კონტოლი სახელმწიფოზე; კერძო საკუთრება, ეკონომური თავისუფლება, საბაზრო ეკონომიკა; უფლებათა და წარმატების მიღწევის შესაძლებლობათა თანასწორობა ყოველი მოქალაქისთვის.[9]

ლიბერალიზმის თეორიის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთაშორისო უერთიერთობებში ლიბერალური სახელმწიფოების აღმოცენებასთან და ისეთ მოაზროვნეებთან, როგორებიც არიან ჯონ ლოკი, იმანუელ კანტი, ადამ სმითი, ვოლტერი და სხვები.

თავისუფალი კონკურენციის მომხრე ლიბერალებისა და სოციალური კეთილდღეობის მხარდამჭერი ლიბერალების პოლიტიკური წესრიგის საერთო ნიშანი ოთხი ძირითადი ინსტიტუტის ერთგულებაა. პირველი-მოქალაქეები თანასწორნი არიან სამართლის წინაშე და სარგებლობენ სხვა ფუნდამენტური სამოქალაქო უფლებებით, როგორიცაა რწმენისა და პრესის თავისუფლება. მეორე-სახელმწიფოს რეალური სუვენერები წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოებია, რომელთა ხელისუფლება ამომრჩეველთა ნებას ემყარება, ხოლო ამ შეხედულების განხორციელების ერთაერთი შეზღუდვა ძირითადი სამოქალაქო უფლებების ხელშეუხებლობაა. მესამე-ეკონომიკა ემყარება კერძო საკუთრების უფლების აღიარებას, მათ შორის, წარმოებების საშუალებების საკუთრებას. მეოთხე-ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს როგორც ქვეყნის ფარგლებში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე უპირატესად განაპირობებს მოთხოვნისა და მიწოდების ძალები. ეს გადაწყვეტილებები თავისუფალია ბიუროკრატების მკაცრი კონტროლისგან.[11]

რეალიზმისგან განსხვავებით, ლიბერალიზმი ფოკუსს ახდენს ადამიანის დადებით მხარეებზე, თუმცა კი, არ უარყოფს მის ავ თვისებებსაც. ლიბერალიზმი ზოგადად აღიარებს რომ, ადამიანის ბუნებას აქვს ბნელი მხარე, მაგრამ ამავე დროს, მათი თეორიის საფუძველს ქმნის მოსაზრება, რომ ადამიანები არიან საციონალურები და რაციონალიზმის პრინციპი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს სართაშორისო ურთიერთობაშიც. რაციონალურობა კი, ლიბერალიზმის გაგებით, იმაში გამოიხატება, რომ ადამიანებს აქვთ საერთო ინტერესები და მათ მისაღწევად ისინი თანამშრომლობაზე და დიალოგზე წავლენ, როგორც ურთიერთშორის, ასევე საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისო დონეზე. იმანუელ კანტის რწმენით, თანამშრომლობას მოაქვს სარგებელი ყველასთვის, ეს პრინციპები, რა თქმა უნდა, დიდად ეწინააღმდეგება რეალიზმის ძირეულ პრინციპებს, რომლის თანახმადაც სახელმწიფოები არიან რაციონალურები და ეგოისტები და ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ფარდობით მოგებას, რაც ძალიან ზღუდავს თანამშრომლობას.

თუ შევადარებთ რეალიზმის თეორეტიკოს

8. http://socpoldigest.blogspot.com/2013/03/blog-post_29.html.
9. საყვარელიძე, ფ., ლიბერალიზმი-თავისუფლების იდეოლოგია, საქართველოს სახალხო დამცველის ყოველთვიური ჟურნალი, თბილისი, 2006.
10. Kant, E., Liberal Legacies and Foreign Affairs, Part 1, Philosophy and Public Affarirs, Vol. 12, No.3, 1983, Edited by Doyle, M., Blackwell Publishing Ltd. Pp. 116-117, 2011.
11. აკობია ე., საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, სოციალურ მეცნიერებათა სერია, გვ. 18, თბილისი, 2006.

თომას ჰობსისა და ლიბერალიზმის სკოლის წარმომადგენელ ჯონ ლოკის მსოფლმხედველობას, ნათლად ვხედავთ, რომ თუ ჰობსი საბოლოოდ აბსოლუტური მმართველობის (დღევანდელი ენით-დიქტატურის) გამართლებამდე მიდის, ლოკი ლიბერალური დემოკრატიის უმთავრეს პრინციპებს აყალიბებს, რომლის მიხედვით, ადამიანს არა აქვს უფლება სხვა ადამიანის სიცოცხლე, ჯანმთელობა, თავისუფლება და საკუთრება ხელყოს“ თუ თავად მას კონკრეტული საფრთხე არ ემუქრება“. ჰობსის აზრით, კი ასეთი შეზღუდვა მხოლოდ სახელმწიფოს შემოაქვს. ამის არგუმენტი ლოკისთვის ლოგიკურია: სიცოცხლე ადამიანს ღმერთისგან აქვს ბოძებული, მაშასადამე, მისი ხელყოფის უფლება არავის აქვს. თუ ჰობსი პრინციპულად და თანმიმდევრულად მიჯნავს ფილოსოფიურ და რელიგიურ მსჯელობას, ლოკთან რელიგია და მორალი ლოგიკურად წინ უსწრებს სახელმწიფოს.[12]

ამდენად, ლიბერალიზმი პიროვნების უფლებებისა და თავისუფლების, საკუთრების, სიცოცხლის, სამართლის უზენაერობას უსვამს ხაზს, მაშინ როდესაც პოლიტიკური რეალიზმი მხოლოდ სახელმწიფო ინტერესებზე ამახვილებს ყურადღებას,რომლიც მისაღწევასაც საჭიროების შემთხვევაში ძალისმიერი გზით ცდილობს.

დასკვნა

დასკვნის სახით, ვხედავთ, რომ რეალიზმისა და ლიბერალიზმის თეორია განსხვავებულად ხსნის პოლიტიკურ მოვლენებს. მაშინ, როდესაც რეალისტები ძალის გამოყენებით, კონფლიქტებისა და ომების საშუალებით ხედავენ სახელმწიფოს კეთილდღეობას, ლიბერალური სკოლის მიმდევრები, მორალს, სამართლიანობას, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებს, საკუთრებას, სიცოცხლის დაცვას მიიჩნევენ უმთავრეს პრიორიტეტად.

თანამედროვე გლობალიზაციის განვითარე-ბასთან ერთად, ლიბერალიზმის პრინციპები საერთაშორისო ურთიერთობებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. თუმცა, მრავალი დიდი სახელმწიფო დღესაც იყენებს კლასიკური რეალიზმის პრინციპებს საგარეო პოლიტიკაში.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საერთაშორისო ურთიერთობებისთეორიებისცოდნააუცილებელია, მათი ნაკლოვანებების მიუხედავად, ვინაიდან ესა თუ ის თეორია ამა თუ იმ პოლიტიკური მოვლენის უფრო ზუსტად ახსნასა და სიღსმისეულ ანალიზში გვეხმარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

აკობია, ე., საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, სოციალურ მეცნიერებათა სერია, თბილისი, 2006.

საყვარელიძე, ფ., ლიბერალიზმი-თავისუფლების იდეოლოგია, საქართველოს სახალხო დამცველის ყოველთვიური ჟურნალი, თბილისი, 2006.

სამოქალაქო ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი, 2008.

Machiavelli, N., 2008. The prince. Hackett Publishing.1532, თარგმანი იტალიურიდან ბაჩანა ბრეგვაძისა.

Hobbes T. Leviathan. A&C Black; Jan 15, 2006.

Locke, J., Two Treatises of Government: With a Supplement, Patriarcha, by Robert Filmer (No. 2). Simon and Schuster, 1947.

Kant, E., Liberal Legacies and Foreign Affairs, Part 1, Philosophy and Public Affarirs, Vol. 12, No.3, 1983, Edited by Doyle, M., Blackwell Publishing Ltd. 2011.

Waltz, K., “realist thought and neorealist theory”, 1990.

ინტერნეტ რესურსები:

https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/jon-loki-V-I.pdf.

https://politicalreviewer.wordpress.com/2016/03/21/realism-international-relations/.

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=5780.

http://socpoldigest.blogspot.com/2013/03/blog-post_29.html.

12. https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/jon-loki-V-I.pdf.

Theories of International relations: Comparative analysis of Realism and Liberalism

Ekaterine Lomia
Doctorate of Caucasus International University

Abstract

Political events of the twentieth century, in particular, the First World War and the division of the world into different confrontational camps, led to the creation of international relations as an academic discipline. Since the First World War caused devastation hitherto unknown in modern history, from the political scientists' point of view, the creation of a new universal ideology should have prevented the onset of a second World War. Following the end of this Second World War, the two main theories of Realism and Liberalism were in the foreground, replacing the former Idealism.

Realism and Liberalism schools of thought were offering different, but at the same time, thought-provoking ideas.

The article aims at studying the basic characteristics of classical realism and liberalism. The paper provides a brief description of the theories, studying both their strengths and weaknesses.

The topic is relevant in the modern world because the aforementioned political theories play an important role in attempting to explain the ongoing conflict processes of modern world affairs.

Keywords: Classical Realism, Liberalism, Political Theories, International Relations

ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა – 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელ-ეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;
3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებ-ისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი 10 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება – 10 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE33LB0113168905809000, სს „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდია LERTGE22.

ელექტრონული ფოსტა: loidk@yahoo.com; www.loi.ge
ტელ: 299-05-76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.
3. The article must have reziume in Georgian, English and Russian languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.
4. The article may be published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.

The price of article's publication is- one page of journal 10 GEL (Lari) or 5 USD. And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 10 GEL (Lari) or 5 USD.

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE61HB0000000000713602, "Halyk Bank Georgia", central office, bank code HABGGE22.

Our coordinates:

e-mail: loidk@yahoo.com; www.economisti.ge; www.loi.ge
Tel: 299 05 76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

Smarty
Print House

შპს "Smarty" გთავაზობთ სრულ სარეკლამო/პოლიგრაფიულ სერვისს უახლესი დანადგარებითა და ხელსაყრელი ფასებით!!!

ციფრული ბეჭდვა

ფართოფორმატიანი ბეჭდვა

ბანერი
სტიკერი
ბადე სტიკერი

ოფსეტური ბეჭდვა

- სავიზიტო
- ფლაერი
- ბუკლეტი
- ტრი პლეტი
- ბროშურა
- ჟურნალი
- წიგნი
- ბლანკი
- კოპირებადი
- თვითწებადი
- პოსტერი
- პლაკატი
- ბლოკნოტი
- ეტიკეტი
- კალენდარი: ჯიბის/სამაგიდო/კედლის
- მუყაოს სასაჩუქრე ჩანთა
- კატალოგი
- კოლოფი
- კონვერტი
- მოსაწვევი

ადგილზე მიტანის სერვისი უფასოდ!!!

მის.: ქ. თბილისი, აგლაძის ქ.83

551 30 33 20

smartyLTD@gmail.com

smarty.ltd

Smarty

www.smarty.ge